სუდან კობაშვილი, თამარ ბეგუაშვილი,  
ვაჟა ციცილოშვილი, მევლუდ კუმატაძე,  
ვასილ შიბაშვილი, შალვა ბახტაძე და ვა-  
ლერი ტორონჯავაძე, „ფალიაშვილის ქუჩის  
ძღვენებში“ ახმეტელის თეატროთან ახლა-  
ნანს ჩამოყალბებული თეატრალური სტუ-  
დიის წევრებიც მონაწილეობდნენ:

— ჩემი აზრით, ახალგაზრდები ხწო-  
რედ თეატრში ეუფლებან კუკელა მა-  
თვის საინტერესო, თეატროთან დაკა-



სცენა სპექტაკლიდან „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“



„ლალატი“: ქმა - ნ. ბურდული

ეშვებულ პროფესიას, რადგანაც ჩვენ მათ საქმეში პრაქტიკული ხართვის საშუალებას ვაძლევთ... დრო რომ ვაკა, თავად ვაკეთებენ არჩევანს - ვის მხასიათობა მოუწყდება, ვის რეფისორობა და ვის სცენოგრაფიობა... ჯერჯერობით ვა შევდანა თანაბრად ვსუნთქავთ აქციების მტკვრებს“, მაინც ვა მტკვრია ხოლმე მოაგარი.

იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც სცენაზე ვიხილავთ, ნამდვილად ასე უნდა იყოს!

2000 წლის დადგომას ამჟეტელის თეატრი კვლავ პრემიერით შეხვდა. ამჯერად, წინა ქაქეტაგლისისაგან სრულად გასცვალებული რამ გადავგვშალა თვალის სამყალიანი, ერთმომედებიანი სცენტაკლი „ლალატი“, რომელიც თანამედროვე დრამატურგის ერთ-ერთ კლასიკოსის, პარიზელ პინტერის შედარებით გვიანი პერიოდის პიესის მიხედვით დადგა და სასიკვარულო საქუთხებზე მოგვითხრობს.

სრულიად გამარტინებული, მდიდრული და, ამავდროულად, „ანგლისურად“ სადა და დახვეწილდ დეკორაციის ფონზე (მხატვარი აივენტო ჭელიძე), გამორჩეული სამი გმირი (მსახიობი: ნინო ბურდული, ზაბა ქაშიძემ და გოგა გორგასანიძე) მე-

ტად მსუბუქი, სევდანარევი იორნიოსა და ტრაგიომიტური ელემენტების ისტატური გამოყენებით „მიმღოდეს“ რეჟისორის, მიერ გადებულ „ბეწვის ხილზე“. ქს. „ზიდი“, რომელიც ადამიანისათვის დამხმატებელ ორ, პოლარულად განსხვავებულ გრძნობას - ერთგულებასა და დაღატს - შორის ავისმომასწავებლად „ირწევა“, ანდეულაძისათვის აქამდე უწეველო, მაგრამ პოსტმოდერნისტული ღრამისათვის ზედგამოჭრილი ესთეტიკითა ნაგები. დარბაზიდან გამოსულ მაყურებელს ამბივალენტური გრძნობები ეუფლება; იგი ხან თანაუგრძნობს გმირებს, ხანაც ყოველ მათგანს სათითაოდ კიცხავს გულში... მაგრამ შინ მისული, შესაძლოა, კომპრომისულ ვარიანტშე შეჩერდეს და უზომო სევდა მოიცავს საკუთარი კონფორმიზმის გამო!

- პინტერი ძალიან მივვარს, როგორც დრამატურგი... თუმცა, ამ ტიპის დრამატურგია ადრე არ დამიღვანს; პინტერი, რამდენადაც ვიცი, საერთოდაც პინტერები დაიღვა ჩვენში. ამ კონტრეტულ ძიება შე კი თრიმიზე შით შევაჩერე გურადღება: ძალიან მაინტერებებდა „მინიმალისტურ“ სცენტაკლი შე მუშაობა, რაც ჩემი აზრით, არცთუ იოლი უნდა ფოფილიოთ ხალბრავალ და „ქმედით“ სცენტაკლებს ნაწევევი ქმრთული სცენისათვის; თანაც, „არანფორმატიზმის“ თემა, რომელიც ამ ძიებაში წამებანი თემაა, საქმაოდ აქტუალურია ჩვენი დღვევანდელობისათვის... კონფორმიზმი ის სენია, რომელიც თუ შეგვერა, შენს ფოველ საძირიელში იჩენს თავს, გინძ საკვარელი ადამიანის მიმართ იყოს და გინძ საქვევნო საქმის... გველაზე მეტად კი იმან მომხიბლა, რომ ეს ტიპიურად პოსტმოდერნისტული დრამა - აბსურდიზმის ელემენტების რეალისტურ ფარიზშე მორგებითა და თხრობის ეძიკური მანერით... თანაც, იმას თუ გაითვალისწინებთ, რომ ამის შემდევ

მთლიად ეპიკური თეატრის მამამთა-  
გარს, ბრეხტს მინდა „შევეჭიდო“,  
ალბათ, ქვეშეცნეულად ამანაც მიძი-  
ძა...“

„ბიძგი“ შედევრიანი აღმოჩნდა როგორც  
რეჟისორისათვის, ისე მსახიობებისა და  
მაყურებლებისთვის (პირადად ჩემთვის, მა-  
გალითად, ზახა ქაშიძის, როგორც შე-  
სანიშნავი მსახიობის ფენომენის არსე-  
ბობა ნაძლევილი აღმოჩნდა იყო ისევე, რო-  
გორც გოგა გორგასანიძის სამსახიობო  
ამსახურიდა „ფალიაშვილის“ ქუჩის ბი-  
ჭიდან დაზვეწილ ინგლისელამდე, რომ  
აღარაფერი ითქვას ნინო ბურდულის მიერ  
შესანიშნავდ განსახიერებული ქალის  
ურთელეს ფსიქოლოგიურ როლზე). „და-  
ლატი“, რომელიც ქრისტო კუკლაშვილ რა-  
ფინირებული საქეტაკლია, უთუთ დად  
სახელს მოუტანს თეატრს (თუმცა, მნე-  
ლია, იმის წარმოლევნა, რომ „ფალიაშვი-  
ლის“ რეკორდ რამეგმ შეიძლება მო-

ხსნას).

ახმეტელის თეატრის შესანიშნავ და  
სა და მისი სამხატვრო ხელმძღვანელობის  
დათო ანდლულაძისათვის არანისირ და-  
ბრკოლება არ არსებობს, მაა მარჯონ არც  
სივრცობრივ-დროითი, რომელშიც იყო,  
სცენაზე იქნება ეს თუ ცხოვრებაში, ისევე  
ლალად და მსუბუქად მოძრაობს, როგორც  
მისი ბოლო სპექტაკლის გმირები შეშით  
ნაგებ გამჭვირვალე, მუღმივად წრებრუ-  
ნვაში მყოფი დეკორაციის ლაბირინთში!

ახმეტელელებმა თავიანთი თეატრის  
არსებობის მანიოჩე სიმწარეც მრავლად  
იწვენებს და, სუბიექტურა თუ ობიექტური  
მიზეზების გამო ბევრი სამხატვრო ხე-  
ლმძღვანელიც გამოიცვალეს, მაგრამ მათი  
„ზეობის ზანა“, ჩემი აზრით, უკვე და-  
იწყო, რადგან არსებობს ყოველგვარი სა-  
ფუძველი, ვიუიქროთ, რომ ეს შესანი-  
შნავა დასი აუცილებლად გაამართლებს  
იმ მაღალ სახელს, რომელსაც ატარებს!



„დალატი“. ჯერი - გ. გორგასანიძე; ემა - ნ. მურდული

## ლამაზ Շოնდաძე

# „ნანგრევთა შორის“

„ნანგრევთა შორის“ – ანალიტიკა დღე-  
ვანდელობასთან თავიდანვე იმდენად ცხა-  
დია, თუ არ იცი, რომ ვაჟას პოემასთან  
გაქვს საქმე, შეიძლება იფიქრო, სამეფო  
უბნის თეატრის დამდგენელ ჯგუფს სპექტა-  
კლის სათაური სწორედ ამ მნიშნოთ შე-  
უთხმავს.

ცოდვა, ალბათ, არც ეს იქნებოდა, მა-  
გრამ ამჯერად ეს ასე არ არის. დრამატუ-  
რებს, რატომდაც ასეა მითითებული პრო-  
გრამში, გადა არგანაშეიღია და რეჟისორ  
ცოტნე ნაყაშიძეს ვაჟა-ფშაველას პიესა „მო-  
კვეთილი“, და ორი ეპიური პოემა „სტუ-  
მარ-მასპინძელი“ და „ნანგრევთა შორის“  
სწორედ ამ უქანასკნელის სათაურის ქვეშ  
გაუყორიანებდათ და სამეფო უბნის თეატრში  
წარმომადგენიდნ.

შემთხვევითი, ალბათ, არც ის არის,  
რომ რეჟისორმა, ჩვენი სინამდვილის გამო,

თავისი ტკივილისა და შეჭირუების გამოსა-  
ხატავად სწორედ ვაჟას ტრაგუდე სამყა-  
როს, ტრაგუდე გმირებს მისართა – მეტის  
შემოსევა, შენაგამცემი, უმოწყვარო ჩახა-  
ცლ სულთა ფორმაში, ნანგრევთა დაბადი...

„ოქ. ცოდვა-ბრალის სერათი,

რაც იმ ერთ ღამეს მომხდარა,

შეუნახია პაერსა, სცოცხლობს და  
როდი მომეცდარა“.

რამდენი ასეთი გაუთენცხელ-დაუდამე-  
ბელი დღე-ღამის ცოდვა-ბრალი აქვს შემო-  
ნახული ჩვენს! – ხსოვნას რა მო-  
კლას, როცა პაერიც ხსოვნას ინახავს და:

„სულთა ცოცხლობით ისევა

როცა ღემითა ვკვდებითა,

რაც გვიყვარს მის ხანახავად  
საულავებილნ ვეგბითა“.

რეჟისორ ცოტნე ნაყაშიძის ჩანაფერით,  
ვაჟას გმირები, იქნება სწორედ „საფლავე-  
ბიდან წამომდგარი“ ის მაბაზურები უნდა  
კოუილიფენებ, რომლებიც:

„მაშეულოთა ხმებითა

ჩვენ გონიძაში გავდებენ,

რადგან ხშირადა ესცდებითა“.

მაგრამ, გვადებენ კა?! – აერ, სულ  
ახლახანს არ იყო, სიძულეილით დაბრა-  
ვებულებმა და სამყლორ-სასიცოცხლოდ და-  
პირისპირებულმა ქართველებმა, მტერიც  
რომ ბერია ათარებეს და ერთმნეოთის სი-  
სხლიც თავდავიწყებამდე სევს?!

რა დასამალია, ისა გიგოშეიღი, სა-  
მეფო უბის თეატრის ერთ-ერთ შემქნელი  
და მეპატრონებ, ფრეკენგვინი შეკრევის გა-  
რეშე იდგა დაპირისპირებულთა მისთვის მი-  
სალებ მხარეს. არ ვაპირებ იმის გარჩევას,  
რომელი ცდებოდა და რომელი იყო მა-  
რისალი. ვაჟას სამყრის მსგავსად, სინა-  
მდვილეშიც ხომ ჩოხისა და ბახას მსგავსი  
კა ყმები ებრძოლენებ ერთმანეთს თავთავი-  
ანთა სიმართლის დასამტკიცებლად. მათი  
ტრაგუდეთი ბედის წინასწარგანსაჩლევრუ-  
ლობა კი იმაში იყო, რომ სიმართლე ერთია  
და განუყოფელი. ამიტომაც იყო, რომ ამ  
გაუთენცხელ ბრძოლაში, დათვის არ იყოს,  
სიყვარული რომ ვეღარ მოშობა და ბეჭი-

კინადამ შემოუტრიჩო! – სამშობლოს სივერულით გრძელყარგულ ქართველებს, სამშობლო კინადამ ოხრად დარჩათ!...

ისა გიგორეშეილის პრინცია შემთხვევით არ მისხვებდია. იგულისხმება და გასაგებიც ზრის, თავის თეატრში იგი თავისი ჩერისა და რწმენის ადამიანებს შეკრებდა. და თუ გავითვალისწინებოთ ურთიერთგანწირების იმ მღერი მორეეს, რომელიც ყველამ ერთად გამოვიარეთ, თეატრი სრულიად რეალური სამიმრების წინაშე შეიძლება აღმოჩენილიყო – შურისძიების იარაღად ანდა საბრალდებო ტრიბუნად ყოფილიყო გამოყენებული.

საბეჭნიეროდ, ეს ასე არ მოხდა და რასაც კი გვიდა, პირველ რიგში ეს თეატრის შექმნელებისა და მეტატრონების – ისა გიგორეშეილისა და მერაპ თავაძის დამსახურება.

ვფიქრობ, საქებარია ისიც, რომ ისინი სწორედ იმას კატრონებიან, რაც თავად მოიპოვეს და აშენებს. ბერებისგან განსხვავებით, რომელიც ისე გაბოძოლდენ სახელმწიფო თეატრებში, ისე თეატრებობენ და თავებდობენ, თითქოს სახელმწიფოს მიერ დაკინანებული საქროო საკუთრება კა არა, მათი მამა-პაპის მიერ, სწორედ მათვის დატოვებული მექანიზმებია იყოს. სახელმწიფო ხაზინა კი მათვე ყულაბა, საიდანაც ამტრიუფილ ფულებს, ვისაც უნდათ, იმას უწყალობენ.

რას ისამ, ეტყობა ესეც იმ ბნელი ინსტინქტების საშინელი ინერციაა, რომლის ძალითაც, ყველა, ვისაც არ ქარისხდოდა, მხოლოდ თავად ინერცია და სამართლებრივი იყოს, რომელსაც შენთვის გადაინახავ და როცა მოგინდება, მაშინ ჩატანილი იყოს.

სულის განკურნება ყველას გვჭირდება. სამეცნი უნის თეატრმა, პერტუალ, ამისათვის, ვატა-ტერეველას მოეხმო. იქნება მისი სიტყვის სიბრძნის სალბუნა „საფლავებიდან წამომდგრართა“ აბრივებული სულგიც დაამოს და აქ დარჩენილთ გამზარულ-გა-

ორებულიც, იქნება ყველა მიახვდორის, რომ სამშობლო თავდაეინუებამდე უნდა გოცვარდეს, მაგრამ ამის გამო, თანამომშეს კვლევა არ უნდა გამოღადრო! რადგან, თანამომშეც შენი სამშობლოს ისეთივე ნაწილია, როგორც თავად შენ.

ცოტნე ნაკაშიძე: ვცადეთ, ეს რამდენიმე ნაწარმოები, პარალელური მოწაფაის გზით, ერთი აზრისთვის, ერთი იდეისთვის დაგვექვემდებარებინა. სათქმელი და იღვა კი, ასეთი გვინდა იყოს – დაბირისაბირებულმა მსარებებმა დროია თავი დაანებონ ურთიერთობრივალდებებს და თავისი წილი პასუხისმგებლობა და ცოდვა ორივემ იგრძნოს, მოინანოს და ჰერმარიტად განიწმინდოს. საერთაშორისო ამ იღვერი ჩანაფიქრის ძირითადი განმხორციელებელი და ორგვლივ დატრანსლებული ცოდრო-მაღლის შემფასებელი არის გმირი, რომელისაც ასრულებს შესანაშავი მსახიობის ზურაბ ციცციბლაძე. შისი მსახიობური მონაცემები, ნეჭი, გარევნობა და კეთილმობილება ზედმიწევნით პასუხობს ჩემ მოთხოვებს...

ცოტნე ნაკაშიძეს, გამოცდილ რეფისორსა და ჰეკვინ, განათლებულ კაცს, რასაც კი გვილია, კარგად ეცოდონებოდა, რა უნდოდა, მაგრამ ესეც ხომ არის, ერთა – რა გინდა? და მეორეა – რა გამოის?!

არ არის გამორიცხული მეც უცდებოლე, მაგრამ ამ შემთხვევებში, რეესისრი თავისი აზრის სხევადასხვა ნაწარმოებით რაც შეიძლება მეტად და მეტად დასაბუთების სურვილმა, მე მგონია, ცოტა ზედმეტად გაიტაცა. ეტყობა არც ვაგას რომელიმე ერთ ნაწარმოებს ქნიდ და არც თავის თავს, თორებ ც.ნაკაშიძე ალბათ, შესანიშნავად იყოს, რომ ვთქვათ, მხოლოდ „მოცემით-ლშიც“ შეეძლო მოეძია ის სათქმელი, რისი გაცხადებაც ასერიგად სურდა. „მოცემით-ლშიც“ ხომ მტრისგან აოხრებული ქეცენის ნანგრევთა ღალადიც ისმის და მტერს შემძლობილი თანამომშეს გამცემლური სუნიც ტრიალებს. თავთავარანთი სიმართლის მაძიებელთა გზადაბნეულობაც არის და უაზრო მოქიშეობით დაღვრილი სისხლიც.

სამშობლოდან მცუკუთის, გადახვეწის სუსიც არის, მტრის მასპინძლობის მწარე ღუჟამაც და სამშობლოს სიყვარულის უძლეველობაც. ბაზას სიყვადილი რა, თავისი ცოდვებისა და გზავალირეულობის ჰქომარიტი შენანიება არ არის?..

კეთილის ამას, ალბათ, დამატებითი ლიტერატურული მასალით „გამაგრება“ კი არა, შესაბამისი სცენური ხერხებითა და საშუალებებით გაცადება-ამეტყველება სპირლებოდა. რაფაგნ ეს ასე არ მოხდა, ამიტომაც არის, რომ სქემატურობასა და ფრაგმენტულობას არა მხროდ ახალგაზრდების, სცენის ისეთი გამოყდილი ოსტატების სახეებიც ვერ აცდეს, როგორებიცაა იზა გიგოშვილის სანათა და ხათუა იოსევლიანის ჯავარა. თუმცა, მათ სწორედ თავიანთი გამოცდილებისა და პრიფესიონალიზმის წარმოშობით, ერთგვარად მაინც შეძლეს აქმძრავებინათ ის ნერვი, სასიცოცხლო ძალას რომ ანიჭებს სცენურ გმირს.

პოემიდან „ნანგრევთა შორის“ ნაწევრებს სცენტრულში წამყვანი გადმოგვცემს. სხვადასხვა ნაწარმოების შეკავშირების, გამოლიანების საშუალებად გამოყენებული წამყვანისა თუ მთხოვმელის როლი, ამ შემთხვევაში, ლიტერატურული პირველწარობას გადმოსული ხერჩიც გახლავთ, რადგან, როგორც გურამ ახათინი წერს .... მოელი რაგი ვაეს პოემისა დაწერილია, როგორც მონაცემი ამბავი... „ნანგრევთა შორის“ და ბერ სხვა პირდაპირ არის მინიჭებული მთხოვმელის ვინაობა. წინასწარ ვაცით, თუ ვინ მოგვიყება ამბავს, ე.ი. ვინ გამოიდის პირდაპირ „აეტორის“ როლში“.

სამეფო უბნის თეატრის სცენტრულში „პირობითად „აეტორის“ როლში“ მსახიობი ზურაბ ცინკელაძე გამოიდის.

ზურაბ ცინკელაძე: საოცარი ადამიანია ბატონი ცოტნე. ეს როლი რომ შემომავაჩა, ისეთი მოყრაძლებით დამირეკა და ისე მთხოვა, თითქოს თავად იქნებოდა დავალებული ჩემგან, თუ დავთანხმდებოდი. მაშინ ჯერ კიდევ დეპუტატი ვიყავი და

ალბათ, ფიქრობდა, იხეთი „მცირე სტემასთვის“, როგორიც სცენტრულში თამაშია, არ მცემებოდა. ჩემს ხითარულს კი საზღვარი არ ქრონდა, რაოდან შეაძლებოდა მეძლეოდა, დაუბრუნებოდით ამ აბალეტულსა და მშენიერს, რასაც თეატრი ჰქია. ამას გარდა, ჩემთვის ეს ერთიანი და მშეაღმიანი კაკასიისათვის გაღებულ წილალსაც ნიშნავდა. ჯოულობასა და ზეადაურის ხელის ხამორთმევა კი იმ მეგობრობის დასაწყისს, რომელიც ასე არ უნდათ მოელი სამყროს მუხებს...

ცნობილია, თუ რა მნიშვნელობა აქვს რეებისრის სწორ და ზუსტ გადაწყვეტილებას ამა თუ იმ როლშე მსახიობის არჩევის ღრის. ვფიქრობ, ცოტნე ნაკამიძეს, ამ შემთხვევაში, მისმა პრიფესიონულმა და ადამიანურმა აღლოომ არაზეულებრივად წარმატებული არჩევანი გაკეთებინა. ზურაბ ცინკელაძე არა მხროდ დიდი პასუხისმგბლობით აღჭურვილ პრიფესიონალურ და შესანიშნავი მსახიობია, შეუძლაბავი რეპუტაციის პიროვნებაც გახდავთ.

უმთავრესი, აღიათ, ის არის, რომ იგი კველას მიმართ გულასხმერი და კეთილდღიანწყობილია. თუმცა, ამის იქით არამც და არამც არ მოიხსერება პრინციპობა და უპრიშობილია. იგი მკვეთრად გამოხატული პირიციის მატარებელი კაცია, მიუხედავდ იმისა, რომ რაღაცის მტკიცებითა თუ ვაღაცის დაცვის გმო, მოძალებული ემოციებით, მისი დამახინჯებული სახე არავის უნახავს.

ამასთან, იგი უაღრესად თავაძიანი, ტაქტის უფაქტის ნიუანსების შეგრძნებითა და გალანტურობით გამოჩინეულიც არის. შეებულად არ ვამბობ ინტელიგენტური შეფერი, რაღაც მარინა ცეკვავასა არ იყოს, მართლაც რომ „საშინლად ლაპარაკობენ ახლა!... უცელაფინს ინტელიგენტურს ეძახან, ჩემთვის ინტელიგენტურ შეფერ აქვს, ძაღლსაც ინტელიგენტურ დრუზის, განდარმერის პოლიციელსაც არაზეულივებრიულებაში... ურანგულად კი ეს ხილვა ჰკუას ნაშაუს“. ჰკუანი კი ნამდვილად არის, გა-

ნათლებულიც ჰველაცერთან ერთად, მალაძ კარგად იცის ქართულა სახელიერო და საერო ღილტერატურა. თუ ამა დავუშატებთ მოღვაწეობით მდიდარ მის ზმასა და ფურალების მმქეცე, მომხმარევ გარეგნობას, შეძლება ითქვას, რომ ასეთი კაცი, თავის მცდელობაში, ვაჟა-ფშაველას სახელით გველაპრაყოს ცცენიდან, დამაჯერებლად უნდა გამოიყერებოდეს.

ეს ასეც არის, მიუხედავად იმისა, რომ ის ტექსტი, რომელიც მთხრობელმა უნდა წარმოიქანა, ისე მოწვევტილი კონტექსტს, უუნქცა და მისნა საქრთოდ არ იყოთხება.

ასეთ სიტუაციაში, მითუფრო დასტასებულა მსახიობ ზ.ცინცებილაძის დამაჯერებლობის ძალა, იგი, ამ ჭოვლად ულოგვით და სეტენტურსაც რომ ვერ უწოდებ, ისეთი ჩინართებისაგან რაღაცაირად მანც ქმნის ღორგვეერობს იღუშას და იმ მნიშვნელოვნებით, რომლითაც ტუირიავს თავის გმირის თითოეულ გმირებას, თითქოს ამართლებს და აუცილებელ უუნქცას ანიჭებს მას.

ზურაბ ცინცებილაძე ამავე სპექტაკლში ჯოულას როლსაც თამაშობს, უფრო ზუსტად, მთხრობელისა და ჯოულობის ცალკების ერთგვარი შეწიქმითა და „მუსიკალური გადასვლით“ ქმნის ერთ მოღანინ, რომელ და საინტერესო სახეს. მოვიშველიერ მოსსაცე ნათქვამს – „ძალიან ვლიშანდები, როცა პარლამენტის სხდომებს სპექტაკლებს უწოდებენ! სადაც სიფალბეა, იქ თუარია არ შეიძლება იყოს. თეატრში უნდა იყო მართალი და ათასჯერ მართალი, რომ დაგიჯერონ“.

შეიძლება სწორედ სფალბის მიუღებლობამ განაპირობა ის, რომ დეპუტატად ერთი არჩევის მთელი პერიოდი ისე განვლო, ტრიბუნასთან კი არა, მცონი მცენოურობასაც არ მისულა. აღარც შეძლევ საარჩევნო სიაში მოსევდრისოფის უბრძოლა.

ბარეკალა მას, რაღაც თუ ჩაპლინს დაუუჯერებო და რა საფუძველი გვაქვს, რომ არ ვერწენულოთ! – ხელოვანის გაპოლიტიკოსება დიდად სასიქადულო საქმედ არც ჩვენამდე აღიქმებოდა თურმე. ჩაპლინი ივლი-



სცენა სპექტაკლიდან „ნანგრევთა შორის“

ნებს – „მაღლიან მომზინდლავი კაცი იყო პა-დერეკესკი, მაგრამ თან მექანობის იერიც დაპრეცავდა, იწებ იმაში გამოიატებდა, რომ მეტისმეტად უსეამდა ხაზს თავის ღირსე-ულობას.

რომის ღრიოს ნიუ-იორქში შეეხედი. შეუ-რვალე მივესალმე და კითხე, კონცერტი ხომ არ გეწება – მეთქ. რომის პაპის სიგირიჩით მიასუხა: „როცა ჩემი მამულის სამსახურში ვარ, კონცერტებს არ ვმა-რთავ“.

პადერეკესკი პოლონეთის პრემიერ-მინი-სტრი გახდა. მაგრამ მეც კლემპნიონს სი-ტეკიბი მინდა გავიმეორო, რითაც იმ ბეღუ-კულმარით ვერსალის ზაფის ღრიოს მიმა-რთა:

– ნიჭიერი ხელოვანი ისე როგორ და-კინძილი, რომ პოლიტიკური მოღვაწე გახდით.

ალბათ, სხვაგანაც, მაგრამ საქართვე-ლოში – არტისტი – ყოველთვის მაღალი წრდება იყო. დაიიო მაჩაბელიდან მოყოლე-ბული მუდამ მამულის სამსახურში მდგარი და მისთვის თავის შესაწირად შზაღმყოფი. და ძალიან კარგია, რომ ზურაბ ცინცილა-ძემ, ნიჭიერმა ხელოვანია და სანიტარი მო-ქალაქებ, მამულის მასურუბად სწორედ ჯო-კოლას როლის შესრულება მიიჩნია და არა პარლამენტარის.

ისა გვიმშევრია: ზურაბ ცინცილაძესა და მის მეუღლეს თამრიერ დაუთაშევილს დიდი ხანის ვიცენობ. დიდი გულისყურით ვადეგნებ თვალს მათ შეძრებებას.

როციე ძალიან მოვკანს.

აღიღროთოვანებული ვარ მათი გარეგნო-ბით, ნიჭით, სულიერებით.

ამ ბოლო ღრიოს ზურა ბათუმის თე-ატრში რეზი მირცხულაკას სპექტკულში ვა-ხილე, ხადაც კიდევ ერთხელ გაბრწყინდა.

როცა ჩემს თეატრში ვაფა-უსაველას დადგმა გადავწყვიტე, მაშინვე ვიფიქრე, რომ ზურა მოგვეწევა. ჩემთვის ასეზე დიდი მიშენებულობა აქვს მის შშევნიერ გარეგნო-ბას, მის რაინდელ იერს.

რევისორის გადაწყვეტილებით მისი სცე-ნური სახე ერთგვარი გმირი-სამხილოა. იგი

დაუზინებითა და ახლის გამუდმებული მი-ებით მიიწყვდა იმ დიდი ფერის ცალებისა-კენ ამ რით გმირის უისკერისტმაც ცდლე-ბაში რომ უნდა განსხვადი და დაუ-კრობ, ზურამ წირისატებით სტილია ის სი-როგორები, ასეთი გმირის თამაშს რომ ახლავს.

როგორც პარტიირი, დღიდი სიბორით და კურალებით გამოიჩინევა. აქვს პრაჩუე-ულებრივი აურა... .

კოულობა, ვაჟის გმირებს შორის, ერთ-ერთი უისკერებს ხასიათია. წინააღმდეგობით გამხარებული და საპარისპირო გრძნო-ბათა ჭიდლილი აღსავს. ფსიქოლოგიური ნიუანსებით მდიდარი და მრავალწახნაგო-ვანი. უკვე ბორგოლებად ქცეულ ტრადიცი-ებს რაღაცნაირად ისტორიულ დაბირ-სპირებული, თავისი კაცური შეგნებით თა-ნამოძმებზე მაღლა მდგომი, მაგრამ მაინც მათი განუერთველი ნაწილი და მათი ერთგული ერთგული თავისი პრინციპების, თავისი ხალხისა და საშმებლოინი.

შასხიობს სიძეულეს უქმის ის, რომ ლიტერატურულ მასალაში, ერთიანი განვი-თარების ხეზი არც ამ შემთხვევაშია და-ცული თუ მიღწეული. „მეუკუთხისა“ და „სტუმარ-მასპინძელში“ განცარაულ უდი მო-კლების ასე, ერთგვარი კონვალენტი ჩანაცელება, შეიძლება სანტერიტო კუთ-ლიყო-ლიყო, სპექტაკლის ავტორებს, ამ ხერხის სრულყოფილი გამოყენება რომ შეძლებო-დათ, რაც მათ იღეულ ჩანაფიქრსაც უფრო გასაგებს გახსინდა და იმ ენერგიასაც ზუ-სტი მიზანდასახულება და ფუნქციური და-ტერიტორი მიეცმონა, ამ როლის შესრუ-ლებას რომ ახმარს მსახიობა.

კერალურის მოუხედავდ, ვუიქრია, ჯო-კოლას სახე მსახიობის შემოქმედებით ბი-ორიანტის ერთ-ერთ სანტერიტო და წა-რმატებული შენაძენია. ცინცილაძე ფერთა უხვი გამის გამოყენებით, ფაქტიდა განა-წილებული შეუ-ჩრდილებით და ზუსტად მიზებული შტრიხებით ჩემს თვალწინ ქმნის და სრულყოფს თავისი გმირის ფსიქოლო-გიურ პორტრეტს, ჩემს თვალწინ განაცდე-

ვინტებს ყველა იმ საბედისწერო გრადაციას, ტრაგიულ ფინანსობრივ რომ მიძყავს იგი.

მისი ჯოფოლა არც წინასწარი კეთილგანწყობის გამო იცავს ზვადაურს და არც მიღიომ, თითქოს მასთან შეხვედრა-მდეც ჰქოვს არ მოსწონდა მამა-პაპთა მეორ დანერგილი ადათ-წესები. პირიქით, ვევ-ლაფრიდიდ ჩანს, რომ ისიც ისეთივეა, როგორიც სხვები. თავის დროზე რომ ეცნო, ისიც ისევვე დაუნდობელი იქნებოდა ზე-ადაურის მიმართ, როგორც დანარჩენები. ამის აქარა დასტურია ჯოფოლასა და ზე-ადაურის. (მსახიობი გრაზ ბერიძე) პირველი შეხვედრა.

ჯოფოლა-ცინცილაძე უნდოდ, მტრულადაც კი ღებულობს ტუშით გადატოლის. ნანაიორევის გამო ეკითხება, მაგრამ ხმაში აჭარად ისმის დადარაჯებულის აკ ნოტები. მათი ეს პირველი გაბაახება ხმლით კენჭლაობას უფრო ჰგავს. თითქოს ძალას უსინჯავს მოწინააღმდეგებს. კინაობასაც ეჭვანად ეკითხება. ზვადაურის პასუხი შედარებით მიმნებობს ხდის, მაგრამ დიდი ხალისი სახლში მიწვევის დროს მაიცც არ ეტეობა. მისი ჯოფოლა, თანამომქმედა და-პირისირებმდეც მძმედ და თანდათან მიდის. იმას, რომ მისთვის ადვილი არ არის მოსისხლე მტრის დაცვა, მოელი სისაუსით, განცდის მოელი გალწრეულობით გამოიხატავს მსახიობი. რალაც მომენტში მაყურებელი იმასაც კი ფიქრობს, რომ ჯოფოლაც მზად არის მათ შეუერთდეს. თაამომქმე-ებთან ერთად დაბეგდეს შერისგების მორთლევარე ვნებას, მაგრამ... აა, სწორედ ამ მაგრამის იქნით არის მსახიობისა-თვის ის გმირი, რომელიც უფესვადგმულ ინსტინქტებს სხლევს და თავის თავზე მა-ლლებებს.

ზურაბ ცინცილაძის ჯოფოლას ცოლთანაც საცმარე რთული ურთიერთობის პა-რტიტურა აქვს. დესპერი არ არის, მაგრამ მის პიროვნებაში არც ქალთა თავისუფლებისადმი სიმპათიები გამოყრითის საღმრ. მე-ცრია და პატრიარქალური. გაბედული და დაუნდებელიც რომ არის, ეს აღმაშენაც იცის

და მაყურებელიც ხედავს - ვევლას თეა-ლინ წარმეტებულად მოპქლა მუსა და როცა შეგონებით ერავერი კვაწურ უწე-მსაც დაუირისპორდა. ამიტომც უმხრიდა აღბათ, ცა და მიწა ზეადაურის დამტორუ-ბელ აღმას, რომ იცის, მისი ქარი ის კაცი არ არის, კინ ცოლიც, სადაც უნდა და როგორც უნდა, ისე ინაგარებდეს. უხეში და მუქარით აღსავე დაითხვეს შემდეგ, აღმა - მსახიობი ლიკა გუნცაძე, როგორც იყო, გამოუტყდა ქმარს, რომ დაიტირა ზე-ადაური!..

- „იტირე?“ - მწარევდ კითხულობს ჯოფოლა-ცინცილაძე და ჩემდება. დუშის საყმოოდ დიღხნას და თითქოს ამ არცუ ხანმოულე პაუზით გადის ტკივილით აღსა-ვსე და მტრჯველ ქანს, თავისი სიმაცრი-დნ, პატრიარქალური ერთპიროენული უუღებიდან იმ თანმიარობა-შემწყნარე-ბლობისაცენ, რომელმაც უნდა ამოატმქ-ვინოს ქაღლი კიქია. მე რა გამგე ვარ მაგისა?!“ - დას - როგორც იყო, ამო-თქა ჯოფოლამ და არა მარტო ვაჟის გმი-რის ჩააბარა ადამიანურობის, პუმანურო-ბის დიდი გამოცდა, მსახიობმაც წარმატე-ბით გადაღახა სცენზე ხანგრძლივად ჩუ-მად ფილინის ხიტათანი რუდეკონი. ამ თეა-ლშისაცემად ხანგრძლივი პაუზის დაძლევა, რასაცირკელია, მისი სამსახიობო ისტა-ტობის საყოფა. ამ პაუზის აუცილებლო-ბის შთავონება კი, აღბათ, იტიდანაც მო-დის, რომ მსახიობმა ვაჟა-ფშველას ბი-ორიაფაც დეტალურად იცის. გენალურ პოტესაც ძალიან გასჭირებია დაწერა - „იტირე?“! ხოლო შემდეგ თუ რა უნდა ეთქა და რა უნდა მოუმოქმედა მის გმირს, სამი კვირა დადიოდა და ფირობდა თუ-რმე. მხოლოდ ამის შემდეგ დაუწერია მო-დევნი სტრიქონები...

ვაჟა-ფშველა ჩვენი საგანმტრია. თე-ატრომა ამ საცნობელოს გამოუყენება სცადა. აჯერად წარუმატებლად, მაგრამ იქ შე-კრებილი სამსახიობო პოტენციალი, იმის საფუძველს იძლევა, რომ ვიფიქროთ, წინ მათ დიდი წარმატებები ელით.

# ქართველი ყველაფერი გვაქვს, რეცლურიდა — ხოდ

## სოფია ყანომხმარეთია იუციძია

ხათუნა ნურაძე

სათუნა ტულაძე — დღევანდელი ჩვენი შეკრების მთავარი მიზანი არის იმ საჭიროობის პრობლემების წარმოჩენა, რომლებიც მიხეილ თუმანიშვილის თვატრიდან ამჟამად უკვე სამუდამო წასლის შემდეგ წარმოქმნა.

მოგი მარგვლებიდან — თავისთავად ის ფაქტი, რომ მიხეილ თუმანიშვილი ჩვენგან წავიდა, უზარმაშარი პრობლემა.

ხ.შ. — რა თქმა უნდა, პრობლემაა და ამ სამი წლის განმავლობაში უპევ უნდა გამოკვეთილიყო ეს პრობლემა დასძლია თვატრმა თუ კერა...

ბ.მ. — აბსოლუტურად დასძლია. 47 თვატრიდან საქართველოში მხოლოდ II თეატრი მუშაობს. დაბაზჩენი განვითარებულია. ჩვენ კი ცოცხლები ვართ.

ხ.შ. — გარდა იმისა, რომ ცოცხლები ხართ...

ცერზარ ბაზრატიშვილი — ძირითადად ეს არის დამსახურება იმ ინერციის, რაც ბ-ნი მიშას სიცოცხლეში იყო ამ თვატრში.

ხ.შ. — და კიდევ ამ ინერციით აგრძელებთ მოძრაობას?

ბ.მ. — პირველ რიგში, ამ ინერციით და თვატრს რომ სამუალება პქონოდა, მეტი სპექტაკლები დაედგა, აღმათ, უფრო იღლად შევძლებდით ჩვენი შემოქმედებითი პრობლემების გადალახებას.

ხ.შ. — ძირითადად რა ფაქტორზე იფე ეს დამოკიდებული?

ბ.მ. — პირველ რიგში, ფინანსურ ვაქტორზე.

გ.მ. — ჩვენი თვატრი ხომ კერძო არ არის, დოტაციაზე.

ნ.მ. — გოგი, რამდენი სპექტაკლი დაიდგა ბ-ნი მიშას გარდაცვალების შემდეგ?

გ.მ. — ბ-ნა მიშას გარდაცვალების შემდეგ დაიდგა „მარიანა პინედა“, „სერობა“, „ქაპოლი“ — მილიონერთა ქალაქი“, „გახლუჩილი სამყარო“, „ავტორის მაძხებელი ექვი პერსონაჟი“, „კილი და დუ“. ხულ 6 სპექტაკლი.


ნ.მ. — ექვსი სპექტაკლ სამი სეზონის განმავლობაში ცოტაა, მაგრამ თუ დაუშატებთ იმას, რომ თვატრს პქონდა საყმაოდ წარმატებული გასტროლები „მარიანა პინედა“ — საფრანგებიმ, „გახლუჩილი სამყარო“ — ევინბურგში, სარავერში, პოლონეთსა და მოსკოვში, ამასთან ერთად, დიდი გასტროლები მოსკოვში, მაშინ ჩვენი მოღვაწეობა ამ სამი წლის განმავლობაში წარუმატებლად არ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ, შემოქმედებითი ოვალისახრისით, მაინც გვაქვს რაღაც უქმარისობის გრძნობა, რადგან, ჩემის პრიოტ, მაინც ვერ მუღავნდება ის პოტენციალი, რომელიც ამ თვატრს აქვს.

ს.ვ. - და ამის მიზეზი მხოლოდ ფონანსური დაბრკოლება?

ნ.ბ. - ელემენტარულ მაგალითს მოვიყან. გოგო მარგველაშვილის „აეტორის მაძიებელი ექვთი პერსინაუი“ ორ წელზე მეტანს მშადლებოდა. ეს ხომ კოშმარია. ეს პირველ რიგში, ხომ შემოქმედებით პროცესზე მოქმედებს. მართლაც კარგი სპექტაკლი გამოიყიდა, მაგრამ რა ძალისმეჯისა და წამების ფასად! იმის გამო, რომ პერსპექტივა არ არის, რეჟისურიება ჩერდება, ძერულაც თანხა გამოჩნდება, ისევ აუზუნა დასი, მერე ისევ ჩერდება, ა. ასეთ დღეშია თეატრი.

ს.ვ. - არ გეონიათ მცდელობა რაიმე გზის მოძებნის?

გ.მ. - დღევანდელი რეალობა ასეთია: პრატეცულად ის თეატრები, რომლებიც ფენეციონირებენ, ძირითადად ფუნქციონირებენ უკვე ასებული რეპერტუარის შესარჩუნების ხარჯზე. იმიტომ, რომ ფენებს ფინანსური პრობლემები აქვთ, სახელმწიფო აღრე თეატრებს აძლევდა ფულს, მაგრამ უსახავდა გეგმას. გეგმა იყო არა მხოლოდ ახალი სპექტაკლების დადგმისა, არამედ ძეგლი სპექტაკლების აღდგენისაც, თეატრების მუშაობის გარევეული სისტემა არსებობდა. ამ სისტემის არსებობა განაპირობებდა ახალი სპექტაკლების დაგემას (ვინც არ დგამდა, იმას პასუხს თხოვდნენ, თუ რატომ არ დადგა) და აქედან გამომდინარე, დასიც დაკავებული იყო. მსახიობები მუშაობდნენ იმიტომ, რომ სპექტაკლების რაოდენობა მათ ამის საშუალებას აძლევდა. თეატრებში ბევრი რეჟისორი მუშაობდა. აქედან გამომდინარე, შემოქმედებითი პროცესი ეითადებორთა.



გორგი მარგველაშვილი

ს.ვ. - ადრე რაც იფო, ვიცით და გასაგებია, მაგრამ ამეამად...

ნ.ბ. - დღევანდელ სიტუაციაში არანაირი საშუალება კერძო დაფინანსებისა არ არსებობს, იმიტომ რომ ამის მაგალითიც არ არის. მოლაინად კერძო ფულით დაფინანსებული სპექტაკლი, მე მოგონი, უკანასკენელი, იყო ბატონი მიშას „ამფიტეატრიონი“, იმის მერე ეს არ მომხდარა. კველდა თეატრი არის ღოტაციაზე და ამ ღოტაციას იღებს თუ არა, აქედან გამომდინარე, ის ან მუშაობს, ან - არა.

ს.ვ. - თქვენ ბრძანდებით „თეატრალური სარდაფის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და იქ ცოტა სხვანაირად წევდება ფინანსური პრობლემები.

გ.მ. - „თეატრალურ სარდაფის“ სხვანაირად არის იმ მხრივ, რომ ეს არის კერძო სტრუქტურა, ანტერპრიზა, რის გმირუ იყო ბევრი იმ სირთულისაგან, იმ უფლება-მოვალეობისა და ვალდებულებისაგან არის განთავისუფლებული, რაც აკისრია სარეპერტუარო თეატრებს მუდმივობრივებით დახებით. „თეატრალურ სარდაფის“ საშტატო თანამშრომელების რაოდენობა არის ძალიან მცირე. მცირეა იმიტომ, რომ კორ უხდიან მუზიკ ჩელიუსს. აქედან გამომდინარე, „თეატრალური სარდაფის“ შედარება სხვა

თეატრებთან არ იქნება მართვებული. სარდაფი შეიძლება შევადაროთ სხვა კონცერტულ თეატრებს, მაგრამ „სარდაფსაც“ ძალიან უჭირს, იმიტომ რომ შემოსავალი და გასავალი პრაქტიკულად ერთია. განვითარებისთვის თანხა არც „სარდაფში“ რჩება, მხოლოდ გაყიდული ბილეთების შემოსავლის ხარჯზე ყოფნა არის არსებობა თუ არა სიცოცხლე. მიუხედავად ამისა, იქ ხშირად იღგმება სპექტაკლები, იმიტომ რომ ასეთი სტრუქტურის მქონე თეატრს სხვა გზა არ გააჩნია. მისი სიცოცხლისუნარიანობა მოლიანად მაყურებელზე დამოუიღებული და ეს ჟავე აიძულებს თეატრს, რაც შეიძლება ხშირად დადგას ახალი სპექტაკლი. „სარდაფში“ ბევრად უფრო დაუნდობელია დამიკიდებულება იმ სპექტაკლის მიმართ, რომელსაც მაყურებელი არა ჰყავს. როგორც კი სპექტაკლს მაყურებელი კულდება და სპექტაკლის დაგდგისათვის გაწეული ხარჯი რამდენიმეჯერ აღემატება მის შემოსავალს, იგი ისხება რეპერტუარიდან. სარეპერტუარი თეატრში, სადაც არსებობს მუდმივმოქმედი დასი, ეს ძალიან როგორდა. ამიტომ აქ კიდევ არსებობს ისეთი პრობლემა, როგორც არის მსახიობისთვის სამუშაოს ქონა-არქონა. ისეთი ფუფუნების უფლება, როგორც ადრე ჰქონდა თეატრებს, რომ სპექტაკლს ჰყავდა თუ არ ჰყავდა მაყურებული, მაიც თამაშობდნენ, ჟავე აღარ არის.

ნ.ბ. - თეატრს ჸქონდა 60000 ლარიანი ბიუჯეტი და ეს ფატიურად თეატრის დაღუპვა გულისხმობდა. თეატრს სჭირდებოდა მინიმუმ 200000 ლარი. კველა შევაწრიალეთ, ვიყავით პარლამენტში, კანცელარიაში. პრეზიდენტთა მდგრადი კი მიაღწია ჩვენმა თხოვნა-განცხადებამ. აი, რა დააწერა ჩვენს თხოვნას პრეზიდენტმა: „არა ერთხელ მითქვამს, რომ კონომსაბიობთა თეატრს, მართლაც, სჭირდება განსაკუთრებული კურადღება და დახმარება. ეს თითოეული ჩვენთაგანის ვალია ბატონი მიშმს ხსოვნის და მომავალი თაობის წინაშე. ეს თეატრი შენარჩუნებული უნდა იქნას, როგორც მემორიალურ-მოქმედი თეატრი“. - ე. შევარდნაძე. არ გაინტერესებთ ამის შემდეგ რა მოხდა?

გვქონდა 60000 და ამის შემდეგ გაგვიხადეს 43000.

### ს.ვ. - რატომ?

გ.მ. - საქმე ისაა, რომ ბიუჯეტი შეგვეცა. და როგორც კველის შეუკვეცეს, ისე ჩვენც. დამტკიცებული ბიუჯეტი რომ შეგცირდა, შესაბამისად ჩვენც შეგვიმცირდა. ამ შემთხვევაში ძალიან დაგვეხმარა რესთაველის თეატრის გენერალური დირექტორი - გია თევზაძე.

ნ.ბ. - მიუხედავად თავისი გასაჭირისა, რაღაც რესთაველის თეატრიც იგივე სიტუაციაში აღმოჩნდა, როგორმც ჩვენ.

გ.მ. - მიუხედავად იმისა, რომ რესთაველის თეატრს არ ყოფნის ის თანხა, რომელიც გამოიყენეს, მან 18000 ლარი თავისი თეატრისთვის გათვალისწინებული თანხიდან ჩვენს ბიუჯეტში გამომარიცხინა.

ძალიან დიდი დახმარება გაგვიწია ბ-ნბა ვარი ზოდელავამ, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არა ვართ შენიცამალური თეატრი, მაიც გამონახა საშუალება თეატრისთვის გამოიყენე განსაზღვრულ თანხა. მაგრამ აქაც გარევეული პრობლემა გაჩნდა, იმიტომ რომ ფიზიკურად არ არის ეს თანხა. ქალალდე კველაფერი გვაქვს, მაგრამ რეალურად - არა. ერთ-ერთი ბოლო პრემიერის - პირნდელის „ავტორის მაძიებელი ექვს პერსონაჟი“ გამოშევბა მხოლოდ იმით მოვახერხეთ, რომ კულტურის სამნისტრო დაგვეხმარო, თუმცა არც კულტურის სამნისტროს არ ვეკვეთინთ. ჩვენ ვართ საქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ შემადგენელი ნაწილი. ახლა არის გარევეული პროექტი და ეს ანრი ჟავე მომწიფდა - კველა თანახმა, რომ ჩვენი სტატუსი გაირცეს, გაირცეს ის, თუ ვის დაკვემდებარებაში შევალო, აღბათ, უფრო

მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში. არსებობს იმის პრეცენტი, რომ მოწარდ მაკურებელთა თეატრი არის რამდენიმე უწყებრივ დაქვემდებარებაში. ახალი კანონით თეატრის შესახებ უკვე შესაძლებელი გახდა, რომ თეატრის დამფუძნებელი და თეატრის მესკური იყოს რამდენიმე უწყება, როგორც უელრალური, ასევე მუნიციპალური დროის და კერძო პირიც კი. ამჟამად მძღინარეობს ამ პროექტზე მუშაობა და იმედი გვაქვს, რომ ეს კვლავური მოგვარდება.

ს.წ. — გარდა ამ ფინანსური პრობლემებისა, ცნობილია, რომ თეატრის დასში არ სუვერეს ისეთი ერთსულოვნება, როგორც მანამდე იყო.

გ.მ. — საკონკრეტურად ისმის ეს კითხვა და მგონია, რომ ამ კითხვას და ამ პრობლემას სკამს ის, ვინც გართობისათვის თქმას უქმდს. ჯერ ერთი, დაასახელოს ვინმემ თეატრი, სადაც კვლავს ერთი პრი აქვს.

ს.წ. — არა, მე კვლლის ხმობ თეატრის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს, რომელიც რეალურად არსებობს და ამაზე თვალის დაზუჭვა, მე მგონი, არ ღირს იმიტომ, რომ, თუკი თეატრის ხელმძღვანელობას არ სურს თეატრის გარეთ გააღწიოს იმ ამბებმა, რაც მის შიგნით ხდება, ის მაინც გადის, ოღონდ გადის ჭორების სახით და გაცილებით უხამს ფორმებში — დამახინჯებულად.

გ.მ. — გასაგებია. მათიც მე კვტყვით, რომ პრობლემა რატომღაც გაჩნდა იმის გამო, რომ ამ თეატრის დამარსებლებმა თავიანთი სურვილით, თავიანთი ენთუზიაზმით თეატრი ჩამოაყალიბებს და კვლავს გაუკეირდა, როდესაც ამ თეატრის დასმა გამოიქვა სურვილი, რომ მას აქვს კანონიერი უფლება თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედა — თეატრის გარდაცვალების მერე ვინ უნდა იყოს ამ თეატრის ხელმძღვანელი. რატომდაც ვითოვამ ჩათვალა, რომ მას ამის უფლება არა აქვს. ასეთი უფლება შეიძლება არა აცი სახელმწიფო თეატრს. თუმცა, ესეც გაუკებარია ჩემთვის, ანრის გამოიყენების უფლება რატომ არა აქვს. იმიტომ, რომ პრის გამოიტანის უფლება კვლავ უნდა ჰქონდეს, კვლავ დას კვლავ თეატრში.

ს.წ. — რა თქმა უნდა, თეატრის დასმა უნდა აირჩიოს თავისი ხელმძღვანელი.

გ.მ. — არსებობს კანონი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო თეატრში ხელმძღვანელს ნიშნავს სახელმწიფო.

ს.წ. — და ეს მიუღებელი კანონია.

გ.მ. — რამდენად მიუღებელია, ეს არ ვიცი, არსებობს ერთი კანონი და ერთი ლოგიკა საერთოდ: მუსიკას უკვეთავს ის, ვინც ფულს იხდის. ეს რეალობა და ამიტომ, როდესაც სახელმწიფო თეატრში ხელმძღვანელს სახელმწიფო ნიშნავს, ეს გასაგებია. როდესაც კერძო თეატრში ამ თეატრის დამფინანსებული ნიშნავს, ესეც ამსოდებულად



გიორგი მიხარულიძე

ლოგიურია, მაგრამ როდესაც თეატრში, რომელსაც არ გააჩნია სახელმწიფო სტატუსი, რომელიც უზენაციონისტებს უკვე 25 წელიწადა, რომლის დასმაც მისთვის მასამდე უცდლელ ხელმძღვანელთა მიხევილ თუმანიშვილთან ერთად მოიარა მთელი მსოფლიო, ყველგან ჰქონდა ძალიან დიდი წარმატება, რატომ გაუკეთდა ვინძეს, რომ ამ დასმა გამოიჰქონის სურვილი, თვითონ გადაეწყვიტა თავისი მომევალი ცირკუნციის ზე.

ს. ტ. — ის, რომ თეატრის დასმა აირჩია თავისი ხელმძღვანელი, ბუნებრივია, მაგრამ დღემდე საბოლოოდ არ არის მოგვარებული ეს საგათხო.

ნ. პ. — მე ვითახებდებ და მოგახსენებთ: თუ ეს პირები არჩევნების დროს ნუგზარ ბაგრატიონის წინააღმდეგ იყო დასის 14 წელი და მომსრუ 16, ბოლო არჩევნების დროს წინააღმდეგი იყო მხოლოდ 4. მე მგრინი, ეს უკვე რაღაცაშე მტკველებს. მაპატიეთ, ჩემგან შეიძლება ცოტა თახებურადაც იძინის ასეთი განაცხადი, მაგრამ...

გ. პ. — მაგრამ ეს როგორც არგუმენტი, რომ პრობლემა აღარ იყოს.

ს. ტ. — ე. მ. უკვე შეიძნევა გარეველი სტაბილიზაცია.

ნ. პ. — რაც შეეხება შემოქმედებით მხარეს, ჩემის აზრით, უპირველეს ყოვლისა, ფინანსური პრობლემებიდან გამომდინარე, შემოქმედებით სევერში მართლა გვაქვს პრობლემები, იმიტომ რომ ბევრი მსახიობი, აქტიურად არ არის დაყავებული რეპერტუარში, არა კერძო ისეთი რეპერტუარი, როგორიც ჩემ გვინდა გვქონდეს, არა ვეღამზ იძლევ სპეციალის, რამდენიც ჩემ გვინდა რომ დავდგათ და სხვა.

ს. ტ. — ბატონო ნუგზარ, თუ მიგაჩნიათ საჭიროდ, რომ თეატრის ხელმძღვანელი უნდა ფლობდეს ძალაუფლებას და რა არის თქვენთვის იგი — ძალით მოპოვებული უფლება, ძალა და უფლება თუ ედევ სხვა რა?

ნ. პ. — მოგახსენებთ, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ იმში, რომ თეატრის ხელმძღვანელი უნდა ფლობდეს ძალაუფლებას. პატარა დიქტატორი, ალბათ, უნდა იყოს, მაგრამ ამ თეატრში ეს გამორიცხულია, იმიტომ რომ აქ აბსოლუტურად სხვა ურთიერთობებია. ამით არის ეს თეატრი უნივერსიტატი. რაც არ უნდა დად უფლებას და ძალას ვფლობდე მე, ჩემი შიდა, არასოფიცალური ურთიერთობები ბევრად განსაზღვრავენ ჩემს რეფიციალურ ურთიერთობებს. ამიტომ ბოლომდე კრიც შევქლებ და არც გამომიგა, რომ სტანდარტული ხელმძღვანელის მოდელი შევქმნა აქ ნაირვამა, რომ უნდა გასცე ის ბრძანება, რომელსაც დარწმუნებული ხარ, შეგისტულებებს. ჩემი ნიან უფრო მეგობრული ურთიერთობებია, ვიდრე რეფიციალური. ეს, ალბათ, გარევეულწილად სირთულეებს უქმნის ხელმძღვანელიას, მაგრამ გარევეულწილად ძალიან დადგებით მუნტეს ატარებს ურთიერთობაშიც და თეატრის სტაციონურაშიც.

გ. პ. — ძალიან ადვილია იძინი შეფასება, თუ როგორ მუშაობს თეატრი: არსებობს რამდენიმე მაჩვენებელი: რეპერტუარი, წლის მანძილზე ნათამაშები სპეციალისტების საერთო რაოდენობა, რამდენად სისტემატურად თამაშობ და რამდენი მაფურებელი ესწრება შენს სპეციალისტებს. ანუ რამდენად მოსწონს მაფურებელს, ხალხს, ის, რაც ხდება თეატრში და, რასაც აჩვენებს ამ თეატრის სცენაზე. ყველა ამ მონაცემით ჩემ არცერთ სხვა მოქმედ თეატრში უარესი არა ვართ, უკეთესი თუ არა. ანუ 12 სპეციალი რეპერტუარში ძალიან ცოტა თეატრს აქვს, ჩემ კი ეს გვაქვს.

ს. ტ. — მათ შორის ძევლი სპეციალისტებიც.

გ. პ. — რამდენიმე თეატრი თუ მუშაობს დღეს სისტემატურად საქართველოში და პრატიცელულად ყველგან არის თითო-თოროლა ისეთი სპეციალი, რომელიც უკვე უც წელშე მეტად რეპერტუარშია, ჩემთან, მაგალითად, ასეთ არის „ბაკულას ღორება“, რესთაველის თეატრში — „საბრალოებრ დასკვნა“, მარჯვინიშვილის თეატრში — „პროექტი-

ული ამბავი” და ა.შ.

რაც შექხება სქმონის მანძილზე ნათამაშებ სპექტაკლებს, ჩვენთან ეს რაოდენობა, როგორც წესი, არის ასი. ზოგჯერ ასწე ცოტა მტრი, იძიტომ რომ ჩვენ სისტემატურად ვთამაშობთ სამ სპექტაკლს ქვითამი. ამასაც ყველა ვერ ახერხებს. არავის არ გვაძირებით მაგრამ როდესაც შეფასებაზეა ლაპარაკი, უმჯობესია რეალურ ფაქტებზე ვალიდობის რაკო. მტჩე, რაც შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და არა მტჩე, თუ ვინ როგორ ხედავს ამა თუ იმ მოვლენას. სპექტაკლების რაოდენობა არის სპექტაკლების რაოდენობა. რეპერტუარში არსებული დასახელებების რაოდენობა არის რეპერტუარში არსებული დასახელებების რაოდენობა. სქმონის მანძილზე გამოშვებული ახალი სპექტაკლები უკვე ფინანსებთან არის დაკავშირებული. მდგრადარეობა კი ასეთია და ეს ყველა ფირი კერდება იმ ფონზე, რომ ჩვენ საყუთარი ფონდის გარდა ერთი თეორიც არა გაქვეს ზედმეტი და იმ ფონდიდან, რაც გვეკუთვნის, მესამე თვეა ხელფასი არ მიგვიღდა.

ნ.ბ. – რაზე შეიძლება იფოს ლაპარაკი, როდესაც რუსთაველის თეატრის შემდეგ, რასაკირველია, ამდენი მიწვევა უცხოეთში გასტროლებზე არცერთ სხვა თეატრს არ ჰქონია და გულსატკნია, როდესაც თეატრში მიიღო პერსონალური მოწვევა გრენობლის ფესტივალზე და ურ წაუყდით, იძიტომ რომ ურ ვაშოვეთ 16000 ლარი. ეს ჩვენი ფესტივალისთვის არის გულსატკნი, როცა შეგვიძლია გავიტანოთ, როცა ასეთ საშუალებას ერთხელ გაუშევდით ხელიდან, მეორედ, მესამედ, მერე უკვე შეიძლება საერთოდ დაგავიწყდეთ. კიდეც. ბატონი მიმა ამბობდა, თეატრი უნდა არსებობდეს იმ ქალაქისთვის, იმ ქაჩისთვის და იმ უბისთვის, სადაც არსებობს, მაგრამ მაინც როდესაც გაქვს საშუალება და უნარი, რომ გაიტან...

ხ.ვ. – ამ თეატრში არსებობს ერთგვარი ტრადიცია მიწევილ თუმანიშვილის სკოლისა. არსებობს თუ არა საფრთხე ამ ტრადიციის დაკარგვისა.

ნ.ბ. – არა, აკერ ბრძანებულია ასაღვმრდა რეფისორი გორიგი სიხარულისე, რომელიც აგრძელებს მიხეილ თუმანიშვილის მოწაფეა. აქ ვინც ვსხვდვართ, ფაქტურუად ერთ ენტებ ვლაპარაკობთ. ბევრს ეს რატომდაც აღიზიანებს და მიკვირს, რატომ უნდა აღიზიანებდეს. ჩვენ გვაქვს ერთი თეატრალური ესთეტიკა. მიუხედავად იმისა, რომ გორი აპხოდისტურად განსხვავებულია ნუქარ ბაგრატიონისაგნ და ნუქარ ბაგრატიონი აპხოდისტურად განსხვავებულია გორიგი სიხარულისისაგნ. მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ თუმანიშვილის ვერ შეცვლის ვერავა, გორი მარგველაშვილი და გორიგი სიხარულიდება სტუდენტებს ასწავლიან, ჰყავთ თავიანთი სამსახიობო ჯგუფი, თავიანთი სახელოსნი და შექება სწორედ ამათგან მოღის. ეს იგივე ბატონი მიშას ტრადიციების გაგრძელებაა.

ხ.ვ. – რა თქმა უნდა, მაგრამ ხომ არ არის მაინც აუცილებელი, რომ თეატრში შემოვიდეს სხვა თეატრალური მიმდინარეობებიც. ბატონ მიშას ჰქონდა თავისი თეატრი და თქვენ, ბატონი მიშას მოწაფეები, მივევბით მის გზას. შესაძლოა, თქვენთვის მიუღებელი იფოს სხვაგვარი თეატრალური სკოლა, მაგრამ თეატრის მრავალფეროვნებისა და განახლებისათვის, იქნება, ეს საჭირო იყოს?

გ.მ. – ჯერ ერთი, ეს ხდებოდა მექნიკურად და აპხოდისტურად ბენებრივად, რაღაც თუმანიშვილს ყოველ ხეთ წელიწადში ერთხელ თეატრალურ ინსტიტუტში აუცილებელი გვითავთ, და შესაბამისად, როდესაც ეს ჯგუფი ამთავრუებდა ინსტიტუტს, დღიდ ნაწილი მოღიოდა თეატრში. ასე, რომ ეს შეეხება ხდებოდა აპხოდისტურად ბუნებრივად

და არაუერი ამაში გასაკვირი არ არის. ამას კველაფერს ხელს უწყობდა კოლგ ისიც. რომ ეს იყო სტუდია-სახელონსო, ეს არ იყო სახელმწიფო თეატრი (ჯერ-ჯერისით დღესაც არ არის სახელმწიფო თეატრი), სადაც დასის ფორმირება ზღდის უფრო სხვა პრინციპებით. ეს იყო ერთი ადამიანის სურვილით, თავის მოწაფეებით. ერთად, თავის მეგობარ, ბატონ რეზო ჩეიიძის უნარმქარი დახმარებით შექმნიდა ტეატრი, სადაც კველაფერი გმორჩილებოდა ამ ადამიანის ხებას, სურვილს და ესთეტიკას. და მიუხედავად ამისა, ამ თეატრში გარდა ბატონი მიშას მოწაფეებისა, მუშაობენ სხვა პედაგოგების მოწაფეებიც. რაც შეეხება რუსთაველის თეატრს და რობერტ სტერნს, იგი თვითინ არ ეწევა პედაგოგურ მოღვაწეობას.

ბ.მ. - მაგრამ მისი გავლენა მაინც აშეარაა.

ბ.მ. - მისი გავლენა აშეარაა თვითონ თეატრის სახეშე.

ბ.მ. - და რეგისტრებზეც.

ბ.მ. - და რეგისტრებზეც, რომლებიც მას ბაძავენ.

ბ.მ. - შეიძლება ეს არ იოს აშეარა მიბაძების სურვილი, მაგრამ ბაძავენ ქვეცნობიერად, რაღაც დიდი ხელოვნება თავისთავად ახდენს ზეგავლენას.

ბ.მ. - რა თქმა უნდა, მაგრამ ეს განსაკუთრებით მეცენატურად ჩანდა მანამ, სანამ დაცემილი იყო ეს ქვეყანა. საქმე ისაა, რომ განსხვავებით თუმანიშვილის თეატრისაგან, სტერნუას თეატრის სხვადასხვა პედაგოგთან ნახწავლი ხალხით არის საცხე. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სტერნუა ჯერ-ჯერობით არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. მხოლოდ ამით არის ეს განცრობებული და არა იმიტომ, რომ ვიღაცას ჩაცემილი სამყარო აქვს და ვიღაცას გაბსნილი.

ბ.მ. - თვითონ ბატონი მიშა მკაცრად იცავდა თავისი თეატრის გსთვეტიკას.

ბ.მ. - იმიტომ, რომ თუმანიშვილი თვლილი თეატრს უნდა გააჩნდეს საკუთარი სახე და ჩვენც ასევე კველანაირად კედლებობთ და ჯერ-ჯერობით ვახურხებთ, მე მკონი, რომ თეატრს ჰქონდეს საკუთარი სახე.

ნ.ბ. - ზოგში გაყვირვებას იწვევს, ზოგში გაღინძინებას ის, რომ ერთი გზის გამტარებლები ვართ კველანი. ჩვენ ერთი პრინციპი გვაქვს.

ბ.მ. - ეს ბერუად განაპირობა იმანაც, რომ თუმანიშვილი წლების განმავლობაში იყო თეატრის ერთადერთი ხელმძღვანელი, რომელსაც ჰქონდა თავისი თეატრი და ამავე დროს იყო, წლების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. უცვლელი ღრულებები თეატრების, წლების მანძილზე რომ სამსატერო ხელმძღვანელები არიან, ბოლო ოცი-ოცდახუთი წლის მანძილზე იყო თუმანიშვილი და არის სტერნუა, სხვა თეატრები იცვლიან. ხელმძღვანელებს.

ბ.მ. - ამ ბოლო წლებში ბევრ თეატრში შეიმჩნევა ეს ტენდენცია. რატო-მდაც ფიქრობენ, რომ, თუ მთავარი რეგისორი ტოვებს ერთ თეატრს, მან აუცი-ლებლად იგივე პოსტი უნდა დაიკავოს რომელიმე სხვა თეატრში.

ბ.მ. - ეს ძირითადად ეწება უფროსი თაობის წარმომადგენლებს, რომლებიც რაღაც გარეული კარტუსელის პრინციპით ცხოვრობენ.

ბ.მ. - როცა რეგისორი ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს ერთ თეატრში, რატომ პონიათ, რომ ის აუცილებლად შეასრულებს ამ ფუნქციებს მეორე თეატრში?

ნ.ბ. - საქმე, აღბათ, ისაა, რომ ამ პიროვნებებს თავის დროზე გარეული დამსახურება და შეიძლება ძალიან დიდი დამსახურებაც კი აქვთ ქართული თეატრის წინაშე. და შეიძლება დღეს ისინი უკკე აღარ არგიან თეატრს, მაგრამ ჩვენ მაინც იმ ძველი



„შლეიფის“ შემყურებელი გართ. ეს კიდევ არ არის ისეთი დიდი ბრალდება. დღესხდეულით ჩემი გველაზე დიდი სატყიარი ის არის, რომ ოქტომბრის და საერთოდ, თუამრისის პროექციისთვის დაგვეარცვა სამსახიობი ხელოვნების შეფასების ერთეულიმ. და საერთოდ, სპექტაკლების შეფასების კრიტიკისუმი, მე მგონი, უკვე აღარ არ სეკობს. ზოგჯერ ვაქებით ისეთ სპექტაკლს, რომელიც არ არის საქებარი (ჩემს სპექტაკლებსაც ვკულისხმობ), ძალას ცოდნავის თეატრმცოდნები, ჩემდა სამწუხაროდ, ჩემ კოფილი პედაგოგებიც კი. აღრე რაღაც პრინციპები გააჩნდათ, ახლა კი გაუცხოება ხდება.

ს.ღ. - თავად რეჟისორები ძალიან მტკიცნეულად იღებენ თავიანთი სპექტაკლების ხარვეზებზე საუბარს. აქ უარყოფით შეფასებაზე არა მაქვს ლაპარაკი.

ბ.ბ. - როცა ცუდს წერენ, არავის არ სიამოვნებს, როცა კარგს წერენ, ვეღას სიამოვნებს. გაღიზინებას იწვევს მხრილოდ ის სტატია, რომელშიც კრიტიკის იწყებს ახალი სპექტაკლს დადგმს, თავის კონცეფციას სთავისობს რეჟისორს და თავისი კონცეფციით ვკამათება უკვე არსებულ სპექტაკლს. ამ შემთხვევაში გაუგებარი ხდება თამაშის პირობები. მაგრამ, როდესაც კრიტიკოსი წერს სტატიას არა თავის წარმოსახეაში არსებულ სპექტაკლზე, არამედ კინცრეტულად არსებულ სპექტაკლზე, შეიძლება სალანბრავი სტატია დაწეროს, შეიძლება საქმარი, მაგრამ სალანბრავის შემთხვევაშიც კი არავის არ აღიზინებს ეს. აღრე კომუნისტების დროს თეატრალური კრიტიკა ძირითადად იყო პროფესიონალი თეატრმცოდნების ხელში.

გა ამგალაშვილი

ს.ღ. - თქვენ თვლით, რომ ახლა არაპროფესიონალების ხელშია?

ბ.ბ. - ახლა პრესაში სტატიებს ბეჭდავენ როგორც პროფესიონალი თეატრმცოდნები, ისე ურნალისტები, რომლებიც არაპროფესიონალები არიან ამ საქმეში. ამიტომ ძალიან მკეთრია განსხვავდა სტატიებში, რომლებსაც წერენ პროფესიონალი თეატრმცოდნები და რომლებსაც წერენ უბრალო ურნალისტები, რომლებიც თეატრით არიან დაკავებულები.

ს.ღ. - გორგო, შენ, როგორც ახალი თაობის წარმომადგენელს ამ თეატრში, გქონდა თუ არა რაღაცის შეცდილის სურვილი, გაგინდა თუ არა წინააღმდეგობის გრძნობა უკვე არსებული ტრადიციების მიმართ (მე ვგულისხმობ არა

მტრულ დამოკიდებულებას, არამედ განსხვავებულ დამოკიდებულებას), იფრ თუ არა კონფლიქტები. მოკლედ, მაინტერესებს, როგორ მოხდა შენი დაშვერილება კიომასახიობთა თეატრში.

2007-იტ სისხლულიდე – ჩემდა საბედნიეროდ, ამ თეატრში მე მომზევასა ბატონშა მიშამ. პირველი სპექტაკლი (ლორუს „მარიანა პინედა“) ბატონ მიშასთან შესანხტებით განხორციელდა. აქედან გამომდინარე, ის, რომ ბატონ მიშასთან, ჩემს პედაგოგიან მოესულიყავი ამ თეატრში, ჩემი დიდი სურვილი გახლდათ. ფაქტორად მთელი ჯგუფი მოვედით აქ და ჯგუფთან ერთად განვახორციელებ პირველი სპექტაკლი. და აქც ჭველა გვერდით დაგვიდგა, როგორც შეკძლოთ გვებმარქირობენ, რომ ეს სპექტაკლი განხორციელებულიყო, მითუმეტეს, რომ რეპერტიცების მსვლელობის პერიოდში ბატონი მიშა გარდაიცვალა და მე დახმარებისა და თანადგომის გარდა სხვა არავერი მიტრინა.

ს. მ. – დათო დთამაშევილის სადაბლომ სპექტაკლთან დაკავშირებით გარეკვეული პრიმობლებით წარმოიქმნა, რადგან ბატონი მიშას სათეატრო ესთეტიკისთვის მიუღებელი იყო ეს ნაუშევარი.

ნ. ბ. – მე ვარ ამის მოწმე. გეთანხმები, რომ იყო პრობლემები.

დღემდე ვთვლი, რომ დაისა სპექტაკლში (მიუხდავად იმისა, რომ საინტერესო სპექტაკლი და წარმატებით სარგებლობს) ბევრი რამ არის საყმაოო და ბუნებრივია, რომ ბატონ მიშასთვის რაღაც იქნებოდა საყმაოო. იყო ამაზე ქამათი, რასი მომსწრეც მე ვარ, მაგრამ მუხედავად იმისა, რომ ბატონი მიშა ბევრ რამეში არ ეთანხმებოდა, პრემიერა მაინც შედგა.

ს. მ. – გოორგი, ასეთივე შედეგი ხომ არ იქნებოდა შენი „მარიანა პინედა“ რომ ენახა ბატონ მიშას?

ბ. ს. – არ არის გამორიცხული.

ს. მ. – მე მიმანია, რომ ეს სპექტაკლი საქმაოდ განსხვავდება მიხეილ თუმანიშვილის სათეატრო ესთეტიკისაგან.

ნ. ბ. – ასე ჩემს „ვატერპოლოში“ ბევრი რამ იყო ბატონ მიშასთვის მიუღებელი, მაგრამ სპექტაკლის პრემიერის შემდეგ გულწრფელად მომიღლოცა და გახარებული იყო სპექტაკლის წარმატებით. იმიტომ ვარ მე ნეგტარ ბაგრატიონი, რომ რაღაცით განესხვავდოდე სხვა რეჟისორისაგან. ძალასაც რომ გვინდოვას, ჩენ ვერ ვიქებით მხეილ თუმანიშვილები და არც არის საჭირო, რომ მისი ასლები ვიყოთ.

ს. მ. – ამებად არის თუ არა თეატრში რეჟისორებისა და მსახიობების ახალი ნაკადი.

ნ. ბ. – რეჟისორებიდან ვართ ქეთი ღოლიძე, გოგი მარგველაშვილი, გორგი სიხარულიძე და მე. ახლა ახალგაზრდა რეჟისორი მანანა კვირკველია მოვიდა ჩენთან სანტერესო პიესით და აპირებს სპექტაკლის განხორციელებას.

ს. მ. – თქვენი თეატრის წამებანი მსახიობები უკვე სშირად თამაშობენ სხვა თეატრების სცენებზე. ხომ არ არის ეს გამოწვეული თეატრის რეპერტუარში მათი დაუკავებლობით?

ნ. ბ. – შეიძლება ეს პრობლემაც არის, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ უფრო ღრუობ განაპირობა. ვერ გვტევით, რომ ვა როინიშვილს აქ ალია როლები, მაგრამ მანც თამშობს „თეატრალურ სარდაზში“.

ს. მ. – ზურა გდებიძე?

ნ. ბ. – რაც შეება ზურა ფიტშიძეს, ეს ჩენი თეატრისთვის ძალიან მტკიცნეული საკითხია. ზურა შტატში ირიცხება და მას ძალიან დიდი ხანა არ უთამაშოა ახალი

როგორ.

### ს.ვ. - და ეს ვისი ბრალია?

ნ.პ. - ეს აღმათ, ხელმძღვანელობის ბრალია, პირველ რიგში. მაგრამ ახლა ჩურა ითამაშებს მთავარ როგოს ამ ახალ სპექტაკლში. ადრე, ხეთი-ექცესი, რვა წლის წინ ძალიან იმვათად იწვევდნენ სხვა თეატრების მსახიობებს. ახლა იმის გაში, რომ წელიწადში ირჯვერ იდგმება ახალი სპექტაკლი, გარცეული შემოქმედებით შიმშილს განიცდის მსახიობი.

ს.ვ. - გია, შენ როგორ ფიქრობ, მსახიობისთვის სასარგებლოა სხვადასხვა თეატრებში მოღვაწეობა?

გია აბესალიშვილი - უბრალოდ საინტერესოა. თუ გცალია, შეიძლება წახვიდე კიდევ.

ს.ვ. - თუ გცალია იმ შემთხვევაში, თუ რაღაცა დათმო აქ და ამის ხარჯზე წახვიდე სხვა თეატრში?

გ.პ. - ამ კითხვას იმან უნდა გასცეს პასეხი, ვინც სხვადასხვა თეატრში თამაშობს.

ს.ვ. - თქვენ ჯერ არ გითამაშიათ?

გ.პ. - არა.

ს.ვ. - როცა შემოთავაზება გაქვს საკუთარ თეატრშიც და სხვა თეატრშიც და მიგანია, რომ იქ უფრო საინტერესო სამუშაოა, დაგროთავთ ხელმძღვანელობა ნებას, რომ არჩევანია თქვენ გააქოთოთ?

# ძისი ყნძინლუსობა რომის პაპი ილანკ პავლუ ॥ – ცნობილი გრამატიკის კართლ კლიფილია

მედეა კუჭუხიძე

კათოლიკური სამყაროს პირველი პირი – მისი უწმინდესობა ითანე პავლე II – ჩვენი დროს დიდი მოაზროვნე – პოეტიც არის და დრამატურგიც. აქ უწეველო არაფერია. განა ეიზიონერული პოეზიით არ გამოხატავდნენ თავიანთ ხილვებს მოციქულები და წმინდანები? თეატრალური შემოქმედების საფუძღელები კი ვველგან რელიგიასთან იყო დაკავშირებული. სამწებაროა, რომ სეკულარიზაციამ ზოგან სრული განვეთა გამოიწვალ. არადა, იმას, რასაც ესოდენ ღრმა ფესვები აქვს, ვერ აღმოფხვრი და თუე იბლად მიუშვებ, ისეთ ნაყოფს გამოიღებს, რასაც დღეს ვძმით აგრესით, ავხორცობით და სიძულვილით აღსავს უსევდოსელოვნების სახით.

რომის პაპი თეატრის ქრისტიანობის არსთან (სიფარულთან) დაკავშირებას ცოდნობს: „სიფარული უწეველად დრამაა იმ გაგებით, რომ იგი ერთგვარი ქმედებაც არის და ამავდროს მოქმედება და სწორედ ამას გულისხმობს ბერძნული სიტყვა draq, რომლისგანაც მოდის „დრამა“. ამგვარად, dramatis personalis და უ თავიანთ თავში აღმოჩენენ დრამის სიუჟეტს, აღმოჩენენ სიფარულს – განუმეორებელ ფიქტოლოგიურ სიტუაციას, რომელიც მათი შინაგანი არსის მეტად მნიშვნელოვან მააბსორბციიებელ ფაქტორს წარმოადგენს“.<sup>1</sup> ამ დებულების შესანიშნავი ნიმუშია პიესა „ოქრომჭედლის სახელოსნოს წინ“, რომელიც ავტორის ეპისკოპოსობის დროს დაიწერა 1960 წ. პოლონურ ენაზე. ეს რომის პაპის (ერისკაცობაში კაროლ კოიტილას) ერთადერთი პიესა არ არის – სხვა პიესებიც აქვს. მის უწმინდესობას ყოველთვის უყვარდა თეატრი; ახალგაზრდობაში გამოიდიოდა კიდევ სცენაზე, როგორც მსახიობი. 1941 წ. პოლონეთის უკავაციის დროს, მ. კოტლიარჩიკთან ერთად შექმნა თეატრი კრაკოვში. ეს თეატრი მთავრობამ 1953 წ. დახურა. კაროლ კოიტილას სასულიერო წოდების მიღების შემდეგაც არ გაუწყეტია თეატრთან კავშირი –

რეგულარულად წერდა მიმოხილვებს და რეცენზიებს. მონაწილეობდა თა თეატრის მუშაობაში, როგორც დრამატურგი, თეორეტიკოსი და მსახიობი, მან ხელი შეუწყო განსაკუთრებული სახის თეატრის განვითარებას – ე. წ. რაფხსოდიული, ანუ სიტყვის თეატრის განვითარებას. ვოიტილა – დრამატურგმა თეატრალური პირობითობა ქრისტიანული მისტიკური თეატრის ჟუსტებს დაუკავშირა, სადაც ადამიანის შინაგანი და გარეგანი ცხოვრება განგების თვალთახედვით განიხილება, როგორც ერთი მთლიანობა.

კაროლ ვოიტილა განუწყვეტლივ ანვითარებდა რელიგიური თეატრის თანამედროვე ფორმას; ამავე დროს, იგი ნოვატორო დრამატურგია ფართო მნიშვნელობითაც. „ოქრომჭედლის სახელოსნოს წინ“ ჟანრს აეტორი ასე განსახლევრავს: „დროდაღრი დრამად ქცეული მედიტაციები ქორწინების საიდუმლოებაზე“. 1960 წ. პიესის დრამატურგიული ფორმაც ნოვატორული იყო\*. პიესაში მოქმედება გარეგან მოვლენებზე არ არის აგებული. აქ მთავარია ზნეობრივი ურთიერთობის, გამოყენებული თუ გამორჩებილი შესაძლებლობების დინება და, ცხადია, ნაწარმოებს რეფლექსური ხასიათი აქვს. გარდა ამისა, მოვლენები ქრისტოლოგიურად არ კითარდებიან, უფრო მეტიც – აქ არ არის კონტრეტული დრო და სივრცე. პიესის შინაგანი მოძრაობა ერთდროულად წარსულშიც ხდება და აწმოოშიც, რაც მეტაფიზიკურ პერსპექტივას წარმოაჩენს. ავტორი გულისხმობს და ეს პიესაში ნათლად ჩანს, რომ უფალი ყოველი აღამიანის ცხოვრებას ხედავს მთელი სისრულით, მთლიანად და არა ამა თუ იმ მოქმედში. აქ აღმიანი მეტაფიზიკური თვალსაზრისით განიხილება: ოქრომჭედლი და მისი სახელოსნო არსებობენ ან არ არსებობენ იქიდან გამომდინარე – გვაქვს თუ არა გვაქვს ჩვენ მათი შემჩნევის სურვილი და მოთხოვნილება. რაფხსოდიული თეატრის პრინციპიდან გამომდინარე, დრამაში სიტყვას აქვს არა პოპულარული, არამედ სუფთა იდეის მნიშვნელობა და დატვირთვა. აქ არის არა ფაბულა, არამედ პრობლემა – პრობლემა თამაშობს. რატსოდიული თეატრისათვის პრიობლემა აბსტრაქციაა – ფაბულის დასამუშავებლად არ არის გამოყენებული; თუ არის ფაბულა, ის პრობლემის მიღმაა. აქ ორი კონცეფციიდან (I ფსიქოლოგიურ-ემპირიული და II მსოფლმხედველურ-აბსტრაქციული) არც ერთი არ არის აქტუალური – ორივე კონცეფცია ერთმანეთს ავსებს.

ყოველივე ეს ძალის უწეველოა და მხელი. ამაში თავად დაერწმუნდი, როდესაც წილად მხვდა ბეჭინიერება, ავიზდინე ოცნება და 1996 წ. „ოქრომჭედლის სახელოსნოს წინ“ დავდგი მარჯანიშვილის თეატრში. თეატრის მესვეურებს ეჭვი ეპარებოდა, რომ პიესა დასადგმელად გამოდგებოდა, უფრო საკითხავათ, – ასე ამბობდნენ. შესაძლოა, დღეს ეს არც იყოს გასაკვირი, ახლა ხომ თბილისში მხოლოდ ერთი ფანრი გაბატონდა, ე. წ. „შოუ“ (სანახობა), კლასიკური ნაწარმოებიც კი „შოუს“ ხერხებით იდგმება. საუბედუროდ, ისეც ხდება, როცა კულტურას უკულტურო აღამიანები „აკეთებენ“ და აღამი-

\* მოგვიანებით პაროლდ პინტერმა თავისი „ჰეიშაფი“, „დუშილი“, „ოჯახის ბმები“ მხედარების პრინციპში ააგო, მაგრამ მის ნაწარმოებებს სრულიად ხევანაირი შინაგანი დარგი. როგორ აქვს. – მ. ქ.).

ანების ეს კატეგორია კი ზედმეტი თავდაჯერებულობით გამოირჩევა. მათი პრინციპია: რაც მე არ მესმის, ცუდა და არ ვარგა.

პიესის „ოქრომჭედლის სახელოსნოს წინ“ სცენურობა, მართლაც, უწეველო და განსხვავებულია. მაგრამ ეს ნამდვილად ისეთი პიესაა, რომლის თამაშიც სცენაზე შეიძლება და რომელზე მუშაობაც დიდი ბეჭდიერებაა. ისიც აღსანიშნავია, რომ პიესა ძალიან უბრალო (კარგი გაგებით) ამბავშეა აგებული და ამ მხრივ, ნათელი და გამჭვირვალეა. მასში დასმული პრობლემა ყველასთვის და ჭრების საჭიროობობით. ეს არის ქალისა და მამაკაცის სიყვარული. „უსიყვარულოდ ადამიანს სიცოცხლე არ შეუძლია“ – პიესაში არის ასეთი ფრაზა. შეიძლება ითქვას, რომ პიესა სიყვარულზეა.

ითანე პავლე II თავისი ფილოსოფიური თხზულების „სიყვარული და პასუნისმგებლობა“ პარეკლი გამოცემის წინასიტყვაობას ასე იწყებს: „გავრცელებულია ჩერი, თითქოსდა ქორწინების თემაზე აჩრის გამოთქმა მხოლოდ მას შეუძლია, კინც დაქორწინებულია; ქალისა და მამაკაცის სიყვარულზე კი მას, კინც თავად განიცადა. ამგვარი მიღვომისას პირად და უშუალო გამოცდილებას ითხოვენ. კათოლიკე სახელიერო პარებს ცელიბატის გამო მავანთა ჩერით, აჩრის გამოთქმის უფლებაც ჩამორთმეული აქვთ. მაგრამ ისინი მაინც ხშირად გამოთქვამენ თავიანთ აჩრის და ხშირად წერენ ამ საკითხებზე. საკუთარი, პირადი გამოცდილების უქონლობა არ არის ხელისშემშლელი, ვინაიდან მათ თავიანთი მოძღვრული საშასხურიდან მოპოვებული ძლიერ მდიდარი არაპირდაბირი გამოცდილება აქვთ“... მავანმა, შესაძლოა, სასულიერო პირისთვის შეუფერებლად მიიჩნიოს სიყვარულზე მსჯელობა. არადა, სწორედ ქრისტიანულმა რელიგიამ შემოიტანა სიყვარულის ცნების არათუ სრულიად ახალი ინტერეტებიცადა, არამედ სიყვარული აქცია სუბსტანციად. საუბედუროდ, ადამიანებს ხშირად ავიწყდებათ, რომ სიყვარული სამ ძირითად ბურჯვე შროის, – როგორც პავლე მოციქული ბრძანებს, – „უფროის არს“ (კორინთელთა მიმართ 13:13). ქრისტიანულ ეთიკაში, რომელიც საწყისს სახარებაში იღებს, არსე-



ქ. მარჯანიშვილის სახ. თეატრი  
კაროლ კოიტლა  
„ოქრომჭედლის სახელოსნოს წინ“  
რეժისორი – მ. ერესტაძე  
ტერუსა – მ. ჯანაშვილი  
ანჯურა – თ. კოლაძე

ბობს პრობლემა, რომელსაც ითანე პავლე II განსაზღვრავს, როგორც „სიყვარულის სიყვარულით გამდიღებას“. პირველ შემთხვევაში სიტყვა „სიყვარული“ იმას ნიშანავს, რაც მთავარი მცნების არს წარმოადგენს, შეორე „სიყვარული“ კი იმას გულისხმობს, რაც ქალსა და მამაკაცს შორის ხელისძიები ღორლების შედეგად წარმოიქმნება. პრობლემა ის არის, რომ მეორე სიყვარული პირველს გაუტოლდეს, ე. ი. იმას, რომელსაც სახარება აცხადებს.

რამდენიმე ციტატა უილოსოფიური თხზულებიდან „სიყვარული და პასუხისმგებლობა“:

„სახარებას კითხულობენ როგორც მორწმუნენი, ასევე ურწმუნონიც. სიყვარულის მცნებაში პირველი აღმოჩენები მთელი ზებუნებრივი წესრიგის მთავარ შემაკავშირებელ რეოლს“...

„სიყვარული – ადამიანში“ ასეთი შესაძლებლობების ყველაზე სრული რეალიზაცია“.

„სიყვარული მართლაც უმაღლესი ზეობრივი ფასეულობაა“.

„ადამიანი შემოქმედებისათვის განწირული არსებაა. შემოქმედება სიყვარულის სფეროშიც ავალებულებს. მაგრამ დიდი სიყვარული მხოლოდ პიროვნებების გარჯა შეიძლება იყოს და წყალობის საქმე... წყალობის, მაღლის მოქმედება ადამიანის წამოწყებებშია დაფარული, როგორც უხილავი შემოქმედის მონაწილეობა, რომელიც თავად არის რა სიყვარული, სხვადასხვა სახის სიყვარულის ფორმირების ძალას ულობს, მათ შორის იმისაც, რომელიც თავის ბუნებრივ განვითარებაში სქესისა და სხეულის ღირებულებებს ეფუძნება – ოღონდ ადამიანებმა მოინდომონ სიყვარულის შექმნა მასთან ერთად“.

„სქესობრივი იმპულსის შეშევობით მამაკაცი და ქალი არსებობის გადაცემის კოსმიურ დინებაში ებბებიან“.

თანამედროვე კათოლიკე მაქებმა სხვა უმნიშვნელოვანებს საკითხებთან ერთად, სიყვარულის უმნიველესი პრობლემაც თავის ჭეშმარიტ წიაღს დაუბრუნებს. გენიალურ წინამორბედთა\* კვალდაკვალ სქესობრივი ეთივა და ამჟამინდელ თეორიასა და პრატიკაში პედონიზმირებული სიყვარულის ფიზიოლოგიისაგან დემონსტრირებაციას შეუდგნენ.

ითანე პავლე II-ს მოღვაწეობასა და შემოქმედებაში განსაკუთრებით ნათლად გაცხადდა მისი დიდი წინამორბედი პაპის პავლე VI-ის შეგონება: „ეკლესიას ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად ორი შესაძლებლობა აქვს. ერთი ის არის, რომ დაუკავშირდეს გარე სამყაროს და მისი ენით ილაპარაკოს, შეითვისოს მისი წესები და აზროვნება, ანუ მიმღინარე ისტორიაში ჩაერთოს. მეორე შესაძლებლობა კი ის არის, რომ ეკლესიამ თავის თავში ეძიოს თავისი ჭეშმარიტების ულევი ცხოველმყოფელობა, თავისი ტრადიციული თანმიმდევრულობა. ორივე შესაძლებლობა კარგია, თუკი ისინი გონივრულად შეაცხებენ ერთიმეორეს“.

\* მაისტრებ ექპარტი, ხან ზუან დე ლა კრუსი, ფრანგ დუის დე ლეონი, წმ. ტერესა ავილელი და სხვანი. ამჯერად, სხვა სარწმუნოებათა მა წარმომადგენლებს არ ჩამოვთვდა, რომელიც ავრეთვე homo amans (მონიგვარულ ადამიანი) იღვის მიმღვვარნი არიან.

# ხელოვნება და თამაში

## მამეკა ღოღიძე

### 1. ხელოვნების არსი

ადამიანი არსებითად „უსასრულობის წებაა“ ფიქრობდა სორენ კირკეგორი\*. თუ ამ მოსახრებას გავუკეთოთ, ცხოვრების მიზანს იმ სასრული არსებობის დაბლევა შეადგენს, რომელიც გარს ერტყმის ადამიანის სულს. ჩვენ, საკუთარი ყოფა-ცხოვრებით მიჯაჭული ვართ გარემოებებს, საარსებო პირობებს, სხეულის მოთხოვნილებებს. ამ ყოფით მოთხოვნათა დაქმაყოფილება გვაძირებებს ვიაროთ ჩვენამდე უკვე გავლილი. უთვალავი ნაბიჯებით გატკბნილი გზით; რადგან მე, როგორც უბრალო მოყვადავი, როგორც ყოველდღიური არსებობისთვის მებრძოლი პირი, მივყვები და ვიმერებ ჩემი წინამორბედების მიერ გაყვალულ ბილიკს.

მაგრამ გზის ამ მონაცემთხე წნევება ეჭვი. ნუთუ მე მხოლოდ ყოველდღიური ყოფა-ცხოვრებისთვის განჩინდა ამ ქვეწალ? თუ ეს ასეა, მამინ პირადად მე არაფერს წარმოვადგენ, ჩემს ამ ქვეწალ მოსელას აჩრია არა პერია, რადგან მხოლოდ და მხოლოდ ვიმერებ იმას, რასაც ჩემს მოსელამდე სხევები აკეთებდნენ და ჩემს მერეც გააკეთებენ. მაგრამ რა ვუფოთ საკუთარი მებიბის, სხევებისგან გამორჩეულობის გამუდმებულ განცდას, რომელიც იგივე ჩემი არსებობის განცდა? ეს განცდა მერნახობს, რომ არა ვარ მარტო სხეული, რომ ვარ სული, თავისი ზესწრავებით სხეულის მოთხოვნილებებს რომ აღვატება; სული, რომელიც ჩემს არსებას გასაოცარ მთლიანობას ანიჭებს; მთლიანობას, რომლის ძალითაც ყოველი ორგანოს, ყოველი უჯრედის ქცევა შეთანხმებულია სხვა ნაწილების მოქმედებასთან; მთლიანობა, რომელიც სასწაულის შემცველია, რადგან ის თითქოს არსაიდან წნევება და ადამიანის გარდაცვალების შემდეგ კვლავ არაფერს უბრუნდება.

ამ მთლიანობაში ვლინდება ადამიანის სული და შეიძლება ითქვას, რომ სული მთელ სამყაროში ტრილებს. ამიტომაც სულუს გასაოცარი წესრიგი ცაშიც და მიწაშეც; ამიტომაც არ ხდება ბუნებაში არაფერი სხვა მოვლენებთან ურთიერთყავშრის გარეშე.

მაგრამ მარტო წესრიგის ძალით კერ იარსებებს ვერც ადამიანი და ვერც სამყარო უდიდესი გამოცანა, რომელსაც ჩვენი სხეულისა და საერთოდ მთელი სამყაროს მაცოცხლებელი სული გვთავაზობს არის შემდეგი:

\* S. Kierkegaard. *Philosophische Brosamen*. dtv. 1976 გვ. 344.

სამყაროში ფელაუერი მეორდება და ამდენად ემორჩილება წესრიგის, ქანონის ძალას და;

სამყაროში არაფერი არ მეორდება, ყოველივე ერთხელ და განსაკუთრებულდებება!

ეს ორი, ერთმანეთის საპირისპირო პირი ვერ ეტევა ადამიანის გონიერების; მაგრამ იმას, რასაც ვერ იტევს გონიერა, მოიცავს სიცოცხლის შექმნელი სული!

სიცოცხლე ის სახურავია, რომელიც ყოველ თავის გამოვლინებაში განუმეორებელია, უნიკალურია და მიუხედავად ამისა, (უფრო ზუსტად, სწორედ ამ განუმეორებლობის ძალით) ექვემდებარება კანონსა და წესრიგს, რომელიც ცოცხალ მოვლენათა ერთნაირობასა და განმეორებადობას გულისხმობს.

მაგალითად ავიღოთ მსიცულიო მიზიდულობის კანონი. ფიზიკა გვასწავლის, რომ ნებისმიერი ორი სხეული მიეზიდება ერთმანეთს გარევეული ძალით, რომელიც ამ სხეულთა მასებთან პროპორციულ დამოიდებულებაში იმყოფება. აյ სიტყვა „ნებისმიერი“ ნიშანას, რომ კანონის მოქმედებისთვის სულერთია კონკრეტულად რომელი ორი სხეული მონაწილეობს ურთიერთმიზიდულობის პრიცესში. ვთქვათ, ვაშლი ცემა დღვამიწაზე, თუ დედამიწა მოძრაობს მზის გარშემო. მაგრამ მთელი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ სინამდვილეში ერთმანეთს იზიდავს ორი კონკრეტული, სიცოცხლის სულით გამოვეთიღო სხეული და არა გარევეული ნიშან-თვისებას მოყლებული, უსახელო საგანი. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ვაშლის სიწითლე, მისი სურნელება და განსაკუთრებული გემო, ის „აუცილებელი თვისებებია, რომელთა ძალით ვაშლი არსებობს და როგორც არსებული ექვემდებარება მსოფლიო მიზიდულობის კანონს. ფიზიკა „ავიწყდება“, რომ ფრის, სუნის, გემოს, განსაკუთრებული სახისა და ფორმის გარეშე ვერ განხორციელდება ის არსებობა, რომელიც შემდეგ ფიზიკის კანონს უნდა დაემორჩილოს.

მაგრამ რაც „ავიწყდება“ ფიზიკას, ის „არ ავიწყდება“ ხელოვნებას. ხელოვნება ადამიანის სულის მოღვაწეობის ის სუვროა, სადაც ხედება სიცოცხლის განუმეორებელი და უნიკალური მოვლენის ჩვენება; ეს ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელსაც ემცირება ადამიანისა და სამყაროს მთლიანობა, კანონზომიერება და წესრიგი.

ხელოვნების ნაწარმოები ერთადერთია, განუმეორებელია, მაგრამ ეს არ არის კონკრეტული, აյ და ახლა მყოფი საგნის განუმეორებლობა. ხელოვნება კონკრეტული, წერით გაელებული სახისგან, შექ-ჩრდილოთა თამაშით უკებ შემდგარი სურათისაგან, რაღაც ისეთს ქმნის, რაც ყოველთვის იყო და მუდა იქნება, რაც მარად არსებული სიცოცხლის ერთადერთ და განუმეორებელ სახეს შეადგენს.

ამრიგად, ხელოვნების გზით ადამიანი თავს აღწევს თავის სახრულ არსებობას და გადის უსასრულობის, მარადისობის პერსპექტივაში. მისწრავება ამ იღებულური რეალობის სკენ ადამიანის თანდაფილი თვისებაა. ზოგადად ეს სიცოცხლის გამოვლენის, კერძოდ კი ადამიანური არსებობის ერთ-ერთი მირითადი ტენდენციაა. ტენდენცია, რომლის გამოვლენა არ არის დამოიდებული პერვნების განვითარების ზოგადებაცობრიო საფეხურებზე და არც ინდივიდის კონგრივი სიმწიფეზე. სწრაფა უსასრულობის მიმართ ბავშვებაც ემჩნევა და მოზრდილსაც, პირებულფულ ადამიანსაც ახასიათებს და თანამედროვესაც.

ამიტომაც ფარგლება ხელოვნების ფეხსვე და სათავე ათასწლეულთა წყვდიადში. შესაძლოა ხელოვნების საწყისი ისევე მიუწვდომელია, როგორც სიცოცხლის სათავე

და ადამიანის იმ შორეულ წინაპარს, გამოქვაბულში რომ ცხოვრობდა და ნანაღირე-  
კით რომ ირჩენდა თავს, უკვე აწუხებდა გაუცნობიერებელი სწრაფვა თვალზიანული  
და ხელშესახები სამყაროს იქით და ამ წევილის, ამ მისწრაფების დასტურა მისი  
მხატვრობა გამოქვაბულის კედლებზე.

ასეთივე ძოძრაობა, ასეთივე გასვლა შემოსაზღვრული არსებობის მიღმა შეინ-  
შენება თამაშის ფენომენშიც. როდესაც ბავშვი თამაშობს, ის თვითონვე ადგენს ან  
თავისუფალი ნებით ირჩევს იმ პირობითობას, რაც მისი თამაშის წესს შეადგენს.  
პლასტილინისგან გამოძრიწილ ფიგურას ცოცხალ ჯარისკაცად სახავს, სათამაშო  
სახლს, ნამდვილ შენობად მიიჩნევს; ასევე „წარმოიდგენს“ რომ მისი თოჯონები  
ლაპარაკიბენ, მოძრაობენ, ცოცხლობენ. თამაშის პროცესში ბავშვს არცერთი წუთით  
არ აკიწევდება, რომ ეს კველავები პირობითობაა, თამაშია, რომ არაფერი ეს არ  
ხდება სინამდვილეში და მაინც, მუხედავად ამისა, ბავშვი მთელი გატაცებით თამა-  
შობს, ისეა ჩართული მის მიერვე წარმოიდგენილ სამყაროს მოვლენებში, თითქოს ეს  
იყოს რეალობა, სინამდვილე და არა გამონაგონი. ეს, ერთი შეხედვით, სახებით  
ბუნებრივი მდგომარეობა, რომელსაც ბავშვი ყოველგვარი გაცნობიერების გარეშე  
ეძლევა, სინამდვილეში საკმაოდ როტული, მნელად ასახსნელი კოთარებაა და ადამიანს  
ბავშვობიდანვე რომ არ მოსდევდეს ამ კითარების შექმნისა და განვითარების უნარი,  
უნარი იმისა, რომ თან თევითონ შექმნას თამაშის წესი და თანაც დაემორჩილოს  
თავისივე მოგონილ წესს, როგორც მისგან დამოუკიდებელ, ობიექტურ კანონს, მაშინ  
მეტად მნელი იქნებოდა შექნებულად ამ მდგომარეობმდე მასვლა.

არადა ბავშვი თამაშობს. თამაშობს სრულიად ბუნებრივად, ისევე, როგორც  
სუნთქვას, ჭამს, როგორც იძინებს... ყოველგვარი დაბატისა და ხელოუნური ძალი-  
სხმევის გარეშე. ისევე, როგორც სუნთქვა, ჭამა და ძილი, ასევე თამაშიც, ერთი  
შეხედვით, მარტივი პროცესებია, სინამდვილეში კი აქ ურთულეს ფშიოლოგიურ თუ-  
ფსიქიურ მექანიზმებთან გვაქვს საქმე. ამ ურთულეს მოძრაობები ბავშვიც და მო-  
ზრდლილიც მეტად იოლად ანხორციელებს იმის გამო, რომ ეს კველაუერი ხდება არა  
მათ გონიგაში, არა შექნებულად არამედ მათ სულში; მათი სულის იმ სუეროში,  
სადაც სიცოცხლე ანგარიშმაუცემებილი, გაუცნობიერებელი პროცესის სახით მიედი-  
ნება. ეს სასიცოცხლო პროცესი თავისთავად ხდება, ადამიანის ნებისა და გონიგის  
დაუყითხავად და თავისი სირთულის მიუხედავად თვითრეალიზაციის არანაირ პრო-  
ბლემას არ ქმნის.

თამაში ადამიანის ამ სასიცოცხლო მოძრაობას განეკუთნება, ის დაბატიდანვე,  
სიცოცხლესთან ერთად ეძლევა მას. ეს არის მოძრაობა, რომელიც ემორჩილება  
წესსა და კანონს, რომელსაც ის თვითონვე თვისი აქტიურობით შექმნის და და-  
ადგენს; და თუმცა ეს მოძრაობა თამაშის წესის ფარგლებში ტრიალებს, ის რმდე-  
ნადაც თვითონვე ადგენს ამ წესს და ფარგლებს, საბოლოო ჯმში კოველგვარ  
შემოსაზღვრულობათა მიღმა, უსასრულობისკენ არის მიმართული.

თამაში გამოკვეთს სასრული, მოწესრიგებული არსებობის პირობითობას და ამდენად  
გადის ამ პირობითობის მიღმა, უსასრულობაში. თამაში ინარჩუნებს თავისი შინა-  
არსის კონკრეტულობას არა პირდაპირი ჩხრით, არამედ განხოგადობებული, გადატა-  
ნითი მნიშვნელობით და ამდენად შემოქმედების, ხელოუნების საფუძვლებს შეადგენს.

ჩემი საუბრიდან თანდათან ნათელი ხდება, რომ ხელოუნება ადამიანის კულტუ-  
რული მოღვაწეობის ისეთი სფეროა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მის

სულიერ არსებობასთან. სული კი ცოცხლობს იმდენად, რამდენადც არის თავისუფალი, რამდენადც არ ექვემდებარება ზეწოლას მატერიის მხრიდან, რამდენადც დამოუკიდებელია ფიზიკური სამყაროსაგან. სულიერი თავისუფლების ჩიშანაა ადამიანის ზღვარიდანდებული სწრაფვი სივყდილ-სიცოცხლის ქით, მისი ინტერესები, მისი რწმენა ზეციური სამყაროს მიმართ, მისი მცდელობა გაეცეს თავის მიწიერ, ფიზიკურ ფოფას და პროვოს სრული სიცოცხლეს სხვა სამყაროში.

საგულისხმოა, რომ ეს არის არა გაქცევა ყოფნიდნ არყოფნაში, არამედ პირი-  
ქით, დაბრუნება, შესვლა ნამდევილ, სრულ სიცოცხლეში; რადგან თავად სიცოცხლე  
ისეთი ფერომენია, რომელიც მატერიალური, ფიზიკურად სასრული გამოვლენის მი-  
უხედავად, განუწყვეტელ მიმართებაშია უსასრულობასთან, მარადისობასთან, ღმე-  
როთობა. ამ ურთიერთობის გარეშე სიცოცხლე ფიზიკურადაც კი კერ განხორცი-  
ელდება. ცოცხალი არსებობა საბოლოო ჯმში გულისხმობს საუთარი საზღვრების  
გადალახვის და სულის ღვთაებრივი სამუშაოებისკენ სწრაფებას.

გაემშეორებთ და ვატყვით, რომ ხელოვნება ამ მისწრაფების ერთ-ერთი გზაა. რამდენადაც შემოქმედება, ხელოვნება გონიერი არსების სასიცოცხლო მოძრაობაა, მოძრაობა, რომლის გარეშეც ადამიანი ვკრ განახორციელებს თავის საკუთარ, ადამიანურ არსებობას; უცნაური არ იქნება თუ ვატყვით, რომ თუმცა ხელოვნების ნიმუშთა ნაკვალევებს კაცობრიობის განვითარების გარევეული პერიოდიდან ჰქედავთ, შემოქმედების, როგორც სიცოცხლის გამოვლენის შესაძლებლობა აღამიანის გაჩენის თუ აღამიანად ქცევის საწყისი პერიოდიდან არსებობს.

## 2. ხელოვნების ნაწარმოები

ჩევნ უკვე შეგვიძლია განახაზღუროთ, რას წარმოადგენს ხელოვნების ნაწარმო-  
ები. როგორც ვნახეთ, ხელოვნება ადამიანის არსებობისთვის აუცილებელ, სახიცო-  
ცხლო მოძრაობას განასახიერებს სასრული სამყაროდან უსასრულობისაკენ. ხელო-  
ვნების ნაწარმოები კი ამ მიზანიმიმართული მოძრაობას ზოგად-კინკრეტულ შედეგს  
შეადგენს. მხატვრული ქმნილება, როგორც სიცოცხლის გამოვლენის ქრთ-ერთი  
სახე, ერთი მხრივ განუშეორებელია, ერთადერთია სამყაროში, ისევე როგორც არცე-  
რთი ცოცხალი არსება არ იმეორებს სხვას, მეორე მხრივ კი ეს მხატვრული

„ერთადერობა“ იმდენად შთამბეჭდავია, აღძრავს იმდენად ძლიერ განცდას, რომ კერ ეტევა ერთი საგნის თუ მოვლენის ფარგლებში. ქვა არის ქვა, ქვა ბუნების საგნია და ოუმცა არსად მთელ ქეყნიერებაზე არ მოიძებნება ზუსტად პულა-აღნაგობისა და მოყვანილობის ქვა, ის თავისი თავის მეტს არაუერს წარმოადგენს და კერ გახდება ხელოვნების საგნი; მაგრამ ქვესგან შეიძლება გამოიკვეთოს აღამინის სახე, სხეული. ქანდაკებად ქვეული ქვა უკვე აღარ წარმოადგენს ქვას, ის აღნიშნავს, გამოხატავს რომელიმე პიროვნებას და როგორც ხელოვნების ნაწილმოები ამ პიროვნებასაც განაზოგადებს, მისი ნაკადისაგან სრული აღნაგობისა და მშენების სახის იღეალს შექმნის.

აქ თავს იჩენს ხელოვნების ნაწილმოების აგების სირთულე – ის როგორც სიცოცხლის ფენომენი, თან უნიკალური უნდა იყოს, თავისი ნაკეთებითა და შტრიხებით რაღაც ცოცხალსა და ნამდვილად მომზდარს იქცერებს მის წამიერ, განუშეორებელ მოძრაობაში და ამავე დროს ანიჭებდეს ამ წამით გაელვებულ ხილვას, მარად არსებული სიცოცხლის ზოგადობას და მასტრაბს. როგორ ხდება ეს? როგორ აჩერებს მხატვრის თუ პოტის ხელი წუთიერებას და როგორ გამოხატავს სიცოცხლის ერთ ნამცემში სამყაროს მთელ უსასხლელობას? ეს სააღმდიო, სააღმდო, რომელსაც მხოლოდ ნიჭით დაჯილდოებული შემოქმედი ფლობს. კველაზე უკეთ სიცოცხლის ეს სახწაულებრივი ერთიანობა ნამდვილ განუშეორებლად არსებულსა და იღეალური სახით შექმნილს შორის გამოვლინდა იმპრესიონიზმი.

იმპრესიონიზმი, როგორც შემოქმედების, როგორც სიცოცხლის წუთიერების მარადისობაში შეჩერების ხელოვნება, პირველად ფრანგულ ფერწერაში შეიქმნა (მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლები), მაგრამ მისი წინაპრობა ხელოვნების ნებისმიერ სფეროში არსებობდა. განა იმპრესიონიზმის გენალურ ნიუშებს არ წარმოადგენს მიერლანჯელოს ხელით გამცემეთილი მინები? მოქანდაკე განზრას გამოიყენა ქვის უხეში, დაუმუშავებელი ფაქტურა ესკაზუარ მონიშნულ სახეთა ჩვენებისათვის. ქვის უხეში, ოღონო-ჩოღორი ზედაპირი, არათანაბრად, ათასნაირად და სხვადასხვა მხრივ ირეულავს სინათლეს და შექმნის ეს ქარტური ანარეკლი ქანდაკების ორგვლივ ქმნის ბუნებრივ გარსს, რაც ტეველაგარენტილი ადამიანის სევდანარევ, ნისლით მოცულ ფაქტებს გამოხატავს. და უმაღ წნდება ფიქრი, რომ სახე, რომელიც გენისმა შექმნა, არ არის მხოლოდ მონობაში მყიფი ადამიანის სახე, რომ მისი ბურუსით მოცული, დაუმოთავრებელი ნაკეთები მინიშნებაა არა ხორციელი, არამედ სულიერი ტეჟერბის შესახებ; რომ ფინანსურ მონობაზე გაცილებით უარესა ის ნისლი, ის გაურკვევლობა, ის წყვდადი, რომელიც ზოგჯერ ადამიანის გრინებას ეუფლება და ამღრევეს მის ფიქრთა სიცადეს, აბნელებს ჭეშმარიტების მხებს...

აა, როგორ განწოვადოებას დებულობს თითქოსდა მსებულად, საჭროეთლის ერთი მოძრაობით გამოვცეთილი სახე. ამრიგად, იმპრესიონიზმი არათუ ფერწერაში, შემოქმედების ნებისმიერ სფეროშია შესაძლებელი. იმპრესიონისტულია ფრანგი კომპოზიტორის, კლოდ დებიუსის მუსიკა, (XX საუკუნის 20-იანი წლები). მის ნაწარმოებთა ზეციურ სიმშევებით თითქოს თვალნათლივ მამიდიან ღრუბლები, თბიშების შეს, ეცემა წვიმა; ხან რისხეთი იჭმუხნება და ხან საკუსავით ლაპლაპებს ზღვა.

იმპრესიონიზმი უსასრულოდ უახლოედება სიცოცხლეს. აქ ხელოვნება ცოცხლად იჭერს იმ უფაქტებს, გარდამავალ შრეს, საღაც ერთმანეთს ერწყმის თვალი და საგანი, რაც ანაზღად განცდილი წუთისოფულის მთაბეჭდილებას ქმნის. იმპრესიონი-

სტული ფენომენი, როგორც პირველქმნილი, განუსაზღვრული სიცოცხლის ფენომენი, როგორც სიცოცხლე მხატვრული დამტუშავების გარეშე, არ არის ხელოვნების განვითარების გვიანდელი საფეხური. ეს ფენომენი დასაბამისან თან სკვერს ჩრდილებას, ამიტომ წუ გავიყვირდება, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე XX-XV, საქართველში კუნძულ კრეტის აღმოცენებული ფრესკული მხატვრისა აშეარად იმპრესიონისტულია. ჰერიკიანის მუშებში დაცულ ერთ-ერთ გმოსახულებას პირობითად კიდევაც ეწოდა „პარიზები ქალი“. მსგავს შთაბეჭდილებას აღძრავს აგრეთვე „ცისფერი ქალები“ „პრინცი შრომანის გვირგვინით“, „ხარხე მხტრობელი კრობატები“, სადაც წარმოდგენილია აკრიბატიერი მთელი პროცესი – თავისი ყველა ფაზით – ჯერ კრიბატი ხარის რექსს წვდება, შემდეგ მის ზურგზე თავდაჭრა დგას, ბოლოს კი მიწას ხტება\*.

შეიძლება ისიც ვამტკიცოთ, რომ ხელოვნების ნაწარმოებში მუდამ იგრძნობა ერთგვარი სინახული, ერთგვარი ნოსტალგია იმ ცოცხალი საწყისის მიმართ, რომელიც მისი შექმნის პირველ იმპულსს შეადგენს და რომელმაც შემდგომ, შემოქმედების მიზნისა და მხატვრული აძოცანის შესაბამისად სრულიად იცვალა სახე. ეს ნოსტალგია ხელოვნების ისტორიაში პერიოდულად ხან მინელდება, ხან მძაფრდება. ამიტომ გამოსახვის ფრიმა-საშუალებათა და ტექნიკის განვითარების მუშებდაც (ძნელი სათმელია საერთოდ არსებობს კი ხელოვნებაში განვითარება), დრო და დრო ხდება მხატვრული აზროვნების შემობრუნება ამ მიზიწყებული საწყისის მიმართ და ამ შემობრუნების დადასტურებაა ხწირებ იმპრესიონისმი.

უფრო ფართოდ რომ შეეხდოთ, აյ ხდება სულის ამბოხება, აზროვნებით, სწავლებით, თავშორებული იდეებით შექმნილი დოგმების წინააღმდეგ და მისი დაბრუნება სიცოცხლის დაუშრეტელ. მარადვანახლებად ნაკადში, სადაც ბუნებრივად, თავისთავად ჩნდება სილამაზე.

ასეთი შემიძრუნება, ასეთი ამბოხი იმასაც გვაფიქრებინებს, რომ ხელოვნების ნაწარმოები სიცოცხლის გამოსატულებას კი არ შეადგენს, არამედ თავად წარმოადგენს სიცოცხლეს. თანაც ეს უფრო მაღალი რანგის სიცოცხლეა, კიდრე სახეებისა და საგნების ჩვეულებრივი, ბუნებრივი არსებობა. ამიტომაც გვეუბნება XX საუკუნის უდიდესი მოახროვნე მარტინ ჰაიდეგერი, რომ ვან-გოვის ნახატზე გამოსახული უფსესაცმელი უკეთესად გვიჩვენებს ნამდვილი უფსესაცმლის არსს, ვიდრე უბრივიში შეკერილი უფსესაცმელები. ანუ გვინობის ხელით დახატული უფსესაცმელი უფრო ნამდვილია, ვიდრე ნამდვილი უფსესაცმელი. როგორ გავიგოთ ეს ნათქვამი?

ჩვენ უკვე ვაჩვენეთ, რომ სიცოცხლე ყოველთვის ერთი, განუმეორებელი საგნის თუ მიელენის სახით გვეცხადება ბუნებაში. არ არსებობს ფოთოლი, ღრივ, ყავილი რომ არ იყოს განსაკუთრებული, ცალკე გამორჩეული. ისევე როგორც წარმოუდგენელია სხვადასხვა ავტორმა დაწეროს ერთი და იგივე ღვევის, ასევე შეუძლებელია არსებობდეს ბუნებაში ცოცხალი არსი, რომელიც ზუსტად გამეორებს მეორეს. სიცოცხლე მუდამ ერთი და განსაკუთრებულია, მაგრამ ბუნებაში კანონზომიერებისა და წესრიგის არსებობა გვაფიქრებინებს, რომ ბუნების ყოველი მოვლენა რაღაცით ემსგავსება და ენათესავება მეორეს. განსხვავებულთა ამ მსგავსებისა და ასე ვთქვათ, „ერთნაირობის“ საფუძველზე მოქმედებს გარეუელი კანონი, მყარდება ჰარმონია და

\* ი. რ. გორგეშიანი. ბერძნეული ცივილიზაცია. 1988წ. გვ. 303-306

წესრიგი.

პრობლემა იმაში მდგრამარებას, რომ თუ კეტებთ ცოცხალ სამდაროში კანონზე-მიერგას, მაშინ კურადღება უნდა გავამახვილოთ საგანთა ურთიერთმსგან ქსებაშე, „ერთნაირობაშე“, ანუ მხედველობაში არ მივიღოთ ის ფაქტი, რომ ჭრველი სიცოცხლე უნიკალური, ერთადერთი, აი აქ და ახლა მომხდარი მოვლენაა და არ ექვემდებარება არანაირ განმეორებას.

ასე რომ სამყაროს მოწესრიგებული, კანონზომიერი სახით წარმოდგენა მსხვერპლად მისივე სიცოცხლეს მოითხოვს. ან უნდა ჩავთვალოთ, რომ ერთეული მოვლენები ერთმანეთის მსგავსია და ამდენად უარი უთქვათ მათ სასიცოცხლო „არამსგანებაშე“, ანდა საგანთა განსხვავების ნიჭის მინდობილნი დატრიალდეთ მარადგანახლებადი სიცოცხლის ქაოსში.

შხოლოდ ხელოვნების დონეზე ხერხდება ამ თრი საპირისპირო მიწრაუების შერწყმა. ხელოვნება ახდენს სასწაულს – ერთიანობაში, მთლიანობაში იქცეს იმას, რაც თავისი არსით ეწინააღმდეგება და გამორიცხავს კიდევაც ერთმანეთს. როგორ ხდება ეს? როგორ ხდება რომ ხელოვნების ნაწარმოები სწორედ თავისი ერთადერთობით, განუმეორებლობით სცილდება კრიო მოკლენის ფარგლებს და თავისი განხოგადოებული ფერებით საკუთარ თავში მოედო მოწესრიგებულ სამყაროს იტენებს? პასუხი ამ შეკითხვაზე ჩვენ არ მოგვეპოვება. ეს გახლავთ შემოქმედების, როგორც სასიცოცხლი (ან თუ გნებავთ, სიცოცხლის მიმნიჭებული) პროცესის საიდუმლო.

სიცოცხლის ამ საიდუმლოსთან ხელოვნება უფრო ახლოს დგას, ვიდრე ბუნება, რადგან ბუნების მოვლენა თავისითავად, თავისი განსაკუთრებულობისა და თვითმყოფადობის ფარგლებში ვერ განხოგადებს საკუთარ თავს. ამ განხოგადოებას ის უნდა შეეწიოს, როგორც ერთეული ფაქტი.

სწორედ ამიტომ ფიქრობს ჰაიდეგერი, რომ ხელოვნება სიცოცხლის იდუმალების უფრო მაღალი, უფრო ზუსტი და სრული გამოვლენაა, ვიდრე სინამდევილე. გენიალურად დახატულ ფეხსაცმელში ცოცხლად არის დაჭრილი ის სპეციფუური, განსაკუთრებული არის, რომელიც თავის როგორიალს გამოარჩევს კველასა და კველაფრისაგან და, რა თქმა უნდა, ის უფრო „ნაძღვილია“, ვიდრე ფარიკაში შეკრიბლი წყვილი, რომელიც მოცემული სტანდარტის თარგმება დაუსრულებლივ იმეორებს და იმეორებს საკუთარ თავს.

ამრიგად, ხელოვნება სინამდევილის ზედაშენს კი არ წარმოადგენს, პირიქით, სინამდევილე მისი ზედაშენი. რაღაც შემოქმედება ის უღრმესი, სასიცოცხლო პროცესია, რომელზედაც საჩრისსა და ღირებულებას შეიძენს მთელი ჩვენი უნიკალური და უზრუნველის სამყარო.

ხელოვნების ქმნილებაში რეალიზებულია სიცოცხლის კველაზე არსებითი მომენტი, სულისა და მატერიის შერწყმის უნიკალური და თანაც ზოგადმნიშვნელობრივი მომენტი, რომელიც თავის მხატვრულ-სიმბოლური შინაარსით მოიცავს კველაფერს და ამავე დროს გამოხატავს არაფერს საკუთარი, განსაკუთრებული არსებობის გარდა.

ჩატარებული ანალიზი საფუძველს კვიქმნის ვამტკიცოთ, რომ ადამიანის სამყარო, ისევე როგორც ხელოვნების ქმნილება არის არარისიდან არსის წარმოშობისა და შემოქმედების შედეგი და ამდენად მის საფუძველთა საფუძველში ჩადებულია არა

მიზეზობრივი აუცილებლობა, არამედ შექომედებისა და თამაშის ფენომენის სრულიად თავისუფალი და პირობითი, უნიკალურად გამორჩეული და უზოგადესი მნიშვნელობის შემცველი აქტი.

### 3. თამაშის ფენომენი

დავუძრუნდეთ თამაშის ფენომენს. როგორც ვნახეთ, თამაში ინარჩუნებს თავისი უნიკალური შინაარსის კრიკეტულობას არა პირდაპირი ჩერით, არამედ განხორცილებული, გადატანითი მნიშვნელობით; თამაშის დროს ხდება ერთადერთი და განუმეორებელი ქმედების განსხვისება, ზოგადმნიშვნელოვანი სიმბოლიზაცია; ხდება ის, რაც უნდა მოხდეს ხელოვნებაში – როცა უნიკალურად მოვლენილი სიცოცხლე მიაინშნებს რაღაც ზოგადსა და ყველასთვის მნიშვნელოვანზე. მნიშვნელობის ეს მოძრაობა ერთჯერადი სიცოცხლიდან ზოგადი იდეისაკენ იძლნად შეუცინობელია და განუსახლდურელია, რომდენადც არის განუყოფელი და მოთლიანი. სად არის ერთიან საყოველთაოში გადასვლის წერტილი ან თუნდაც ინტერვალი? არის მხოლოდ კონკრეტულია და ზოგადის, გრძნობადისა და ზეცნობიერის შერწყმა, რომელიც არ შევმედებარება ანალიტისა და კონტროლს.

ამ ჩერით, შესხვობის როლშე მუშაობა შემოქმედებითი პროცესის გაცნობიერებასა და რაციონალურ დეტრმინაციას კი არ წარმოადგენს, არამედ იმ სიტუაციის ძიებას, იმ პირობათა შექმნას ისახავს მიზნად, როცა თავისთავად, ზეცნობიერად და ერთბაშად მოხდება მისი ინდივიდუალობის შერწყმა ზოგადობის შეტყველ გმირთან, ეს შერწყმა რეალურად რომ ხდებოდეს, მაშინ შესხვობისა თოვქმის შეუძლებელი იქნებოდა. რამდენჯერაც წარსდგება სცენაზე, როლის შემსრულებელს იძლენჯერ მოუწევდა ურთულესი შინაგანი მობილობაცია, განსაკუთრებული ატმოსფეროს შექმნა, სადაც თავისთავად, ზეცნობიერად გაიღვევებდა გმირის საძიებელი სახე... ამ შეუძლებლობას წააწევა ანტონენ არტო თავის თეტრში: როლში რეალურად შეჭრის სიძნელემ შეა უტოპიური, მეტაფიზიკური თეატრის იდეა და როგორც ყველა უტოპიურმა იდეამ რეალობაში (თეატრალურ რეალობაში) სისახტიკე წარმოშვა\*. მაგრამ ის, რასაც ნამდვილად ვერ შევძლებო – არტისტის ინდივიდუალობასა და გმირის ზოგადობას, ერთად ვერ დავიჭირო, შეიძლება განკახორციელოთ პირობითად, გადატანითი ჩერით; და აյ დიდ სამსახურს გაგვიწევს სწორედ თამაშის ფენომენი. პრივატ, ფსიქოლოგიურად კი არ უნდა გარდავისახო გმირში, საყუთარ თავთან თამაშით უნდა აღვნიშვი ის; ჩემი განუშეორებული სახით უნდა შევქმნა გმირის იდეა, ანუ მნიშვნელობა სცენაზე.

რაც უარს ვამბობთ მე-დან პრისონაჟებს აუცილებელ, მიზეზობრივ გამომდინარეობაშე (ფსიქოლოგიური დრამის ამ შეუძლებელ კერძოს ილუსიური თეატრისკენ მოვაკართ), რაკე შესხვობის შექვედრა მხატვრულ სახე-სიმბოლოთან თამაშის პირობითობით ხდება, შესხვობი ადარ იქნება დეტრმინირებული და შებოჭილი ამ სახის წარმომობ ფსიქოლოგიურ ფაქტორთა ძალით; თუმცა, მეორე მხრივ, ასეთი თავისუფლება სულაც არ ნიშნავს შემთხვევითობასა და ანარქიას. მასში რაღაც იდეამაღი, არა მიზეზ-შედეგობრივი, ზეგარემო მიწნით დასახული კანონზომიერება ვლინდება. რა არის ეს მიზანი? იგი ჩემნოვის დაუკრულია, მაგრამ ამ საიდუმლოსთან, ფიქრობთ, ახლოს ვიქებით, თუ კიტევით, რომ აქ მთავარია არა მხატვრული

\* იხ. ანტონენ არტო „ჩიხახტიების თეატრი“. C. meamp. 1991. №6. გვ. 121-151.

სახის შექმნა და სრულფოფა, არამედ ამ შექმნის გზით ადამიანის მეობის, პირი ინდივიდუალობის სრული გახსნა და გამოვლენა უსასრულობის მიმართ, რაც ვერ ხერხდება მის ნამდვილ ცხოვრებაში და რაც სწორედ ხელოვნების, ჟურნალის ფერად ფერის კათარზე ბუნებაზე მეტყველებს.

აქედან ვხედავთ, რომ მსახიობის თავისუფლება ნიშნავს არა თავნებობას ნებასმიერი როლის შერჩევაში, არამედ იმ ბედით განკუთხილი სახის ძიებას, რომელშიც ის გაიხსნება როგორც თავისუფალი და უნიკალური მე.

ამიტომ, მსახიობიდან პერსონაჟის გამოიქმნება ვერ მოხდება ფსიქოლოგიური ზეწოლის ძალით, არამედ მხოლოდ თამაშის თავისუფლებით, როცა ის ძალდაუტანებლად მოსინჯეს, თვითგამოვლენის სხვადასხვა ვარიანტს, ვიღრე არ პოვებს რწმენას, რომ სწორედ აი ეს სახუ-სიმბოლო, მასთან მიახლოება თამაშის რიტუალის გზით, დაეხმარება საკუთარი არის წვდომასა და გამოვლენაში.

რწმენა აქ მამორავებულ ფაქტორს წარმოადგენს. გარდასახვის მისტერიაში ღრმად ჩახდეული რეჟისორები პრატესულად ამტკიცებენ რწმენის საჭიროებას. იმიტომაც მოითხოვს კონსტანტინე სტანისლავესი როლით მონაბერი ემოციის დაუსწენებას ცხოვრებისეულ განცდას, რომ ნამდვილად განცდილთან მიმართებაში განმტკიცდეს რწმენა წარმოსახული ემოციის რეალობისა და ეგზისტენციალური ღირებულების შესახებ, რაც როლში შექრის უდიდესი სტიმული იწება. მაგრამ გარე სინამდვილით გამოწვეული, თუნდაც ღრმად შინაგანი განცდა არ არის რწმენის მოპოვების ჭყაშმარიტი გზა. რა თქმა უნდა, როლში შემოტევდებით შემარბაში მსახიობი უნდა ჩაწერს რაღაც ისეთს, რაც ნამდვილად ხდება ან მოხდა მის გრძელობა-გონებაში, და პერსონაჟის განცდა-გაზრუბების პარალელურად, სულ უნდა „ეჭიროს“ ეს თვითშევრმნება როგორც შინაგანი სინამდვილე, როგორც ის საფუძველი, რაზე-დაც აღმოცენდება რწმენა როლით შექმნილი სახის ეგზისტენციალური ღირებულების შესახებ; იმის შესახებ, რომ სწორედ ეს სახე ქნის მსახიობის თვითგამოხატვის ამოუწურავ პერსპექტივას; მაგრამ ... სულიერ პროცესთა თავისუფლებისა და აეტონომიურობის გამო, სულაც არ არის აუცილებელი, რომ ეს ნამდვილი, ღრმად შინაგანი განცდა უშუალოდ დაკავშირებული იყოს ადამიანის ცხოვრებასთან, გარე სამყაროსთან. განცდის ცხოვრებისეულობა, მისი ნამდვილობის გარანტია სულაც არ არის და ცხოვრების სინამდვილებთან კავშირი ვერ ასახოდოებს რწმენას მხატვრული იდეა-სახის კოფიერების შესახებ.

პირიქით, ფენომენოლოგიაშ აჩვენა, რომ ემოციური შინაგანი, აღბეჭდილი ადამიანის სულში არსებობს როგორც თავისუფალი, თავისთავადი ფენომენი და მისი ეგზისტენციალური ღირებულება მით უფრო მეტია, რაც მეტად არის ის მოწვეტილი მის კოორდინაციების გამომწვევე, ჭეშმარიტად კი მხოლოდ მაპროცენტებულ, გარეგან ფაქტორებს.

ამრიგად, მსახიობმა თავისი გმირის მანიქცელ ვარიაციათა მიშნად უნდა დასახოს საკუთარი „მე“, როგორც ინვარიანტი; რაც არ უნდა გარდაისახოს ის, არცერთი წამით არ უნდა დაკარგოს კონტაქტი საკუთარ თვითშევრმნებასთან, რომელიც არ დაივანება მის ცხოვრებისეულ ურთიერთობებსა და განცდებზე: მსახიობმა უნდა აღმოაჩნოს ის ღია ფორმა, რომელშიც ადამიანის „მე“ ზღვარდაუდებლად გაიხსნება.

მთელი ამ პროცედურის პირობითობა იმაში მდგომარეობს, რომ მე როგორც

სასრული არსება რეალურად და უშეაღოდ უსასრულოდ კერ გავიხსნები... ამ „შეუძლებელ მცდელობას“ პილიტიურ ცხოვრებაში კომუნიზმის უტობისგვენ მივევ-ვართ, თეატრალურ ხელოვნებაში კი ის სტანისლავსკის სისტემასაც და უმცრონენ არტოს თეატრალურ მანიფესტს გვაძლევს.\*

იხდა დაგვრჩენია, რომ მხოლოდ გავეთმაშორთ უსასრულობისკენ ლტორლვას და ეს შეუძლებელი მისწრაფება მხოლოდ რიტუალურად მოწინშორთ სცენაზე, მაგრამ თამაშის ეს რიტუალი დასახულება მიზნის მნიშვნელობას მათინ შეიძენს, როცა შე-მსრულებელში აღძრავს რწმენას თავისი ჰქონის რწმენის შესახებ, რომ ეს არის აღმამიანის უსასრულობასთან ზრარების ნამდევილი გზა.

აქ პირობითობის, თამაშის რიტუალის ისეთ ნამდევილ არსობრივ მოძრაობასთან გვაქვს საქმე, რომელიც გმირის იდეას მსახიობის ინდივიდუალობასთან თანაფარობაში გახსნის და განახახიერებს, და ამავე დროს წარმოშობს რწმენას, რომ სწორედ ეს პირობითი გარდასახვა არის აღმამიანის სრული და ზღვარდაუდებელი კათარჩისის ჰქონის რიტუალი გზა.

ამრიგად, თეატრისა და ცხოვრების არშემდგარი შეხვედრა ერთხელაც შეგვახსენებს, რომ ხელოვნებამ უნდა დაძლიოს ფსიქოლოგიზმის ბარიტო და აღიაროს წმინდა განცდა, ვით თავისითავადი, ესთეტიკური ფენომენი. ეს განცდა წნევება არა გარე სამყაროს მიზნებობრივი დიქტატოი, ასამედ სრულ თავისეუფლებაში, თავისითავად, თამაშ-თამაშით. რაც ნაკლებად არის ის განსაზღვრული გარედან, მით მეტად იქნება ორიენტირებული თავის ჰქონის რიტუალი მიზანზე – გახსნას და ამ ცხოვრების დააღვენებისგან განწინდოს განცდის სუბიექტის სული, შემოაბრუნოს ის თავისი მივიწყებული საწყისსაც კენ.

სწორედ ამიტომ მიიჩნევს მსახიობის იდეალურ კეთი გროტოვსკი თამაშს მაყურებლის გარეშე; სრულ თავისეუფლებაში. თამაშით აღძრული განცდა აღარ დაექვემდებარება გრეგან უაქტორს (დაბრძნის რეაქციას), არამედ კონცენტრირებული იქნება თავის ჰქონის მიზანზე – პიროვნების სრული გახსნისა და მსატერული იდეას წვდომის ერთიანობაზე, რაც გამოიწვევს მედიტაციისა და ექსტაზის პარადოქსულ თანხელორას.

ნე დაგვავიწყედება, რომ აქ პირობითი ერთიანობაა. თამაშის რიტუალი გვაახლოებს მასთან და არა ფსიქოლოგიური წარასელა, თუმცა ეს რიტუალი თავს დასტრიალებს იმას, რაც ნამდევილი ხდება ან მოხდა აღამანის სულში, საიდანაც მოიდა ჯერ დაეჭვება, შემდეგ კი რწმენა ამ სულიერი ძვრის სრული გამოხატვის შესახებ მსატერული გარდასახვას მისტერიაში.

ამრიგად, თეატრის სამყაროში ცხადად გამოჩნდა, რომ ხელოვნებაში უნიკალური სიცოცხლისა და ზოგადი იდეის შერწყმა ხდება არა რეალური, არამედ პირობითი, გადატანითი მსრით. ამ პირობითობაში და არა მიზნობრივ აუცილებლობაში კლინდება სამყაროს უხევნების კანონი, რომლის ძალითაც ერთი და განუმეორებელი სიცოცხლე საყოველთაო მნიშვნელობის საჩრიის შეიძენს და იქცევა უსასრულ არსის განუმეორებელ, ინდივიდუალურ არსებობაში გადასცლის სიმბოლოდ.

\* ივივე პრობლემას წამოჭრის რობერტ მუზიდით თავის რომანში „უთვისებო კაცი“ – შეხა-ძლებელია თუ არა რეალურად, ამ ქვეყნაზ, იმედოური და უსასრულ სამყაროს, ანუ ღვთის საუფლევლის დამკვიდრება?

# „შემოქმედებითი საქართველოს“ ცნობის განსაზღვრისათვის

თემურ ელენცი

საქართველო-თეორიული და მეთოდური ხასიათის გამოყვალებების, პრაქტიკის შემოქმედთა მოგრძნებებისა და ხელოვნებისა დარგის უმაღლესი სასწავლებების ფრაველდიური მუშაობის ანალიზი ადასტურებს, რომ სტუდენტთა მომზადების სისტემაში მთელ რიგ წარმატებებთან ერთად გვაქვს არსებითი ხასიათის ნაკლებანებებიც. ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად მიგვჩნია ის, რომ უმაღლესი განათლების თანამედროვე სისტემა ჯერ კადეც ვერ ახერხებს ჰქონიაზე ნიჭით და უნარებით დაჯილდოვებული ახალგაზრდობის სტუდენტების შერჩევას, მათივის ღრმა პროფესიული ცოდნის გამომუშავებასა და ჩვევების მიცემას. სტატისტიკური მონაცემებით, შემოქმედებითი პროფესიის უმაღლესი სასწავლებლების კურსებამთავრუებულთა ერთი ნაწილი შემდგომში საერთოდ აღარ მისდევს აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას. ეს გარემოება აშკარად მიუთითებს, რომ უმაღლესმა სკოლიმ თავის ღრმაზე ვერ შეძლო სტუდენტში გაეღვიძებინა შემოქმედებითი შესაძლებლობები და გამოემუშავებინა მისთვის პროფესიული ჩვევები და მოთხოვნილებები. როგორც თეორიული გამოქვლევები და პრაქტიკის შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, ერთ-ერთი ძირითადი სინქელი, რომელიც ხელს უშლის აღნიშნული საკითხის სრულყოფას გადაწყვეტს, იმაში მდგრადარიობს, რომ, ჯერ ერთი, ყოველთვის ზუსტი და ადექტურური არ არის ახალგაზრდის მიერ გვაქტებული პროფესიული არჩევანი და, მე-

ორცე, არსებობს ერთგვარი დაშორირობება სტუდენტის თეორიულ-კრიტიკულ და პრაქტიკულ მომზადებას შორის. მის გამო გარკვეულ სირთულეს აწყდება თეორიული ცოდნის პრაქტიკული მომქმედების ჩვევად და უნარებად გარდასახვის პროცესი. ანგარიშგასაწევად ის გარემოებაც, რომ აღნიშნული საკითხების ირგვლივ ძალზე ჭირს სათანადო მეცნიერებლი გამოყვალებებისა და თეორიული რეკომენდაციების მოპოვება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ბუნებრივად, გარკვეულ ინტერესს იწვევს საკითხი იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რა შინაარსი უნდა ვიგულისხმოთ „შემოქმედებითი პიროვნების“ ცნებაში, და საერთოდ რას ნიშნავს „შემოქმედებითობა“, „შემოქმედებითი საქმიანობა“ და როგორ უნდა განვითარდეს და ჩამოყალიბდეს ამგვარი პიროვნული თვისება?

დასტური საკითხის ნათელსაყოფად, ვფიქრობთ, დავკერძნოთ ცნობილი ქართველი ფსიქოლოგის დ. უნაძის მიერ დამუშავებულ ადამიანის ქცევის ფორმათა კლასიფიკაციასა და მის შინაარსობრივ დახასიათებას.

ცნობილია, რომ დ. უნაძე სუბიექტის აქტივობის სახეებს – ქცევის ინტროგენურ და ექსტროგენურ ფორმებად ყოფს. მისი პრინციპი, ქცევის ექსტროგენური ფორმების აღმოცენებისათვის აუცილებელია გარემოში იბიჯტურად არსებული საგნები, ობიექტები და მათი თავისებურებანი, რომლებიც სუბიექტის გარეთ, მისგან დამოუკიდებლად არსებობენ და ამით

უბიძგებენ მას მოქმედებისაკენ. სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ე.წ. ინტროგნური ქცევის გმოვლენის შემთხვევაში. ქცევის ამგვარ ფორმას განსაზღვრავს სუბიექტის ის მოთხოვნილებები, რომლებიც მისი პიროვნების გარე არსებული საგნებათ და მოვლენებით ობიექტებისგან კი არ არის გამოწეული, არამედ თვით ინდივიდის შიგნით არსებული მაღაბის ამოქმედების მოთხოვნილებით. ადგინას, დ. უნაძის აჩრით, აქვს შინაგანი ძალები, რომლებიც სხვადასხვა მისწის გამო უმოქმედო მდგომარეობაშია და „ფუნქციონალური ტენდენციის“ სახით არსებობენ. როდესაც ადგინანი ექსტროგნური ქცევის დახმარებით თავის პრატიკულ მოთხოვნილებებს იქმაყოფილებს, მას „ფუნქციონალური ტენდენციის“ უკვე სხვაგარი მოქმედების იმპულსი უწნდება, იგი კვლავ იწყებს აქტივობას. ეს უკანასკნელი კი „გარედან კი აღარაა განსაზღვრული: აქ იგი შინაგანი იმპულსიდან გამოიდინარებს და იმ განწყობით წარიმართება, რომელიც პირველად თვითონ პროცესში როდი ფალიბობება, არამედ გარეული სახით სუბიექტის წარსულიდან მომდინარეობს. აქ ქცევა თავისუფალია გარე იმულებასაგან და იგი საკვებით შინა წარმოშებისას უნდა ჩაითვალოს“<sup>1</sup>. ამრიგად, ინტროგნური ქცევები მთლიანად ფუნქციონის შინაგანი მოთხოვნილებით არის ნასახლდობი. ასეთ დროს „ქცევის იმპულსი შიგნიდან, აქტივობის ტენდენციის სახით მოდის“<sup>2</sup>.

ექსტროგნური ქცევების კლასში დ. უნაძემ გააქრთიანა ისეთ ქცევები, როგორიცაა: მოხმარება, თვითმომსახურეობა, თავის მოვლა, შრომა, ცნობისმოყარებობას დამყარებოლება, საქმე, ინტროგნური ქცევების კლასში კი მათაცხა: თამაში, გართობა, სპორტი, ხელოვნური შემოქმედება და ესთეტიკური ტექობა. აქვე შევნიშვავთ, რომ დ. უნაძემ ინტროგ-

ნური და ექსტროგნური ქცევის ფორმებს შორის გარდამავალი აყვილი მიაკუთვნა სწავლას, ანუ სისწავლო მცენა-მოქმედებას.

ჩვენი კვლევის ექსტროგნური მინებიდან გამოიმდინარე, საფუძვლიანად შევეხებით ინტროგნური ქცევის ისეთ ფორმას, როგორიცაა „ხელოვნური შემოქმედება“. აქვე გვიძით შევნიშნოთ, რომ თანამედროვე სტილის თვალსაზრისით, დ. უნაძის ტერმინი ხელოვნური შემოქმედება“ გარეულწილად მოქმედებულია და ხელოვნური მთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა იგი საკმარი სირთულით გამოხატავს იმ შინაარსს, რომელიც ზოგადად „ხელოვნების“, „შემოქმედების“, „შემოქმედებითი საქმიანობის“, „მხატვრული შემოქმედების“ ან „შემოქმედებითი მოდერნიზის“ ცნებებშია ნავარიულევი.

დ. უნაძის აჩრით, ხელოვნური შემოქმედება შრომის ერთ-ერთი სახეობათაგანად და ამდენად იგი თითქოს ქცევის ექსტროგნური ფორმებს შორის უნდა მოხვდომოსურ, მაგრამ დაწერილებითი ანალიზი სხვაგვარი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. ავტორის აჩრით, შემოქმედებითი აქტი ყოვლელთვის რაიმე ნაწარმოების შექმნით მთავრდება, ეს რომ ასე არ იყოს, მას შემოქმედებას არავინ უწოდება. თვით სიტყვა შემოქმედება ხომ ეტიმოლოგიურად რისიმე შექმნას გულისხმობს. ამ მხრივ, დ. უნაძის ჩირით, შრომას და შემოქმედებას შორის განსხვავება არ არის. მართლაც, ჩვეულებრივი შრომაც და ხელოვანის საქმიანობაც შედეგად რაღაც ახალ საკან ქმნის, რომელსაც საზოგადოებრივი და სოციალური ღირებულება გააჩნია. მიუხედავად ყოველივე ამისა, ამ როი ტაბის შრომით აქტივის შორის მაიც სერიოზული ზღვარია. კრიმი, შრომის პროცესში ადამიანის აქტივობა გამიჩნეულია იმ კონკრეტული საგნის შექმნა-დამზადებაზე, რო-

მელმაც გარუეული მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს. „მოთხოვნილების დაკმაყოფილების უნარი ძირითადი, ასე ვთქვათ, წამევანი ასპექტია, რომელიც მოქლ შრომის აქტს შერსა და ღირებულებას აძლევს; ადამიანი იმიტომ შრომის, რომ გარუეული მოთხოვნილება აქს მხედველობაში, რომლის დაგმაყოფილებაშიც მხოლოდ გარუეული პროდუქტის, გარუეული ნაწარმოების საშუალებით შეიძლება და მთავარი და ძირითადი შრომისათვის ამ მოთხოვნილების დაგმაყოფილების უნარის მქონე პროდუქტის შექმნის განხრახვა“<sup>13</sup>. დ. უზნაძის ჩრით, სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქეს საქმე, როდესაც ხელოვანის შრომის ბუნებას ვეცნობით, ხელოვანი თავის შრომაში ამგვარი კონკრეტული მოთხოვნილებიდან როდი გამოიდის. მას რომ თუნდაც ესთეტიკური ტკბობის მოთხოვნილება ამორავებდეს, იგი საკუთარი ფოზიერი და სულიერი ძალების ხარჯვის გზით კი არ წაგდოდა, არამედ (მხატვარი) სურათების გადაწყვას ან მუზეუმს მიაკოთხავდა და სხვის მიერ უკვე შექმნილი ნიმუშებით დატებებოდა. ასევე მოიქცეოდა პოეტი, ლრამატურგი, კომპოზიტორი თუ შსახობი. მაგ რას ესწრაულის ხელოვანი შემოქმედების პროცესში, რა მიზანს ემსახურება იგი თავისი მხატვრული შემოქმედებით?

დ. უზნაძეს მიაჩნია, რომ მხატვრულ შემოქმედებას იმიტომ არ ეწოდება მხატვრული, რომ ცალკეულ ნაწარმოებები მხატვრული შინაარსებია გამდოცემული და ისინი ობიექტურად არსებული სინამდვილის ადეკვატურ მხატვრულ გამოსახულებას გვაწიდებენ. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ფოტოგრაფია გველშე დადიდა და ჭეშმარიტი ხელოვნება იქნებოდა. „ხელოვნება არა ობიექტურად მოცემული საგნების შესატვევისი გამოხატულების მიზანს ემსახურება, არამედ თვითონ ხე-

ლოვანის ინტიმურ განწყობათა გამოხატვის მიზანს: ხელოვნება შინაგანის განსახიერების ფორმაა და ამიტომ იგი სინამდვილის ფოტოგრაფიულ რეპროდუქციას როდი იძლევა, არამედ სიმამდვილის ახალ ფორმებს ქმნის, როგორც ხელოვანის პიროვნების განწყობათა ობიექტივურიას. მაგრამ თუ ხელოვნური ნაწარმოები შემოქმედის ინტიმურ განცდათა ობიექტივაციაა, მაშინ იგი არსებული სინამდვილის გამდიდრებაა, ახალი სინამდვილის შემოქმედებაა“<sup>14</sup>. დ. უზნაძე მიიჩნევს, რომ მხატვრული შემოქმედების იმპულსი ხელოვანის განწყობათა განსახიერებისა და ამგვარად, მათი დასრულება-რეალიზაციისადმი მისწრაფებაშია გამოხატული. მხატვრული შემოქმედების არსი ხელოვანის განწყობათა რაც შეიძლება ადეკვატურ განსახიერებისათვის ბრძოლაში მდგომარეობს და რაც უფრო წარმატებულა ეს პროცესი მით უფრო მეტად ქმაყოფილდება ხელოვანი შემოქმედებითი პროცესით. დ. უზნაძე მოტანილი დებულებების გათვალისწინებით ასევნის, რომ „მხატვრული შემოქმედებაც ერთ-ერთი ფორმაა ქცევისა, რომლის იმპულსიც ფუნქციონალური ტენდენციის წარმოდგრად გამოიძინარეობს და რომლის ადგილიც, მაშასადამე, ინტროგნური ქცევის ფორმათა შირის უნდა მოიძებოს“<sup>15</sup>. საგვლისხმოა მუკინისა და სკანა იმის შესახებ, რომ მხატვრულ შემოქმედებაში სიამოვნებისა და ქმაყოფილების გრძნობას საბოლოოდ აქტივობის შედეგი კი არ იწვევს, არამედ თვითი ეს პროცესი. ქცევის ამ ფორმას (გარითბის, საორტის, თამაშის მსგავსს) კი პროცესუალური ხასიათი აქვს. დ. უზნაძე ხასს უსხვამ იმ გარემოებას, რომ შემოქმედებითი აქტივობის შედეგად მიღებული კონკრეტული პროდუქტი გაცილებით უფრო მიშვნელოვანია და მას უფრო დიდი როლი ენთჰება მთელი ქცევის მი-

მდინარეობის პროცესათვის, ვიდრე სხვა შემთხვევაში. შემოქმედის ფუნქციონალური ტენდენცია უფრო მეტად კმაყოფილდება, თუ ხელოვნების ნაწარმოები სრულად და აღექვატურად გამოხატავს იმ შინაგან განცდებს, რომელიც შემოქმედს ჰქონდა აქტივობის დაწყებისას და მისი მიმღინარეობის პროცესში. ხელოვანის შინაგანი იდეა, მიზანი, რომლის მიღწევასაც იგი ეპირება, არა მარტო განსახლვარებს შემოქმედებით პროცესის შინაარსს, არამედ მიზანმიმართულად მაკვავს იგი ლოგიკური დასახრულისაკენ. შემოქმედებით პროცესს მყისვე დაკარგება ღირებულება, თუ იგი მანამ დასრულდა, ვიდრე ხელოვნების ერნიურტული ნიმუში შეიქმნება. აღნიშნული პრობლემის საფუძვლიანია ანალიტის შემდეგ იგი დაწყებილებით ეხება მხატვრული შემოქმედების თამაშთნ მიმართების საკითხს. აღნიშნული პრობლემა დიდი ხანია აღელვებს მკლევარებს. მათ იმთავითვე შენიშვნეს, რომ შემოქმედება და თამაში რაღაც გარეუელი თვისებებით წილნა-ფარნი არიან ერთმანეთთან, რამაც მეცნიერთა გარეუელ ნაწილს აფიქრებინა, რომ რაყი თამაში უფრო ახლოსაა კაცობრიობის ბაჟშეობასთან და თვით ცხოველებიც კი თამაშობენ, იგი უნდა იყოს წარმომშობი შემოქმედებითი საქმიანობისა. ამ მცდარმა თეორიამ საქმაოდ მოიყდა ფეხი მცნიერებაში.

დ. უწნადეც თვლილა, რომ თავისი არსით თამაში და შემოქმედება როგორც ქცევის ინტროგენური სახეებია ახლოს არიან ერთმანეთთან. ორივე „არარეალიზებულ განწყობათა და ფუნქციონალური ტენდენციას ნიადაგზე აღმოცენებული ქცევის ფორმებს წარმოადგენენ, ამ თეორიას საღი მოსახლეება უდევს საფუძვლად. მაგრამ რამდენადაც ერთიცა და მეორეც სპეციალურად განსხვავებული ქცევის პროცესებს შეადგენენ, მათ შორის სა-

ერთო მეტი არაფერი უნდა იყოს. აღნიშნული დებულების სილუსტრაციონ დ. უწნადეს ასეთი მაგალითი ძირი ჰყავს: ვთქვათ ბავშვები ლორმანგასა ჲასა მაშობენ და მსახიობები სცენაზე ომის წარმოდგენის ცდილობენ. ქცევის რა მოდელთან გვაქვს საქმე როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში? უკველია, რომ ქცევის საერთო მოდელი ერთმანეთს ძალიან მიაგავს რომივე შემთხვევაში. ამასთან ბავშვები თავიანთ ცალკეულ მოქმედებებს უფრო ფართოდ და თავისუფლად წარმოადგენენ. ამასთან თითოეულ მათგანს შეუძლია თამაში იქ შეწყვიტოს, სადაც მოეხსიათება. ამით მის თვალში თამაშს ძალა და მიზნიდებლისა არ დაკლილდება. რაც შეხება სცენაზე წარმოდგენილ იმს, აქ თავისუფალი მოქმედება და ზედმეტი იმპრივიზირება გამორჩეულია. ამასთან წარმოუდგენელია შესაბიობმა თვითნებურად შეწყვიტოს თამაში, ამით მთელი სპექტაკლი ჩაიშლება და, რაც მთავარია, იმის სურათი აღარ მიიღება. ე.ი. გამოვა, რომ დრამატული ხელოვნება უბრალო საბაშვით თამაშად იქცა. „ომის აღეკატური წარმოდგენის, მისი შესატყვისი განსახურების ტენდენცია თავიდან ბოლომდე განსაზღვრულს, იძულებულს ფორმებს აძლევს ქცევას, მაშინ როდესაც ჩვეულებრივი „ომობანას“ შემთხვევაში თამაშის თითოეული მომენტი თავისთავად დამრიცებულებულ დირებულებას წარმოადგენს, რაც არსებითად განსახლვარებს მთლიანს და არც არსებითად განისაზღვრება მით“.

მრიგად, თუ მხატვრული შემოქმედება-საქმიანობის, როგორც ქცევის დუწნაძისეულ კონცეულას შეკავშებოთ, გამოდის, რომ იგი შერმის ერთ-ერთი ნაირსახეობაა, ამასთან თავისი შინაარსით უფრო მეტია და უფრო როგორი, ვიდრე ჩვეულებრივი შერმა. როგორც ქცევის ინტროგენური ფორმა, იგი აღიძვრის ხე-

ღღღანის შინაგანი, ანტიმური განწყობა-ლების გამოხატვის სურვილის საფუძველზე. ამიტომ „ხელოვნება შინაგანის განსახიერების ფორმა“ იგი ამავდროულად გვევლინება, როგორც სინამდვილის ახალი ფორმების შემქმნელი, როგორც „ახალი სინამდვილის შემოქმედება“.

მხატვრული საქმიანობის პროცესი უთუდ მიისწრავის დასრულებულობის და სრულფონისაკენ, სადაც ორიენტირის როლს ხელოვანის იდეისადმი რაც შეიძლება ადეკვატურად შესატყვევის სავნის შექმნის მისწრაფება თამაშობს. ხელოვანის ცვევას პროცესუალური ხასიათი აქვს, რადგან შემოქმედი კმაყოფილების გრძნობას თვით შეუარბის მოული პროცესის მანძილზე გრძნობს.

ადამიანური საქმიანობის მოლიან სტრუქტურაში მხატვრული საქმიანობის როლისა და აღვილის პრობლემას ქვებიან სხვა შევლევარებიც. მაგალითად, მ. კაგნი თავის გამოყვლევებში<sup>8</sup> სამართლიანად მიჩნევს, რომ ადამიანური საქმიანობა, საერთოდ, გაგებულ უნდა იქნეს როგორც ობიექტზე მიმართული სუბიექტის შეგნებული და მიზანშეწინადი აქტივობა. მ. კაგნი გამოყოფს საქმიანობის შემდევ ძირითად სახეებს:

1. გარდამექნელი საქმიანობა, რომელიც სუბიექტის მიერ, პრაქტიკულად თუ წარმოსახუთ, ობიექტური სინამდვილის შეცვლაში მდგრადის.

2. შემცნებითი საქმიანობა, რომელიც სუბიექტის მიერ რეალური სამყაროს ობიექტური თვისებების, კავშირ-მიმართებების შესახებ ინფორმაციის მოპოვებაში მდგრადის.

3. ღირებულებით-ორიენტაციული საქმიანობა, რომელიც სუბიექტის მიერ, მისთვის, როგორც სუბიექტისათვის, ობიექტის მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციის მოპოვებაში, ე. ი. სუბიექტის მიერ გარკვეული ღირებულებითი სისტემის გა-

მომუშავებაში მდგრადის.

4. ურთიერთობითი საქმიანობა, როდესაც სუბიექტი თავის აქტივობას მომორთავს თავისივე მსგავსი სუბიექტისათვის სხვადასხვა სულიერი მოთხოვნილებების დამტკიცებულების მიზნით<sup>9</sup>.

როგორც ვხედავთ, საქმიანობის ამ სახეებში მხატვრული-შემოქმედებითი საქმიანობა გამოყოფილი არ არის. მ. კაგნის პრინტი, „იგი (ე. ი. მხატვრული საქმიანობა. თ. ფ.) ადამიანური აქტივობის ოთხივე შემოაღწირილ სახეს კონკრეტულ მოლიანობაში შერწყმულს შეიცავს ერთმანეთისაგან გაუთიშავად, რაც საქმიანობის სხვა სახეებისაგან განსხვავებით მის თვისებრივ თავისებურებას განსაზღვრავს“<sup>10</sup>. მართლაც, მხატვრულ სახეში ხომ გარკვეული ცნებაც არის, იდეაც, ინფორმაციაც, პრინციპაც, შეფასებაც და საერთოდ გველავერი ის, რაც ხელოვნებას ხელოვნებად აქვევს.

შემოქმედებითი საქმიანობის ამგვარი ქრებითი ბენება, სრულებითაც არ ნიშავს, რომ მას სინთეზური ხსახითი აქვს. პირიგით, „მხატვრული საქმიანობა მუდამ არაჩენებს სინკრეტულ ხასიათს, იგი სინთეზური არ ხდება, ვინაიდან საქმიანობის სხვა სახეთა ვერაეთარი შეერთებით ხელოვნება ვრც წარმოშობა. ეს იმიტომ, რომ მისი საფუძველი – მხატვრულ-სახოვანი პროცენტება და მხატვრულ-შემოქმედებითი უნარი – ადამიანის ორგანული და თანაბადყოლილი ნიჭია (ხაზგასმა ავტორისაა – თ. ფ.). თანაც ღობითგანვე მონიჭიბული ეს მხატვრულ-შემოქმედებითი ძალა, მხატვრულად განხორციელებული, ჭოფიერებაში გარდამშნილი სახით, კულტურის ცენტრალური სახეა მხარის – ბეკნიერების, ფილოსოფიის, პოლიტიკის, ტექნიკის და ა. შ. – განვითარების ნაწყობი ითვალისწინება“<sup>11</sup>.

შემოქმედებითი საქმიანობის პრობლემას ეხება ე. ეგოროვი თავის მონოგრა-

ფასი „მხატვრული შემოქმედების ბუნება“ (8.19.86). აღნიშნული აკტორიც თვლის, რომ შემოქმედებითობა ადამიანური მოღვაწეობის ყველა სფეროს შეიძლება გადაწყვეტილი და ყველგან უმთავრესი კრიტიკული მის შესავასებლად არის რისმე შექმნა. ცხადია, აღნიშნული ვრცელება ხელოვნებაზე, რომელიც უშავლოდ იქმნება ადამიანის მხატვრული მოღვაწეობის შედევრად.

ამრიგად, შემოქმედებითი საქმიანობა თავისი არსით მოქმედების ისეთი ფორმაა, რომელიც შედეგად ახალი რეალობის, ანუ ხელოვნების ნიმუშის, ხელოვნების ნაწარმოების შექმნას გულისხმობს. ალბათ ამიტომაც, ხშირად, ჩვეულებრივ სიტყვათხმარებაში „შემოქმედებითი ან მხატვრული საქმიანობის“ ცნების პარალელურად, სისონიმური მნიშვნელობით სწორებ ცნება „ხელოვნებას“, ხმარობენ. ძველი ბერძნები ადამიანური მოღვაწეობის ყველა სფეროს ხელოვნებად მოაზრებდნენ. მართლია, შემდგომში ძვერი რამ (მაგ. სპირტი, მედიცინა, მიწათმოქმედება და სხვა) ხელოვნებას გამოყენ, მაგრამ მასში დარჩა ყველაფერი ის, რასაც ადამიანი ქმნის ოსტატობის, ფანტაზიის, ოცნების, წარმოდგენისა და საერთოდ შემოქმედებით-გარდამშენელი საქმიანობის ბაზაზე.

ცნობილი რუს მეცნიერი კ. დალი თვლის, რომ „ხელოვნება“ აგრეთვე უპირისისირდება ბუნებას და ყოველივე იმას მოიცავს, რაც ადამიანის ხელითა ნაკეთები<sup>12</sup>: დაახლოებით იგივე განმარტებას („ხელით ნაკეთობა“) იძლევა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიონიც“ (გვ. 405).

საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაში


„ხელოვნების“ შინაარსი დაცაშირობულია „ხელთან“ და დაბირისპირებულია ბუნებასთან. ამჯერად ჩვენ აღარ ნაკვირმავდებით აღნიშნული ჰურტლების სიცოცლების. აღვნიშნავთ, რომ ხელოვნება ესაა ადამიანის მიერ გარევეული ოსტატობისა და შემოქმედებითი ფანტაზიის საფუძველზე შექმნილი ახალი რეალობა, რომელსაც გარევეული ფორმა და ფუნქციონალური განსახლვრულობა, ანუ შინაარსი აქვს. ხელოვნების ნაწარმოები არის დამაგვირგვინებული პროდუქტი მოული იმ პროცესისა, რომელსაც შემოქმედებითი საქმიანობის, მოღვაწეობის ცნება მოიცავს.

### შენიშვნები:

- 1 დ. უზნაძე – შრომები, ტ. V, 1967, გვ. 436.
- 2 მ. ნადირაშვილი. განწყობის ფსიქოლოგა (სოციალური განწყობა), ტ. 11, თბ. 1985, გვ. 149.
- 3 დ. უზნაძე – იქვე, გვ. 457.
- 4 დ. უზნაძე, იქვე. გვ. 459.
- 5 იქვე, გვ. 459.
- 6 იქვე, გვ. 400.
- 7 იქვე, გვ. 461.
- 8 მ. კაგანი. ადამიანური საქმიანობა. სისტემური ანალიზის ცდა. 8.1974. მ. კაგანი. მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა. (ლექციების კურსი), თბ. 1984.
- 9 მ. კაგანი. მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა, თბ. 1984, გვ. 201.
- 10 იქვე, გვ. 201.
- 11 მ. კაგანი, იქვე. გვ. 202-203.
- 12 ე. დალი. ცოცხალი ველიკორუსული ენის განმარტებითი ლექსიონი, ტ. II, მ. 1955, გვ. 52 (რესულ ენაზე).

# შტრიხები აკაკი ვასაქის რეჟისორისათვის

ნინო მაჭავარიანი



„ეფექტი“ თვისობრივად ახალი მხატვრული მოელენა იყო. სპექტაკლი საეტაპო მნიშვნელობის აღმოჩნდა თეატრის შემოქმედებით ბიოგრაფიაში. მან არაერთი საინტერესო კონტენტი გაავლი სამომავლოდ, მაგრამ ძირითადი იყო ის, რომ მან ვასტროვა თეატრის მხატვრული საზღვრები, კასაქეს თეატრის დაანახა, რომ გმირული სპექტაკლი შესაძლებელია დაიღვას ბუნებრივად, ამაღლებული პათოსისა და პერობების გარეშე და ამისათვის გარკვეული მხატვრული ხერხებიც მონიშნა, რომელთა შორის, ჯერჯერობით სცენოგრაფია არ აღმოჩნდა.

ვდ. ნებიროვან-დანჩერიძე სახელმწიფო პრემიის ლაურეატობაზე წარადგინა სპექტაკლი და მისი მთავარი შემსრულებელი. აღ. წუწუავაშ კი შეინშნა, „წარსულში ნათამაშევიდან არაუგრს იმეორებ, სრულიად ახალ საშუალებებს მიმართავ. ძალიან ადამიანური, მართალი წარ ამ როლში“.

„ეფექტი“ ომის დროს თავისი სათქმელი თქვა – გამოეხმაურა მაყურებლის გრძნებებს. აյთ თავად გასაძე ამბობდა, თუ დღევანდველი სათქმელი დღეს არ იქნი, მის თქმას იმნაირად ვეღარასოდეს მოახერხებო. დღევანდველ სათქმელს კი უკელაზე უკეთ ასეთივე დრამატურგია, ან კლასიკის თანამედროვე აქცეულება – თანამედროვე რეჟისორული ინტერპრეტაცია ბადებს. ქართული დრამატურგია მანამ იქნებოდა მოქცეული სტემატურობის და ხერელობის ჩარჩოში, სანამ მის სათქმელს მის ნაცვლად კველაზე მეტად ომამდე და ომის პერიოდის თეატრსა და დრამატურგიას უზრუდებდა შემოქმედებითი არსებობის უფლებას.

რაც შეეხება თეით თეატრს, ქართული თეატრის ცრუ პათოსი განპირობებული იყო თვით წარამოების ხასიათით. რაყი პისას საფუძვლად ედო სიყალბე, რაყი მოჩვენებითი იყო მისი რომანტიკულობა და საერთო მხატვრული გამზრება, აქტიორები იმულებული იყვნენ არაბუნებრივი მდგრამარეობის შესაბამისად ყალბი პათოსით დაეფარათ როლისეული შინაგანი სიცარიელე.

მ. ჯავახიშვილის თეატრალური ნაახრევიდან საგულისსმოდ მიმართა ქართული ისტორიული პიესების კრიტიკა და ასევე კრიტიკა „ამაღლებული ენით“ მეტყველებისა, რაც ფსიქოლოგიურ განვითარებას აფერხებდა.

ეს მოსახრებანი უშუალოდ მიენადგებიან ომის პერიოდის ისტორიულ დრამატურგიას, განსაკუთრებით მის „დალატს“ (1940 წ.) და „სამშობლოს“ (რეჟისორები აკ. ხორავა, აკ. ვასაძე).

ჯერ კიდევ პარიზიდან ახლადჩამოსული ვიორიგი ჯაბადარი, ჩვენი აქტიორული სტუდიის დამასრუსებელი, აღნაშნავდა, რომ ქართული თეატრი არ ეძიებსო ახალ გამომსახველობით ფორმებს არც დრამტული მასალის, არც საცენო მეტკველებისა და მოძრაობის მხრივ. მასში, რეჟისორის აჩრით, დაკარგელი იყო, ტემპის შეგრძნება. „ერთ საწილეადოებაში გაიცეს თუ არა, რომ მე რეჟისორი ვარ, მაშინვე დამაყრეს შეკითხები: „სამშობლოს“ და „დალატს“ თუ დადგამოო. „სამშობლოს“ და „დალატს“ რომ შემსრულებლები ჟყვადა ქართულ თეატრში, ვერავნო დაიწუნებს, მაგრამ დღეს ჩვენს ვითარებაში არა მგრინია ამ სექტულების ისეთივე ზეგავლენის ძალა პქრნეთ, როგორც 20-40 წლის წინ პქრნდათ. ჯერ ერთი, პიესის ლიტერატურული დირექტორის გამო და მურავი, შესრულების მხრივ. გამომსატველი საშუალებები ხომ იმ გამოქავს ეკუთხიანია, როცა ეს პიესები დაბალნენ“. რა თქმა უნდა, ზემოთქმული შეფარდებითად უნდა გავიაჩრიოთ, რადგან ფრველი ისტორიული პიესის დადგმა არის შესაძლებელი, თუკი მას თანამედროვეობასთან შემხებ წერტილებს დაუქებინ და ახლებურ ელერატობას მისცემ, მაგრამ ეს დრამატურგია ოთხოეს საცენო მეტკველების არქაზმების აღმოფხვრისა, ახლებური სასცენო გამომსახველობითი საშუალებების დაქებას, თანამედროვე სადაგმო სტილს, რის გარეშეც იგი კალავ ქველებურ სურნელი შეინარჩუნებს. ჭავჭავავე ამის გათვალისწინება კი იმადელელ და ომის პერიოდის თეატრს მიზნადაც კი არ პქრნია. აյ იყო პრიმერების დადგმის ტემპი, საჭირო იდეური ელერის თანამედროვე და ისტორიული სპექტაკლების აუცილებლობა და „ზემო მითითებით“, აკრძალული იყო ჭოველგარი ექსპერიმენტი.

შეუძლებელი იყო იმის უგულვებელყოფაც, რომ ისტორიული სპექტაკლები მაყრერ-ბლის ჭურალებას იყრინდენ არა მხოლოდ აქტუალობით, არამედ მაღალმატვრული აქტორული კულტურითც. „ქართული თეატრის საცენო მეტსრულებლი არსენალის, განსაკუთრებით კი მისი სტილის ხანგრძლივი უცვლელობამ არა მარტო დიდი გამოცდილება დააგროვა, არამედ დადი დანამრევებიც დატოვა. მხოლოდ ტალანტებს, ქართული სცენის დიდისტატებს შესწევდათ ძალა ამაღლებულივენ ეპოქის მოთხოვნილების დონეზე, ახალი ელევარება მიზნიჭებინათ ერთობ სტაბილური ფორმებისათვის“. აღნათ, ამიტომ წერდა აკ. ვასაცეც: „ჩვენი „სამშობლო“ აქტორობებიდა იდეურადაც და მხატვრულადაც ომისითონდელი და ომის შემდგომი მაურიცხებლის მოთხოვნილებას“. ვასაცე ამ უაქტის სპექტაკლებზე დოდალი მაურიცხებლის დასწრებით ხსნდა. მაგრამ თუკი მისი პერიოდის მაურიცხებლის მოთხოვნები როგორც კველულურში, ისვევ ამ მხილაც, საგრძნობლად იყო შესლედული, ომის შემდგომი თაობა, რომელსაც აღარ ააღვევებს ეს პრიმერების მატება, როგორც აღმოჩნდება, არ გაიზიარებს ამ მოსახრებას. ის უაღრესად კრიტიკულად შეასახეს ზემოაღნიშულ წარმოდგენებსაც, უარყოფს მათ პათეტიკას. რათა სამართლიანი დააფასოს ის ჭემმარიტი მაღალმატვრული ქმნილებანი, რაც შეიქმნა თენდაც იმავე ომის პერიოდში. იყო შევენიერი წარსული – იყო აკაცი ხორავას ცნობილი ოტელი და ივანე მრისხანე, აკაცი ვასაძის ცელქა და ბობოქარი კყვითე, დ. აღვესიძის „სამატარბლო აფიში“ – თამარ ჭავჭავაძე, რომანტიკული და უაღრესად ინტელეგტუალი გირგი დავითაშვილი, შესანიშავი კომიკური შესაბიძი ემანუელ აფხაძე... ჭველავერი ეს მშვენიერი იყო... მაგრამ ჰკვე ბუნდოვნად იძალებოდა მოთხოვნილება, რაღაც სიახლისა, გარდაქმნებისა...“. მხოლოდ ხორავა და ვირტუოზული ოსტატობის მქონე ვასაცე კერდიაჭრენ უნარმშენარი თეატრის მორიცხეულ კოლექტივს – ასე ფირობდნენ 50-იანებულები, რომელთაც თეატრში მოპქრნდათ ახალგანიშვნის ბობოქარი სულა.

„გვერნდა თუ არა ჩვენ მავითოდ მოფირებულ პროგრამა? ზუსტად პქრნდათ კი წარმოიღენილი ჩემს ამხანაგებს, რა აჩრი და შინაარსა იყო ჩაღებული ცნებაში, ჩვენი საქმე?“ საეჭვოა – დაწერს თუმანიშვილ შემდგომ – ჩვენ ინტეციურად კერძობდით

შემოქმედებითი გარდაქშების აუცილებლობას". ახალგაზრდა თაობის შახიობები თავიდანევე უძრავნეულოდ შეითვის და შეისისხლხორცა რესთაველის თეატრის კოლექტოვმა, აკ. ხორავამ, აკ. ვასაძემ. ამ უკანასკნელმა სინანულით აღნიშნა ეფესი თავის შემუარებში: „ადლიან ვწუხეარ, რომ უფრო მეტი ვერ მივეცა ჩვენს ახალგაზრდებს, ვიდრე მათ აღდეს. რაღაც ახლა ისინი გაცილებით უკეთ იწებონდნენ, მაგრამ ვასაძე თავად მაქსიმალურად შეეცადა გაეგო ახალგაზრდებისათვის (მაგალითისათვის გოროლის „შეშლილის წერილები“ და ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“ გამოდგებოდა). და თუ ითამაშა ეს როლები, იმ პერიოდში მან ჯერ კიდევ ვერ გაათავისა ამგვარი საშემსრულებლო სტილი და ამგვარი თამაშის უფრო თავისი ვირტუესტული ოსტატობის დემონსტრირება მოახდინა, ვიდრე აქტორულ გამომსახულ საშუალებათა გარდაქშენა.

ჩვენ არ მოგვწონდა არც ვასაძის რეპეტიციების მეოთიდა... არ გვეკვებოდა, რომ ყველაფური ეს მოტეველდა. მოელი ეს პათიოს სიცრუეა... მაგრამ ახლა მცინა, რომ ჩვენ რომ უფრო ჭეკვანები ვფრიფილიყავთ და არა ასე თავდაჯერებულნი, ჩვენ შეგვეძლო ბერი რამ მოგველო ვასაძისაგან... ვერ მიატიებათ თავისათვის, რომ უკურადღებობა გამოვიჩინე ვასაძის სცენურ საიდუმლოებათა გაცნობაში. ახლა ასეთი დიდი მსახიობები აღარ არიან...\*

ვასაძე, როგორც მხატვრული ხელმძღვანელი, ცალკე სახმრის თემაა. ვიტევი მხოლოდ, რომ მისი როლი მოცემული პერიოდის რესთაველის თეატრის შემოქმედებითი სახის ფორმირებაში უთუოდ დიდია და მნიშვნელოვანი, მაგრამ ამ ასრ უკეთ მის მიერ დადგმული საეტაპო სპექტაკლები განამტკიცებს, რომელთავან ამ პერიოდში განხორციელებული და ვასაძის რეჟისურის ერთ-ერთი თვალსაჩინი მიღწევა ვ. სოლოვიოვის „დიდი ხელმწიფებელი“ იყო.

40-აანი წლების დრამატურგიაში, განსაკუთრებით ომის პერიოდში სცენური გმირითითქმის ერთი უერთ ხსიათოდებოდა. შეკვეთი ტენდენციურობის გმო, რომლის აცილებლობასაც თვით დრო კარნაბობდა ხელოენებას, ეს გმირი იდეის სიმბოლომდე მაღლდებოდა. იდეა კი მაღალხნობრივი იყო და ამდნად, მართობული ჩანდა ასეთი გადახრა. სწორედ ამგვარი ფანრის ნაწარმოები იყო ვ. სოლოვიოვის „დიდი ხელმწიფებელი“. ის არა ყალბი, კლასიცისტური სტილის, არამედ წმინდად ფსიქოლოგიურ განცდებში დაჭარებული ფილოსოფიური ტრაგედია, რომელიც არ ითვისებს რიტორიკასა და გარეგნულ



შ. რესთაველის სახ. აკადემიური  
თეატრი.

ი. მრავაშვილის „სადგურის უფრობი“.  
ჩაღუნელი - ა. ვასაძე.

ეფუძლებს და პიროვნებისა და სტრატეგიის, ისტორიული აუცილებლობის თუ სხვ. ფილისოფური პრობლემებზე მაღალ მხატვრულად მსჯელობს. რაც შეეხება მის მთავარ გმირს, იგი წარსულის ისტორიოგრაფიის სამარისამროდ, დღეალის დაზემდე პრის შეფასებული. რეჟისორი კასაქ არა მხოლოდ ეთანხმება დრამატურგს მრავარ, გმირსა უკვა გააჩრებაში, არამედ დაიღობს მისი ეს კონცეფცია რაც შეიძლება სახირად მიიტანოს მაურებლად. რეჟისტრიციის ჩანწერებში ვითხულობს: „ითამაშოს მრისხანება უკლებლივ კველამ, გარდა იგანესი“. II სურათი: „მეფის შემოსელისას უამრავი დროშა ეცემა მის წინ ერთმანეთში, ის კი დროშებს არ სთვლავს“. რაც მთავარია, სპექტაკლის პირველი რეჟისორებიდანვე იხენვება უფლისტელის მოყვლის მიზანსცენა. რეჟისორი შემოხეცვით მომრაობას მიაწერს მეფეს, რითაც უნგარი დანაშაულს ჭრის და ამცვეტორებს პიროვნულ ტრაგიზმს. კვერთის ხელუკერძა მოწევთა, რაც მეფეს საშალებას არ აძლევს დაანახოს მისი მიმართულება, იგი თავისეფლდება მცვლელის ეპითეტისაგან. ეს უკვე დრამატურგისაგან განსხვავდული სვლაა, რომლის აუცილებლობა, კასაბის პერიოდ, მხოლოდ დროი მოიტანა: ამ მხარის გამატერება (იგულისხმება შეილის მცვლელობა – ნ. მ.), შესაძლოა, ბევრის მხრივ, საინტერესოც იყოს, მაგრამ მი ჰეროინში, იმ სახოგადოებრივ ატმოსფეროში მე შევეცალ ამ მხარის გაფერმრთალებას, დაჩრდილებას მეფის სიბრძნესა და სახოგადოებრივ სიტუაციურ კურადღების გამახალელის გზით.

აყავ კასაბეჭ ხუმირქმედებიანი ტრაგედია თოხმოქმედებან ღრამად გადავეთა, ზედმეტად მიიჩნია მსაში ხალხისა და მეფის შეხვედრის დემორატიული სცენები, თუმცა, კიდევ უური „გაამართოდა“ და გააიდალა მეფე, რითაც იგი მოუხდლოვა თავისი თეატრის წამევანი შესხიობის აყვა ხიარავას შემოქმედებით ნატურას. „დიდი ხელმწიფის“ გამარჯვება ხიო იმაშიც მდგომარეობდა, რომ ფიგურალურად რომ ვთქათ, რესტავრის თეატრს ჰყავდა თავისი „დიდი ხელმწიფი“! მაგრამ რესტავრელთა ამ სპექტაკლმა თავის დროში კურადღება მიიპორ არა მხოლოდ აქტორული ხელოვნებით, არამედ თავისი მხატვრობით, სცენოგრაფიით, რეჟისურით.

სპექტაკლის კოველი კომიტენტი ებმარებოდა მსახიობს სათქმელის მხატვრულ მოახრებაში. ა. კასაბის შემოქმედებით უნარი, აღლო ადამიანის სულის ლაბირინთებში წვდომისა, იშვათი ძალით გორბიდენებიდა ამ წარმოლენებაში. პროფ. ნ. ურუმებე ა. ხორავას შემოქმედებით თავისტებურებზე საუბრისას იხსენებს, რომ ეს ბუბერაზი მსახიობი არასდროს იღტევოდა მხატვრული სახის დეტალური დამუშავებისაც უკნ. ის ყალმის ფართო მონასმით ხატავდა თავისი გმირებს, პირდაპირ, გამოვევთილად. ნახევარტონები, „ქვედინებან“ არ ჰერნდა. მაშასადამე, მხოლოდ რეჟისორის დამსახურებას უნდა მიწეროს ის შესანშავი პირობით და მხატვრული სიმბოლიები, მოუქმედი სცენოგრაფიით, პლასტიკური მიძრულებით თუ სახის დეტალური ფსიქოლოგიური განსრებით, რომელიც ამ წარმოლენების რიტმსა და განწყობას წამიერად ქმნიდა. კონკრეტული ეს ებმარებოდა შემსრულებლებს ზედმეტი გარეგნული აუგესტაციის დაძლევაში, რომელიც ერთგვარ თეატრალურ შტამპად ითვლებოდა და მეტნაცლები წარმტებით სტელვედა უკვე იძრონიდელი რეჟისურა. ამის სამაგალითოდ გავიხსენოთ რამდენიმე ეპიზოდი სპექტაკლიდან:

ბოიარინი გოდურუე ინგლისის მეფის ასულის მოყვანის ურჩევს მეფეს. რამდენიმე წუთის წინ ივანე ასაღაზრდა დედოფლალს ეთამაშებოდა. იქვე გდია ცხვირსახოცი, რითაც თვალები აუხვა მეფეს მარიამს (შაბ. ნ. ლაფუზი). ბოიარინის ივანე-ხორავა: შენ ჰერენ ხარ ბოიარინ? თავად ნოვორისოდის და ფსკოის აღყას ახსენებს მეფეს. გაცლას ბრძნებს ივანე, რაღაცა უბმოტენ მისი თვალები და ა, მხერა ჩერდება. ხიარავას ფართოდ გახელილ თვალებში ბრძოლაა სივარულსა და მოვალეობას შერის. ივანე-ხორავა გულიდას ამომავალი ხმით ამბობს: „მაშ თუ ეგრეა, გაუბავენ ინგლისის მეფეს



მ. რუსთაველის სახ. კადემიური  
თეატრი.  
„დიდი ხელმწიფე“  
შეისყიდვა — კასაძე.

იმებნა საჭირო დეტალი...“

კასაძისათვის, როგორც რეჟისორისა და როგორც მსახიობისათვის, როლის სკრულულობურ დამუშავებას უძიდესი მნიშვნელობა პქრნდა, მაგრამ ის არასრული ახურდავებდა როლს, არ აწერილობანებდა. დაამუშავებდა რა დეტალურად, მოსახიავდა მისი შესრულების ზოგად სახეს და მოძებნიდა უთერდ დამახასიათებელ დეტალს, ექსტრემულ როლისათვის მხოლოდ რამდენიმე დეტალი — უქსტი ბსნდა ხსნათ, სახეს, ქსეტის გარეშე მას არ შეეძლო, თითქოს პარა არ პყოფნდა. იხსნებას მ. თუმანიშვილი და აქეთ მოპტეს ამის მაგალითიც: ერთ ჩემს სპექტაკლში ის სამხედრო საბჭოს წევრს თამაშიდა. ერთხელ გაბარებული მოედა რეპეტიციაზე და მითხა: მე მგონი, ვითვე. ის საუბრის დროს მთავარი ფრაზების შემდეგ უანჭით წერტილს დასუმს მაგიდაზე.

მართლაც, ამან უცბად განსახლვრა ხასათო.

ასეთი დეტალი მოიჩრია კასაძემ თავადი შეისყიდვას როლისთვისაც, რომელსაც გაეცნო იყანებ მრისხანესდღონდელ ხელსაწერებმა მოცემული დადებულის პორტრეტს, სადაც ნათევამი იყო: შეისყიდვა ელამი კაციმციმებათ თეატრის და აა, რეჟისორმა პირველ სცენაში ითხო დიდებული მაგიდასთან დასავა, თვითონ კი ოდნავ განშე, მათ უკან

ელი ჩვენგან“. მსახიობის თითები კი სხვას ამბობენ, ისინა ნერვიულად კურუნებას დედოფლის ცხვირსახეობის, თოთქოს განუმარტავნ უბედურ სიტუაციას, თხოვენ პატივებას, აწყისობების...“

ეს ეპიზოდი დღვეუნდელ თეატრში აღიმებოდა როგორც მეტადირეული სცენური აზროვნების რიგითი მაგალითი, მაგრამ თუკი მას ისტორიების თვალსაზრისით შეკაფასებთ, ამ ნამუშევარში ნერინგელ უპე სახიერად იყვეთება თანამედროვე რეჟისურისათვის დამახასიათებელ ძირითადა კონტრაბი.

პოლონეთის ელის მიღებისას იყანებ მრისხანებორავას გაწევეტილ კრალოსნის მსხვილი მარცვლების მბიმე კაკუნი სამეფო პალატის საფეხურებზე შინაგანი მღელუარების გამოხატვის ერთ-ერთ გველაზე ეუექტურ სცენოგრაფიულ ხერხად მოეჩვენა რეჟისორს და ამ შემთხვევით ნაპოვნი სცენის ხელოვნური გამორჩებით ცხადი განხდა მისთვის, რომ ივანეს შინაგანი თმენის ძაფის გაწევეტა სანიტრად იქნა ნაპოვნი. აკ კასაძე წერს: „მეტი არავთარი თამაში აღარ იყო საჭირო, არავთარი თვალების ბრიალი და წამოზმულება. ასეთი სცენა გველაზე უკეთესად გამოხატავდა გარეგან ქმდებაში იყანებ მრისხანებს შინაგან ამობორქებას, შინაგან მმკინვარებას... მო-

მოთავსდა და ნახევრად მოჭუტული თვალებით და რბილი, შემპარავი მოძრაობით უსმენდა მათ საუბარს. „ამ ჩემს თითქოს დაელამებულ თვალებში თვით მეფესაც არ ვახელებდი“ – ეს არის დეტალისა და მიზანსცენის აზრი.

სწორედ ასე დეტალურად ექვებს ვასაძე თითოეული სცენის, თითოეული კიბირითა მიზანსცენის შესაბამის სცენურ აღვევატს. მაგრამ ერთ ეპიზოდს გავიხსენებთ ამჯერად, რომელიც უფრო სახირად განვიტკიცებს ზემოხსენებულ ჩერს: ერთ-ერთი დიდებულის რეპლიკამ მოთმინებიდან გამოიყვანა შეისყიდვასაძე. იგრძნო, რომ რაღაცაირად უნდა გამოხეატა თავისი აღველება. „ამ შემთხვევები მიძიგით ან ემოციური ეფექტური მოძრაობით ამის გამომედავნება აკრძალული მქონდა – წერს ვასაძე – ეს აკრძალვა უკვე შინაგანად მოქმედებდა და აი, გვერდით მდგარი სანთლისაცენ უნდებურად წავიდე ხელი და ვითომ სანთლის ნაწეს მოცილება დავუწეულ თითებით, თან თითქოს მიმართულებასაც ვაძლევდა ალს. ამ სამუაღვებამ, უნდებურად რომ დაიბადა რეპეტიციის დროს, შექრუასავით გამინათ გზა არა მარტო ამ სცენაში, არამედ სხვა სცენებში სხვადასხვა სცენურ სამუაღვებათა მოძებნისას. იგი ჩემთვის უკვე განდა დიდებულების ჩინაშე არა მარტო შინაგანი მღელვარების დაფარების საშუალება (ობიექტი, რომელზეც გადამქინდა დიდებულის რეპლიკით გამოწვეული გაღიზიანება და სიბრავე), არამედ „ცეცხლოთნ თამაში“ დასაწყისიც (სანთლის ნამწერის თითებით მოცილებით მე „ცეცხლს ვეთამაშებოდი“, ანუ იმ ცეცხლს, რომელიც სასახლეში, მეფის ოჯახში უნდა დამტეტრიალებინა და რომელიც გამოხეატავდა ჩემსა და ორანე მრისხანებს შემბას), აგრეთვე დასაწყისი ცეცხლისათვის მიმართულების მიცემისა (რაც უკვე მართლა ხდებოდა იმ პირველ ბრიარებთან თათბირის სცენაში, და კიდევ – იგანე მრისხანე, მართლაც დიდი ხიფათი, რომლის მოთვინიერებას, დაუკებას ვაძირებდი, მართლაც ცეცხლი იყო, რომელიც ჩემბებურად უნდა შემესწორებინა და ჩემბებური მიმართულება მიძეცა“.

ის ფაქტი, რომ მიძიგით და ემოციური მოძრაობით გამომედავნება რაიმე გრძნობისა აიკრძალა, ნათელს ფეხს ერთ მნიშვნელოვან გარემოებას, რომ რეეისორი გაურჩის სპექტრულში ბეტაფირულ ეფექტებს და ექვებს ინტელექტუალურ სცენურ საშუალებებს, რომელიც მეტაფირულად და სიმბოლურად მანქვდის მაჭურებელს მოცემული ეპიზოდის შერიბრივ მნიშვნელობას და ამგვარად გააძლიერებს მისი გერიციური აღქმის ძალას. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში რეეისორ ვასაძეს ძლიერ ეხმარება საყუთარი აქტიორული მონაცემი, კრძოლ, თვითურნეტროლის იშვიათი უნარი (ძველ თეატრში ამ უნარით დაჯილდოებული იყო მაგ. აღ. იმედაშვილი) და ის, რომ იგი, ე. წ. „წარმოსახეთი“ სკოლის წარმოსადგენელი, შესანიშვავად ამახვილებს ფურადლებას წარმოდგნის ინტელექტუალურ მხარეზე (მისი არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრატიკული გამზრების თვალსახისითაც).

განსაყიდული ფურადლება დაეთმო სპექტაკლში მხატვრობასა და მუსიკას, რომელთაც არა იღესასტრირებისა თუ ფონის ფენებია, არამედ ჩერიბრიული დატვირთვა მიენიჭათ (რა თქმა უნდა, დღევანდლებისთვის შედარებით ფარდობითად უნდა ითქვას, თუმც მოცემულ პერიოდში ეს ფაქტი დიდ მნიშვნელობას იძენდა). ამ მხრივ, მაგალითად, გამოდგებოდა სპექტაკლის კოლოროტული გადაწყვეტა: შეუ ან ღია ფავოსფერ სამოსში გამოწყვობილი პერსონაჟები შექმნდილოვან განათებაში ეპოქის პირშემა პირშემი იყენებს. შეისყის კოსტუმის მერთალი ვარდისფერი მოიქციული სევადით ამავე შექმნდილოვან განათებისას თითქმის ყველა ფერს ირკვლავდა იმ საგნებისას, რომელსაც თავადი გაულიდა და მას გარემოსთან შესამებულსა და შეუმნეველს ხდიდა. რაც, როგორც ვიცით, პარმონიულად შეესატყისებოდა თვით ამ დიდებულის სცენურ პორტრეტს.

მოცემული პერიოდის სცენოგრაფიამ ამ სპექტაკლით გაუკვეულად წინ გადადგა ნაბიჯი და ახრიანი მხატვრული მექანიზმებით ჩაერთო მის მსელელობაში.

სპექტაკლს აღფრთვიონებული რეცენზიები უძღვნეს მორიონება, აღტრამიშა, თ. ზავა-დსკიძე და სხვ. მათ უმაღლესი შეფასება მისცეს რეჟისორას, მსახობებს, მხატვრობას, მუსიკას. როგორც კაცით, რეჟისორებით „დიდმა ხელმწიფებმ“ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია დამასახურა და, ამდენად, ღირსეული მეტოქეობა გაუწია სამხატვრო თეატრისა და მცირე თეატრის უდავოდ მნაშენელოვან სპექტაკლებს.

თეატრი მარად ახალგაზირდა. იყო უკვე შექმნილით ტებობას დიდხანს არ ეძღვევა და ექცეს სიახლეს სწორედ იმგვარი ექსპერიმენტების სახით, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება რამდენიმე მარცხი გამარჯვებამდე ამგვარ მარცხებს არიდებულმა რმის პერიოდის თეატრმა, უარი თქვა რა ექსპერიმენტებზე, კურ შეძლო ახალ თაობასთან სართო ენის გამოჩახეა. „კასაძე ჭაველავის ეწინააღმდეგებოდა სცენების ფსიქოლოგიურ დამუშავებას, უკრო სწორად, როგორ, ძნელად შესამჩნევა სელების ძიებებს“ – წერს მ. თემანიშვილი ხენგბულ წიგნში.

ამ ნაშრომში მოყავინდი რამდენიმე მაგალითიც საყმარისა ამგვარი მოსახრების უარსაყიფად, მაგრამ აյ მთავარი, რა თქმა უნდა, სხვა აჩრია. მ. თემანიშვილისა და მისი კოლეგების მიხანი იყო რესოლუციის თეატრის იმდროინდელი შემოქმედებითი სახის უარყოფა, რომელთა სათავეში აუ. ბირავა და აუ. ვასაძე ოდგნენ. 50-აანელებს აღარ აღელებედათ არც მათი პრიორებამტევა (გმირისა და მასის თემა აღარ იყო საჭირო). ახალგაზირდობა პიროვნებისა და მისი გზისტენციალური საწყისის რაობას ეძიებდა და რესეკცი ხელოვნების ძირებით იწყებდა მასთან მახალიერას. – ახალი თემის საჭიროება აუკასაძეც იგრინთ: „რედესაც ახალი თვალით გადაეხედე წევნი თეატრის რეპერტუარს, აშკარა შეიქმნა, რომ რმის წლებში და ბოლო დროს შექმნილი თუნდაც კარგი წარმოდგენებით ფეხს კვრ აუწყვიბდით თანადროებულობას“. 50-აანელების საუკუთხოს სპექტაკლებს გმირულ-რომანტიკული თეატრის საუცხოო ელეგირი დაპრავდათ. ისინი რეფორმატორები არ ყოფილნ. ამაღლებულ გრძნობებს ასეთივე ღრმად თეტრიალური (ამ სიტყვის პროფესიული, კარგი გაეგითი) პირობითი საშუალებებით ძერწავდნენ და ფსიქოლოგიურ შინაარისს უმარჯვებდნენ. ასე იმარჯვებდნენ თემატიკით, ანსამბლურობით, ერთიანი მხატვრული შემოქმედებითი მიზნით შედეგად გრძნებული. მაგრამ მათი უარყოფა სწორედ ძველი ტრადიციის თეოსობრივ გარდაქმნაში მდგრამერეობდა და ამიტომ იყო პრიორესული და ისტორიაულად აუცილებელი. სამწეულარო, ახალ ღირებულებითა შექმნის პერიოდში, როგორც ეს ხსირად ხდება ხოლმე, ზედმეტად გადატასება ხოლმე წარსული და დღეს მისი მნიშვნელობის დადგენას, უპირველესად, მძიებული თეატრი და ისტორიული პრიცესების პირუთენელი შეფასება სჭირდება.

### გამოვენებული ღირებულების სია:

1. ა. კასაძე. მოგონებები, ფიქრები. ტ. 1. სის 1977.
2. „“ ტ. 2. სის 1983.
3. მ. თემანიშვილი. „რეჟისორი თეატრიდან წავიდა“, „ისტუსსტვო“, 1982
4. კ. კონაძე. სიერცე თეატრისა, სის, 1975
5. „“ გართული რეჟისორის ისტორიის ნაცვევები. სის, 1982
6. რმის პერიოდისა და თანამედროვე პრესა.
7. რესოლუციის თეატრის მუნეციმი.

# ნიკო ცეცხალის მიწის დაძაბული მამაკალა

მზია ჭავაჩიძე

## კიკუშას ნოტების კვალდაკვალ

რამ გამიჩინა იმდენ ნეკო სულხანი-შეილის ესოდენ დიდი ხნის წინათ დაკარგული მეტევიდრების მოძებნისა? 1996 წელს ნეკო სულხანიშეილის 125 წლის სათბოლლერ თარიღთან დაკავშირებით გაზეთ „მუსიკისთვის“ მის შესახებ მასალებს კამადებდი, რის გამოც მივაკითხე ცენტრალურ არქივს, სადაც ჩერდა გასაკვირად აღმოჩნდა ახალი მასალა, შეტანილი უცნობი პირის შეირ 1992 წელს. ერთი მხრივ, მოგეხსენებათ, თუ რა როული პერიოდი იყო ეს საქართველოსთვის და თვით ცენტრალური არქივისთვის, რომელიც ისევე, როგორც სხვა დაწესებულებები, სათანადო არ ფუნქციონირებდა. ამდენად, მასალა ხელუხლებელი უნდა ყოფილიყო. მეორე მხრივ, ჩამონათვალში აღმოჩნდა ხელნაწერი ნაწარმოტებებისა, რომელთა სათაურები უცნობი იყო, კერძოდ, „ცენტრლელი“. ეს გახლავთ 4-ხმიანი საგუნდო სიძლერა. მართალია, ხელნაწერი უავტოგრაფოა, და შედარებამ ნ. სულხანი-შეილის სხვა ხელნაწერებთან მაფიქრებია, რომ ეს შესაძლოა მის ხელნაწერი არ იყოს, მაგრამ მაინც ვვარაუდობ, იგი სწორედ სულხანიშეილს უნდა ეკუთხნოდეს. გუნდი „ცენტრლელი“ რომ ხალხური ნიმუში არ არის, ამტკი მეტყველებს შეძლევი: ა) თიხხმიანი წყობის შერეული გუნდი – სოპრანო, ალტი, I ტენორი, II ტენორი. S,T,T,A; რაც უცხოა ქართული

ხალხური სიძლერისათვის, მაგრამ დამახასიათებელ სულხანიშეილის პარტიტურებისათვის; ბ) ტექსტი აშკარად შეტბული უნდა იყოს 10-20-აან წლებში. ეს ტექსტი ხალხურ ვარიანტს არ უნდა ეკუთხნოდეს და მასში აღეგორიულად სწორედ ამ პერიოდის საქართველოს პოლიტიკური ვითარებაა ასახული; სიძლერის ტექსტი ხალხური ტექსტის ვარიანტის ვარირებაა, მაგრამ პოლიტიკური უღრადობის. არ არის გამორიცხული ტექსტის ეს ვარიანტი აეტორს ეკუთხნოდეს (ცნობილია, რომ კომპოზიტორი ზოგჯერ თვით წერდა სიძლერის ტექსტს).

გთავაზობოთ ამ ტექსტს:

კერძლელი ჩამოცაცალდა  
მშევიდა, მშრომელი და წყარი.

ზურგსა ეკიდა საგზალი,

თუნგ-ნახევარი მაჭარი.

მოუდებდა შარებსა,

ჩაუმტკრევდა კბილებსა,

ცოლ-შვილ უწიოყებდა

სახლ-კარ უტალებდა.

ემცვლა უდიღრად

არ სხვათაებრ ნებიურად

აგლეჭავდა უნასა,

უპირებდა შეკმასა.

ერ აიტანა ან შეწებება

და მოზხოვა თავისუფლება.

დათუნამ ეს იწყინა,

მიუსია ტურა-მგლები

შხეცი შავრზმელები  
თავ-ბედი აწყევლინა.

შშიერ მეღას შორს გამდგარს  
გულში ძლიერ უხაროდა,  
კურდღელის ნასაღომარში  
თითონ ჩამოჯდებოდა.  
კურდღელს წაუხდა ჭირხახულება  
ვერც მოიპოვა თავისუფლება.  
კურდღელი ჩამოცანცალდა,  
უეხმორტეხილი საწყალი.  
აღარ ეყიდა საგზალი  
და აღარც ტყბილი მაჭარი.

გ) და რაც მთავარია, ცნობილია, რომ  
არსებობს „კურდღელი ჩამოცანცალდას“  
ხალხური ვარიანტი. ხ. სულხანიშვილის ფო-  
ნდში არსებული ხელნაწერი არც მეღო-  
დებით, არც პარმონიული ენით, არც ფა-  
ქტურით, დინამიკით და საგუნდო პარტი-  
ტურის სირთულით არ შეესატყვისება სი-  
მღვრის ხალხურ ვარიანტს. რაც შეეხება  
პარტიტურის დაწერის თარიღს, ტყქსტის

შესაბამისად, იმამინდელი და მომღები  
პერიოდის ცენტურისა და თვით ტყქსტის  
ხასიათის გათვალისწინებით, არ შეიძლება  
დაწერილიყო საბჭოთა პერიოდში, მაგრა  
რად, იგი გვიანი პერიოდის ნიმუშს არ  
მიეკუთვნება. საინტერესოა, რომ „კუ-  
რდღელი ჩამოცანცალდას“ ხალხური ვა-  
რიანტი შეტანილია ვოგებაშვილის „ლედა  
ენაში“. გარდა ამისა, ცნობილია, რომ ნიკო  
სულხანიშვილს ახასიათებდა საგუნდო პა-  
რტიტურის წერა ცალ-ცალე ხმებით, ხო-  
რედ ასეა დაფიქსირებული ეს პარტიტუ-  
რაც. ფაქტია, რომ ამ ნაწარმოებში ხა-  
ლხური სიმღერა იმდენად ძლიერ მეტა-  
მორფიზას განიცდის, რომ მხოლოდ პა-  
რტიტურის დეტალური ანალიზი თუ გვა-  
ძოვნინებს ხალხურ ვარიანტთან რამე სა-  
კრიტიკული კრიტიკის, შესაძლოა ხალხური სი-  
მღერის მეღლოდის კონტურების მიყითხვა.  
რაც შეეხება სკოტს იმს თაობაზე, შე-  
საძლოა თუ არა ეს პარტიტურა მიეკუ-



თენებოდეს საუკუნის დასაწყისში მოღვაწე რომელიმე სხვა კომპოზიტორს, ფიქრობ, რომ არა, ესიაიდან: ა) პირველი თაობის კომპოზიტორთა ხელნაწერებთან ერთჯერადმა შედარებამ არ მოგვცა დადგებითი პასეხი: ბ) თავისი დამუშავების ხერხებით, იმიტაციური პოლიფონიის გამოყენების თავისებურებებით, პომოვონიურ-პოლიფონიური ფექტურით, ხმათა განლაგებისა თუ ტემპრულ-აუსტივური ელერადობის სპეციფიკით, ქართული სიმღერიდან მოძილისერ I-II ტენორების საინტერესო (ეროვნული მახასიათებლის გათვალისწინებით) გამოყენებით, კილოური წყობით და ა.შ. ჩვენი შრი იძრება იქთ, რომ ეს არის ხალხურ მსალბჩე შექმნალი, სრულიად ორიგინალური საგუნდო პარტიტურა ნ. სულხანიშვილისა. და მაინც, საკითხი შეძლომ კელევას და უფრო დეტალურ ანალიზს მოითხოვ, რაც ჩემი მომავალი კვლევის საგანი გახდება. ამჯერად დავკვლედები ზემოთ წარმოდგენილ კარაულს.

ამავე ფონდში დაცულია „პატრა კანის“ I სცენის (მთამი. მთიული მწევმები) საგუნდო ეპიზოდის ხელნაწერი. საგულისხმოა, რომ ვაჟა გვახარიას 1974 წლის საიუბილეო გამოცემაში აღნიშნული ხელნაწერი შემოყლებული სახითაა წარმოდგნილი, ცენტრალურ არქივში დაცულ ხელნაწერში კი მთელი ეპიზოდის მუსიკალური ვარიანტია მოცემული.

ჩემდა გასაკუთრად, წარაწერი კიდევ ერთ უცნობ ინუორმაციას. აქ დაცულია სიმღერის „მაშ, გმარჯვება ტყბილო სიცოცხლევ“ ავტორისეული ხელნაწერი, რომელსაც აწერია: „მუს. ნ. პ. სულხანიშვილისა, ბაირონიდამ თარგმანი: ი. ბაქრაძისაგან“. როგორც შეძლვონ შევიტყვე, სწორედ ამ პერიოდში ბაირონის „პაროლდის“ ნაწევრების სწორედ ი. ბაქრაძისეული თარგმანი იძებლებოდა, რასაც შთაუკონებია კოდეც კომპოზიტორის. ასე იხსენებს ამ

აბბაეს გ. ნადირაძე: „1871 წ. ფურნალ, მნათობის თებერვლის ნომერში დაბეჭდვა ნაწევრები ბაირონის პოემიდან „ჩაითოლ პაროლდა“. ძეველი უფრო ალების გამდასუკლიერებისას ნიკოს ხელში ჩაუვარდა ეს თარგმანი და მთელი თავისი ჭაბუკური გატაცებით განიცდა მისი მღელვარე სტრიქინები. რამდენიმე დღეში მზად იყო ქრისტიანი მელოდიური ორნამენტით დაწერილი ბაირონის ლექსი“. აქმდე ყველა გამოცემით ამ სიმღერის ტექსტის ატრიად მიჩნეულია ს. ტომალიშვილი. ამ ხელნაწერს წინ უძღვის სიმღერის „თუმცა ტომით კვლევა არის ქართველი“ არასრული ხელნაწერი (მხოლოდ მისამერი).

რაც შეეხება „საორენგეტრი მინიატურად“ დასათაურებულ საორენგესტრი პარტიტურას, ის აღმოჩნდა „ღმერით, ღმერთოს“ დ. არაფიშვილისეული საორენგესტრო კარიანტი, რომლის ხელნაწერის მეორე ნიმუში დაცულია „კიონს, თეატრისა და მუსიკის შექეუმში“. დ. არაფიშვილის არქევები საგულისხმოა, რომ გვახარია ეჭვის ქეშ აყენებს საორენგესტრო მინიატურის ატრიოს საკითხს.

აქვე იხახება „ხელთათანას“ ხელხანიშვილისეული ხელნაწერი (ცალ-ცალკე პარტიები) წარწერით „უჟღვინი საქართველოს კაპელას“, რაც დასტურია იმისა, რომ საქართველოში საუკუნის დასაწყისში (10-იან წლები) უუნქცონირებდა კაპელა. ამას ადასტურებს აგრეთვე კიონსა და თეატრის მუშეუმში დაცული ი. იმედაშეიღის ხელნაწერი (ფ. 59/ფ. 79), სადაც იგი აღნიშნავს, რომ ნიკოს გუნდებს ხმირად ისმენდნენ სახელმწიფო კაპელას შესრულებით. ამდენად, ჩვენი კაპელის ისტორიის საკითხი გადახედვას მოითხოვს.

ცენტრალურ არქევეში მოძიებულმა მასალამ დამაიმედა და მივაყითხე თბილიში არსებულ სხვადასხვა არქიესა და მუზეებს. საინტერესო მასალები აღმოჩნდა ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმში. იქაც ხე-

ლნაწერების სახით დაცულია „აღილუა“ 3-ხმანი სასულიერო გუნდი. სამწევაროდ, გუნდის მხოლოდ ერთი მუხლია შემორჩენილი (ინტერმედიამდე), და აქვე დაცული „ტრი-ლესოტიც“ სასულიერი 4-ხმანი გუნდი. ვარაუდობ, ეს ის ნაწარმოებია, რომელიც ნ. სულხანიშვილმა შექმნა კათალიკოს კორონთან შესახვედრად გამართული კონცერტისათვის. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი ხშირად მოიხსენიება იმჟამინდელ პრესაში. იგი არც ერთ კრიბულში არ არის შეტანილი და ვფიქრობ, ყურადღებას იმსახურებს (პირველი ხელნაწერი ავტოგრაფითაა).

ცნობილია, რომ ნეკო სულხანიშვილი ეწერდა ხალხური სიმღერების შექრება-დაფუქსირებას. უფრო მეტიც.

„1914 წელს სახალხო კლუბის საჭირო ნიუის მისცა 400 მანეთი და დაავალა ხალხური სიმღერების ჩაწერა. ნიკომ ფონხორატი შეიძინა და დაგალენდა პირნათლად შეასრულა, მაგრამ ძერძების ფონხორატმა მოუღლდნელად საღალც გაქნა“ (გ. ხადირაშვ). ვინავდან ჩემთვის ცნობილი იყო, რომ ნეკო სულხანიშვილს შეკრებილი და გადამზუმებული პქნედა მრავალი ხალხური სიმღერა, მასალა მოვიძის ხალხური შემოქმედების სამუშაოერო მეთოდურ ცენტრში. ვარაუდი არ გამომტევნდა. იქ აღმოჩნდა ნეკო სულხანიშვილის მიერ გადამზუმავებული საბო ხალხური სიმღერის სახორცი მასალა. ესნია: „ქართლ-კახური, ცყველა სდექდა“ (3-ხმანი), „სმური“ (3-ხმანი), „დაბაზილი ფანდურჩე“ (ფანდურის თანხლებით ორ ხმაში). აგრეთვე 2-ხმანი რომანი „ჩემს კარსკვლავს“. ეს რომანის უნდა ცეუთენოდეს და უსატოვთან სწავლის პერიოდს (80-იანი წლები). აქ ჯერ ნათლად არ ჩანს სულხანიშვილისეული ხელწერა, იგრძნობა ნაწილობრივ რესელი და ქართული ქალაქერი რომანის გავლენა, მაგრამ აქვე, ცალკეულ მიმოქცევებში იჩნეს თავს რომ-



გინალური, თვითმყოფი მუსიკალური პრიკენება, ამგვარად, ხალხური შემოქმედების სამეცნიერო მეთოდურ ცენტრში არსებული მასალაც ფრასდებასა და კლევას იმსახურებს.

გახაოცარია, მაგრამ ფაქტია, ნეკო სულხანიშვილის მიერ ჩაწერილი ხალხური სიმღერებც კი გაძერალია ჩვენი თვალითა ხედვიდან. კინოსა და თეატრის მუშევრში, დარაყოშილის პირად არქივში, რაგორც თვით არაყოშილი მიუთითებს, უნდა ინახებოდეს ნ. სულხანიშვილის მიერ ნოტებზე გადაღებული რამდენიმე ხალხური სიმღერა: 1. არი ლარურ დალალე (მთიულეთი), 2. ფერული, 3. შამილის სიმღერა, 4. ტირილი დედაცისა (ქზიყი, ქვემო მაჩხანი), 5. აღილო (კახური), 6. აღილოს მეორე ვარიანტი, დარაყოშილი წერს: „რომ არ დაიყარგოს ეს ჩანაწერები, აუცილებლად უნდა შევიძინოთ“, მაგრამ... ჩამონათვალი, ჩამონათვლად რჩება, საქაღალე კი ცარიელია. ეჭვს არ იწვევს, რომ ქართულ სიმღერის უდი-

დესა მცოდნისა და კუთხიდნი ნიჭის მქონე ნიკა სულხანიშვილის მეურ, თანაც ასეთ აღრუელ ჰერიოდში ჩაწერილი სიმღერები რაოდენ ღირებული იქნებოდა ჩვენთვის. სამწესაროდ, ავი ხელი არამცუუ სიცოცხლის პერიოდში, არამედ სიყვალის შემდგომაც დასდევდა და მიზანდასახულად სპობდა ფოველივეს, რაც ნიკა სულხანშვილის დიდი ნიჭითა და შრომით იყო შექმნილი.

ანთორ ერქომაიშვილი ერთ-ერთ საგაზითო წერილში საინტერესო ინფორმაციას გვაწყდიდა: „ბრიტანეთის სამეფოს გრამოტინის კომპანიაში ინახება ქართული უნიკალური გრამფიოფფტები, მათ შორის, სანდორ კაუსაძის მიერ შესრულებული „დაიგვანებ“. ეს სიმღერა საქართველოში მეტად პოპულარულია. მას დღემდე სხვადასხვა თაობის რამდენიმე შემსრულებელი პყავდა. ს. კაუსაძის შესრულებით ეს სიმღერა დიდად განსხვავდება ახლანდელი ვარიანტისაგან, როგორც ჩანს, სიმღერამ სახე იცვალა და დროთა განმავლობაში უფრო გართულდა. კაუსაძისეულ ვარიანტს სისწორეს ვერ დაუვწუნებთ. რადგან იმ დროს ნიკო სულხანიშვილი ცოცხალი იყო. ამიტომ ეს ვარიანტი, ჩემის მხრით, მეტად საინტერესოა“.

კინოსა და თეატრის მუშეუმში მივაკვლიე „დაიგვანებს“ ხელნაწერს. ეს ხელნაწერი შევადარე ცენტრალურ არქივში დაცულ კაუსაძისეულ ვარიანტს, რამაც დაადასტურა კაუსაძისეული ვარიანტის სრული იდენტურობა ავტორისეულთან. ამგვარად, სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება ნიკო სულხანიშვილის „დაიგვანებს“ დედნისეული ვარიანტის აღდგენა-შესრულება (დედნისეული ვარიანტი დაფიქსირებულია დარაყიშვილის მიერ, მისივე აკომპანიმენტით).

ნიკო სულხანიშვილის მემკვიდრეობის კვლევა-ძებამ, ბუნებრივია, თელავში ჩამივანა. აქ ვიორგი ჯვახაშვილთან ინა-

ხება ნიკო სულხანიშვილის მიერ ნოტებზე გადაღებული 40 საგალოობელი. იგი უდაკოდ უდიდეს ჟურალებას იმსახურებს და აღბათ, მომავალში საჭიროების მედიაჭიბით ანალიზს ქართულ საექლესიო საგალოობელთან, რათა დაღვინდეს თითოეული საგალოობრის წარმომავლობა – რომელია აეტორისეული და რომელი ძეველი ქართული საექლესიო გაღობის ნიმუში.

საინტერესოა იოსებ იმედმშვილის უკვე მოხსენიებული წერილი, რომელმაც შესაძლოა ამ საგალოობელთა კრებულის „წარმომავლობასაც“ მომჯინის ნათელი: „სამღვდელოების კრებამ ტუილისში გადაწყვეტა ქართული სახელიერო საგალოობელი, წირვის სახელწოდებით შეკრიბნა, ნოტებზე გადაედოთ, რომლის შესრულება ერთ-ერთ კომპიტიტორის მიენდო. ამ კომპიტიტორმა დაწერა კიდეც, კიუშამ მოისმინა და მწარედ გაეკინა: „ეს საღაური ქართული წირვის საგალოობელიათ, ადგა და მოული წირვა თვითონ დასწერა, ყველა ხმის სრული პარტიტურით. ეს იყო სახელიერო საგალოობელთა საუცხოი ნაწარმოები. გვითხრეს დაყარგულაო““. გამორიცხული არ არის, რომ გ. ჯვახაშვილთან დაცული საგალოობელის სულხანიშვილისეული კრებული, სწორედ იოსებ იმედმშვილის წერილში მოხსენიებული კრებული იყოს. ამ საკითხთა საბოლოო დადგენა-გამჭება მომავალი კელევის საგნია. ამჯერად შესაძლებლობა არ მოეცა კარგად გაუცნობოდა აღნიშნულ კრებულს.

ნიკო სულხანიშვილის მოღაწეობისა, თუ დაანატორეარის კვალდაცვალ მიებამ კიდევ ერთხელ დამარჩმუნა ამ თვითნაბადი, მაღალიაჭიერი შემოქმედის გრანდიოზულ პოტენციალასა და უშრეტ ენერგიაში. ამის ფონზე, რბილიდ რომ ვთქათ, ცოტა უკნაურად გუღრეს ოფიციალურ სამუსისებრო-დნე ლიტერატურულში მოწოდებული ცნობები: „მან ვერ შესძლო თავისი უკანასკნელი სიტყვის თქმა“ ცერ შეძლო თუ

არ დააცალეს?! – მ.კ.), „ნიკო სულხანი-შვილმა კერ შეძლო თავისი შინაგანი პოტენციის სათანადო გამოვლენა“ (რომ შეძლო, იქნებ სწორედ ეს გახდა მისი შემოქმედების ტრაგეული აღსასრულის სათავე – მ.კ.), იგი რამდენიმე ნაწარმოებით შევიდა კულტურის ისტორიაში“. საქმეში ჩატებება ადამიანს ეს ურაშები ეშნება, რომ თითქოსდა კომპონიტორს ცოტაოდები შეუქმნია, განა ასეა?! რამდენიმე ნაწარმოებით კი არ შევიდა, არამედ დადა შრომა ჩატარდა მავანთა მიერ, რომ (ფოიქიობ, ისტორიისთვის სამუდამოდ დაკარგულია მათი ხახელები) ნიკო სულხანიშვილი რამდენიმე ნაწარმოებით შესულყოფ ქართული მუსიკის ისტორიაში.

არ დაკამაყოფილდები ჩემი კონქრეტული და მოვახმობ ფაქტებს. ვნახოთ, შეესაბამება კი ოფიციოზური მონაცემები სინამდებილეს??

1890 წელს – თელავის სასულიერო სასწავლებლის გუნდის ლოტბარი;

1902 წელი – აწყურის სკოლის გალობის მასწავლებელი;

1904-05 წწ. – თელავში აარსებს გუნდს, რომელშიც თავს იყრიან კახეთის სახელგანთქმული მომღერლები;

1906 წელს – ბაქოში მიწვეულია იქ მცხოვრები ქართული სათეისტომოს სკოლაში ხიმურის მასწავლებლად, სადაც მცირე ხანს მოღვაწეობდა;

1910-12 წწ. – ქართული ფილარმონიული სახორცადოების გუნდის ლოტბარი,

სადაც მღერობინები: 15 წლის გ.ტაბიძე, ვ.კოტეტშვილი, ს.ანაშვილი, ა.ა.ანდრიაშვილი და სხვა გამოჩენილი ქართული მოღვაწები. აქვე დაესძენ, რომ გიორგი ლეონიძის ლიტერატურის მუზეუმში ინახება გაღვყენონ ტაბიძის უბის წიგნა, სადაც ვეცნობით გაღვყენონის შესახმავდა მრავლისმთქმედ მოგონებას ნიკო სულხანიშვილზე.

1912 წელს – სახალხო თეატრების

ბაზარი აარსებს გუნდს, რომელმაც შემდეგ 1913 წელს ლადო მესხიშვილის იუბილეზე მიიღო მონაწილეობა:

1918 წელი – ქართული სამხედრო კავშირის ქალ-ვაჟთა გაძლიერებული გუნდის ლოტბარი.

